ლიგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

6 ივლისი **ოთხშაბათი** 2011

№ 156 (13453) ფასი 80 თეთრი

ყველაზე დიდი ირონია



AUF WIEDERSEHEN?

ეს თუ ასეა, ყველაფერი მაინც წინ არის

Bild შალკემ ლევანდ ყენია ჩრანსფერზე დააყენა

3

9

30 000 000 ევრო და კიდევ ერთი ვარსკვლავი გალატასარაში

თანხმირება ყველა ქვეყნისა, შეერთდით?

სეზონისნინა შეკრება თურქულად: ცხენები!

ალბუმასიპ ეფბუ-ს სალდაბი მოკრას

ეფბუ-ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველთა ევრომეტოქეები

ზოგი იმალება, ზოგი სახლშია, ზოგიც გზაში

უახლოეს კვირებში ქართველ ქომაგებს მოსაწყენად არ ეცლებათ – ქართულ კლუბებს საევროთასო გამოცდები აქვთ და ვნახავთ, მათგან ვის შესწევს ევროასპარეზზე წარმატების მიღწევის უნარი. ამ ხუთშაბათს "დინამო" და "მეტალურგი" ევროპის ლიგის პირველ ეტაპზე განმეორებით მატჩებს ჩაატარებენ და იმედია, პირველ შეხვედრებში მოპოვებულ უპირატესობას არ გაანიავებენ. აი, მომავალი კვირა კი საინტერესო მოვლენებით ორმაგად დატვირთული იქნება. თუ "დინამო" და "მეტალურგი" პირველ ბარიერს გადალახავენ, ერთბაშად ოთხ ქართულ კლუბს უნდა ვუქომაგოთ – 13 ივლისს ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო რაუნდში "ზესტაფონი" მოლდოვურ "დაჩიას" უმასპინძლებს, 14 ივლისს კი ევროპის ლიგის მეორე ეტაპზე ერთბაშად სამი ჩვენი კლუბი ითამაშებს – "დინამო" უელსში "ლანელის" ეთამაშება, "მეტალურგი" პოლონურ "იაგელონიასა" და ყაზახურ "ირტიშს" შორის გამარჯვებულს მიიღებს (პირველი მატჩი პოლონეთში "იაგელონიამ" 1:0 მოიგო), საქართველოს თასის მფლობელი "გაგრა" კი კვიპროსულ "ანორთოსისს" ესტუმრება.

ქართული კლუბების მეტოქეთა შესახებ ინფორმაციას სისტემატურად გაწვდით და მოახლოებული საერთაშორისო მატჩების წინ კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი მოწინააღმდეგეთა ბანაკში მიმდინარე ამბებს. ჯერჯერობით მხოლოდ ქართველთა ამჟამინდელ მეტოქეებზე გიამბობთ, თორემ, რაღა თქმა უნდა, დიდი იმედი გვაქვს, რომ რამდენიმე დღეში მომავალ მოწინააღმდეგეებსაც გაგაცნობთ.

ტაბუ 8 ივლისს აეხსნებათ

დავიწყოთ ჩემპიონთა ლიგით და "ზესტაფონის" მეტოქე "დაჩიათი", რომელიც საკუთარი ამხანაგური მატჩების შედეგებს კვლავ მკაცრად ასაიდუმლოებს. რამდენიმე დღის წინ კიშინიოვური კლუბის განცხადება გაგაცანით, სადაც "დაჩია" ჟურნალისტებს სთხოვს, თამაშების დახურულ კარს მიღმა ჩატარებაში ხელს ნუ შეგვიშლით, "ზესტაფონთან" წარმატების მისაღწევად ასეა საჭიროო.

როგორც ჩანს, ჩვენი მოლდოველი კოლეგები "დაჩიას" თხოვნას გაგებით მოეკიდნენ და გუნდი აღარ შეუწუხებიათ. შესაბამისად, ვერავინ გაიგო, რა მოხდა "დაჩიასა" და ბულგარულ "ჩერნო მორეს" სპარინგში. ვიცით მხოლოდ ანგარიში - 2:2.

8 ივლისს მოლდოვის სუპერთასია. ჩემპიონი "დაჩია" თასის მფლობელ "ისკრა-სტალს" შეხვდება და ამ მატჩის დეტალებს ველარავინ გაასაიდუმლოებს...

სუპერთასამდე კი "დაჩიას" ქართველ ლეგიონერებზე შეგვიძლია მოგაწოდოთ ინფორმაცია, უფრო ზუსტად კი, მათი აღიარების შესახებ შეგახსენოთ. **ლევან კორღალიძე** უეფას ოფიციალურმა ვებგვერდმა მოლდოვის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა, იგი და "ზესტაფონის" კიდევ ერთი ყოფილი მოთამაშე **დავით გამეზარდაშვილი** კი მოლდოველმა ჟურნალისტებმა სეზონის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს.

ლევან კორღალიძე

აქვე მათ დახასიათებასაც შემოგთავაზებთ, რომელიც ინტერნეტგვერდ "მოლდფუტბოლშია" გამოქვეყნებული.

კორღალიძის შესახებ: "კორღალიძეუმცროსმა (მამამისიც ცნობილი ფეხბურთელი იყო) აღიარა, რომ ეს მის კარიერაში საუკეთესო სეზონი იყო. ქართველი ნახევარმცველი "დაჩიას" ნამდვილი ლიდერია, შეტევებსაც უნარიანად ხელმძღვანელობდა და გოლებიც ბლომად გაჰქონდა – 13 ბურთი მისი ამპლუის ფეხბურთელისთვის ჩინებული შედეგია. "შერიფს" კი ულამაზესი გოლიც გაუტანა და უმნიშვნელოვანესიც. შეიძლება ვინმეს სხვა აზრი ჰქონდეს, მაგრამ ვფიქრობთ, ლევანი უეფას საიტმა სამართლიანად აღიარა მოლდოვის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ".

გამეზარდაშვილის შესახებ: *"ქართველ გიგანტს "ყვითელი მგლების" შემადგენლობაში დებიუტი აშკარად არ გამოუვიდა (დავითმა ორი პენალტი "აიკიდა" და გააძევეს), მაგრამ მალევე იქცა ძირითადი შემადგენლობის უცვლელ წევრად და ჩემპიონატში 34 მატჩიც ჩაატარა. ამას გარდა, ლიდერული თვისებებიც გამოავლინა და 5 გოლით გუნდის მესამე ბომბარდირიც გახდა. გამეზარდაშვილი თავისი სიმაღლის წყალობით მეტოქის საჯარიმოში სტანდარტებისას პანიკას თესავდა".*

ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებში "დაჩიადან" ქართველთა გარდა მცველები **იური გროშევი** და **გორან ტიმოვსკი** და თავდამსხმელი **გენადი ორბუ** მოხვდნენ. საუკეთესო მწვრთნელად "დაჩიას" თავკაცი **იგორ დობროვოლსკი** დაასახელეს, საუკეთესო მმართველად კი - ამავე კლუბის ერთ-ერთი შეფი **ადლან შიშხანოვი**.

"მილსამის" სიმბოლურში ერთი ნარმომადგენელი ჰყავს – თავდამსხმელი **გეორგი ბოგიუ**.

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ "დაჩიამ" სერბული "ვოივოდინადან" ჩერნოგორიელი ნახევარმცველი **იანკო ტუმბაშევიჩი** შეიძინა, თუ გავრცელებულ ხმებს ვენდობით - მილიონ ევროდ.

ორჰეიში დიდი მოლოდინია

პატარა ქალაქი ორჰეი "მილსამისა" და "დინამოს" განმეორებით დაპირისპირებას მოუთმენლად ელის. შეგახსენებთ, თავიდან ეს მატჩი კიშინიოვში იყო დანიშნული, მაგრამ ორჰეიში სტადიონის სარეკონსტრუქციო სამუშაოების დასრულება მოასწრეს და 3-ათასიანი არენა ქართველთა სამასპინძლოდ მზადაა. ბილეთების დიდი ნაწილი უკვე გაყიდულა.

"ორჰეის" ვიცე-პრეზიდენტმა **დრაგუშ ჰინკუმ** თბილისური მატჩი გაიხსენა და განაცხადა, რომ მისი გუნდი ორბურთიანი სხვაობით მარცხს არ იმსახურებდა. მისი აზრის გაზიარება, ალბათ, გაგვიჭირდება, მაგრამ მაინც მოვუსმინოთ: *"მოედანზე განვითარებული მოვლენების კვალობაზე 0:2 ნამეტანია. "დინამო" ნამდვილად ფლობდა უპირატესობას, მაგრამ ასეთ მარცხს მაინც არ ვიმსახურებდით. როგორც ჩანს, ჩვენს ბიჭებს ქართველთა აქტიურმა გულშემატკივრობამ ფსიქოლოგიური პრობლემები შეუქმნა. დაკარგული არაფერია და ამ ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად ბოლომდე ვიბრძოლებთ"*, - ამბობს ჰინკუ.

ბანანცი თბილისში დაბანაკდება

"ბანანცი" თბილისისკენ დღეს, დილაუთენია ავტობუსით გამოემართა. კლუბის განცხადებით, რუსთავში კომფორტული სასტუმრო ვერ მოძებნეს და ამიტომაც საქართველოს დედაქალაქში დაბინავდებიან. ერევნელებს "მეტალურგთან" განმეორებით მატჩში ტრავმების გამო ნახევარმცველი **ვალტერ პოლოსიანი** და უკრაინელი მცველი **იარემ კავაცივი** ვერ დაეხმარებიან. "ბანანცი" საქართველოში 19 ფეხბურთელით ჩამოდის.

სომხეთში ოთხწრიანი ჩემპიონატის მეორე წრე დასრულდა და 23 ივლისამდე შესვენება გამოცხადდა. "ბანანცი" რვაგუნდიან პრემიერლიგაში მეშვიდე ადგილზე დარჩა.

ანორთოსისი ფრეებს დაეჩვია

ფამაგუსტას "ანორთოსისმა" ბოლო დღეებში ავსტრიულ შეკრებაზე ორი საკონტროლო მატჩი ჩაატარა. **სტანიმირ სტოილოვის** გუნდმა დონეცკის "მეტალურგთან" 3:3 ითამაშა. გოლები **მარანგოსმა, რეზეკმა** და **ვუჩიჩევიჩმა** გაიტანეს.

"ანორთოსისმა" ამ შემადგენლობით ითამაშა: **კოზაჩიკი, ლევაკადესი (66. ანვიჩი), იანიციო, ტომაშიჩი, ანგელოვი, მარანგოსი (60. ოკასი), ვუჩიჩევიჩი, რეზეკი (72. სიკრისი), ლაბორდე (46. კომენი), რამოსი (46. რონკატო), შპროკელი.**

ფამაგუსტელებმა მეორე სპარინგი რუმინულ "ტარგუ მურეშთან" 0:0 დაასრულეს.

ლევან ჯანეზაშვილი

დინამო

დინამო მოლდოვაში კარგი განწყობით გაემგზავრა

ალექს გარსიას პირველი საგარეო

ხვალ ევროპის ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებითი მატჩია — თბილისის „დინამო" სტუმრად მოლდოვურ „მილსამის" შეხვდება. შეგახსენებთ, პირველი შეხვედრა, ერთი კვირის წინ თბილისში რომ ჩატარდა, დინამოელთა გამარჯვებით (2:0) დამთავრდა. აქედან გამომდინარე, ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ იმაზე, რომ მეტოქესთან შედარებით „დინამოს" მომდევნო ეტაპზე გასვლის უკეთესი შანსები აქვს. ამ ერთი კვირის განმავლობაში, „დინამო" ჩვეულ რეჟიმში ემზადებოდა განმეორებითი მატჩისათვის; სამწუხაროდ, „დინამოს" ესპანელ მწვრთნელს **ალექს გარსიას** მოლდოვაში ოპტიმალური შემადგენლობა ვერ მიჰყავს: 26 წლის **ლევან ხმალაძე** კვლავაც დისკვალიფიცირებულია, ხოლო 30 წლის **ხისკოს,** 26 წლის **იაგუესა** და 23 წლის **კოტოს** განაცხადში შეყვანა მხოლოდ მეორე ეტაპიდან იქნება შესაძლებელი.

ალექს გარსიამ მოლდოვაში 18 ფეხბურთელი წაიყვანა: მეკარეები — **გიორგი ლორია, გიორგი ნადირაძე;** მცველები — **გულვერდ თომაშვილი, დავით ოდიკაძე, ლევან კაკუბავა, გიორგი რეხვიაშვილი, ირჟი ჰომოლა;** ნახევარმცველები — **ალექსანდრე კოშკაძე, ჯაბა ჯიღაური, ნიკა კვეკვესკირი, ირაკლი ლექვთაძე, ნიკა ფირცხალავა, გიორგი თექთურმანიძე, გოგა ბერაია;** თავდამსხმელები — **ვახტანგ ფანცხავა, რობერტინიო, ლადო ახალაია, გიორგი კახელიშვილი.**

დინამოელები მოლდოვაში დღეს დილით, ჩარტერული რეისით უნდა გაფრენილიყვნენ; გუნდი კიშინიოვში დაბინავდება და დღესვე, იქაური დროით 18 საათზე (ჩვენი დროით — 19 საათზე) მოლდოვის დედაქალაქიდან 48 კილომეტრით დაშორებულ პატარა ქალაქ ორჰეის სტადიონზე ივარჯიშებს. შეგახსენებთ, რომ „მილსამისა" და „დინამოს" განმეორებითი მატჩი ორჰეის „კოპლექსულ სპორტივ რაიონალ-ის" სტადიონზე (ტევადობა — 2539) 7 ივნისს, ჩვენი დროით 19 საათზე დაინყება.

გია ტუხაშვილი

მეტალურგი

დღეს ფოლადზე ივარჯიშ-ილაპარაკებენ

ხვალ რუსთავის "მეტალურგი" ევროპის ლიგის განმეორებით შეხვედრაში ერევნის "ბანანცს" უმასპინძლებს. პირველი შეხვედრის მოგების შემდეგ (1:0) მომდევნო წრეში გასვლის მეტი შანსი ქართულ გუნდს აქვს. დღეს „ფოლადზე" პრესკონფერენციას გამართავს "მეტალურგის" დირექტორი **თორნიკე მაისურაძე,** რის შემდეგაც გუნდი სავარჯიშოდ გავა.

სომხები რუსთავში შუადღისთვის იქნებიან და მასპინძელთა დარად, ჯერ მათი მთავარი მწვრთნელი **რაფაელ ნაზარიანი** შეხვდება მედიას, პრესკონფერენციის მერე კი გუნდს ისიც სავარჯიშოდ გაიყვანს.

"მეტალურგის" პრესატაშე **შოთა შერმადინის** თქმით, ნაოპერაციები **დენის დობროვოლსკი** გუნდს ისევ ვერ დაეხმარება, სამაგიეროდ, მომჯობინდა და, სავარუდოდ, ითამაშებს მცველი **გიორგი მურველაშვილი.**

მერაბ მამულაშვილი

ბანანცი-მეტალურგი 0:1

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-334. *ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ლეგიონერი

ამბავი ცუდია, მაგრამ მთავარი ჯანმრთელობაა

ლევან ყენიას გამოჯანმრთელება აგვისტოსთვისაა ნავარაუდები, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ შესაძლოა, იმ დროისთვის ქართველი ტალანტი არა "შალკეს", არამედ სხვა კლუბის წევრი იყოს.

დღევანდელი "ლელოს" მე-7 გვერდზე "ბილდის" ინფორმაციას გაეცნობით – "შალკე" რამდენიმე ფეხბურთელთან, მათ შორის ყენიასთან თანამშრომლობის გაგრძელებას აღარ აპირებს.

უსიამოვნო ამბავია, მაგრამ უმთავრესი ის არის, რომ ლევანი მწყობრში დროულად ჩადგეს. ოღონდ ეგაა, ისეთ გარემოში უნდა იყოს, სადაც თავის გამოჩენის შანსს მისცემენ. სანამ ჯანმრთელად იყო, **ფლიქს მაგათისგან** ნდობა არ აკლდა, თუმცა მაგათი "შალკეში" აღარ არის და, როგორც ჩანს, ყენია ახლანდელი სამწვრთნელო შტაბის გეგმებში არ შედის.

ძნელია, ახალგამოჯანმრთელებული ფეხბურთელით, რომელსაც 2009 წლის შემოდგომის შემდეგ აღარ უთამაშია, "შალკეს" დონის კლუბი დაინტერესდეს, მაგრამ, ოღონდ ტრავმებმა აღარ შეანუხოს და, გვჯერა, ლევანს ისევ გამოუჩნდება კარიერაში წინსვლის პერსპექტივა. მანამდე კი მისთვის არც შედარებით მოკრძალებულ გუნდში თამაში უნდა იყოს დრამა. შეიძლება, ფორმის აღსადგენად ეს უკეთესიც კი აღმოჩნდეს. ყენია ჯერ მხოლოდ 20 წლისაა და ყველაფერი წინ აქვს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მისი "შალკედან" წასვლის სურვილის შესახებ მაშინაც ვრცელდებოდა ხმები, როცა ჯანმრთელად იყო.

შეგახსენებთ, ყენია "შალკეში" 2007-08 წლების სეზონის მსვლელობისას გადავიდა და სანამ დაშავდებოდა, ბუნდესლიგაში 11 მატჩის ჩატარება, გერმანიის თასზე კი 2 შეხვედრის გამართვა და ერთი გოლის გატანა მოასწრო. მოედანზე ამ წლის დასაწყისში უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ "შალკეს" შეკრებაზე ისევ დაშავდა და კვლავ საოპერაციო შეიქნა.

ყენია საქართველოს ეროვნული ნაკრების ყველაზე ახალგაზრდა წევრია – სანაკრებო დებიუტი 16 წლისას ჰქონდა.

ლევან ჯანეზაშვილი

● ვიტ ჯორჯია

სამი უპასუხო ქვედალიგელს

გუშინ "ვიტ ჯორჯიამ" მცხეთაში "ზოოვეტს" უმასპინძლა და 3:0 დაამარცხა. ამ სპარინგში გოლები ვეტერინართა ახალწვეულმა **ირაკლი სიხარულიძემ, გიორგი კორიფაძემ** და **ბესიკ ჩიმაკაძემ** გაიტანეს. პირველი ტაიმი 2:0 დასრულდა.

"ვიტ ჯორჯია" პირველ ტაიმში: **მიქაბერიძე - ხურცილავა, ადამაძე, კასრაძე, ღანიაშვილი - გურამ გურეშიძე, ვასაძე - კორიფაძე, ჯანელიძე, ჯუღელი - სიხარულიძე.**

მეორე ტაიმში: **მიქაბერიძე - ჭოჭუა, გოგიაშვილი, ხუმარაშვილი, ჯავაშვილი - ვაშაკიძე, ვასაძე, მაისაშვილი, ოთარიშვილი - გაბრიჭიძე, ჩიმაკაძე.**

ლევან ჯანეზაშვილი

● პირველი ლიგა

ბათუმმა ამირან მუჯირი დაიბრუნა

დააფინანსებს მადნეული ზღვისპირელებს?

ახალი სეზონიდან ბათუმის „დინამოს" მთავარი ამოცანა უმაღლეს ლიგაში დაბრუნება იქნება.

გასული სეზონის დასრულების შემდეგ მთავარ მწვრთნელ ნუკრი გოგიტიძის ნაცვლად ამ თანამდებობაზე დროებით ბათუმელთა ყოფილი ნახევარმცველი ალექსანდრე კანტიძე მუშაობს. ის კლუბის სიახლეებზე გველაპარაკა.

- ჯერ მინდა, განვმარტო, რომ მთავარი მწვრთნელის მოვალეობას დროებით ვასრულებ, ამ თანამდებობაზე მალე სხვა დაინიშნება.

- ვინ ჩაიბარებს ბათუმის „დინამოს"?

- ეს ჯერ არ ვიცი, საკითხი უახლოეს დღეებში გადაწყდება. რაც შეეხება სეზონისთვის მზადებას: გუნდი 25 ივნისს შეიკრიბა, მაგრამ ჯერ გაურკვევლობაში ვართ, რადგან პირველი ლიგის კალენდარი უცნობია — არ ვიცით, რამდენი გუნდი ითამაშებს, 16, 20 თუ 22, ერთიანი ტურნირი იქნება, ორ ზონად დაიყოფა და კიდევ ბევრი რამ.

- კალენდარს და ფორმატს ეშველება, კლუბს თუ აფინანსებენ?

- საბედნიეროდ, ეს პრობლემა არ არის, მერიის ბიუჯეტიდან გვაფინანსებენ.

- გუნდში რა ცვლილებებია?

- ხუთმა ლიდერმა დაგვტოვა: ზაურ ხაჭიპერაძე საჩხერის "ჩიხურაში" გადავიდა, ელგუჯა გრიგალაშვილი და გიორგი მანწკავა – მარტვილის "მერანში", წავიდნენ მეკარე რევაზ თევდორაძე და მიხეილ კაკალაძეც, მაგრამ არ ვიცი, კარიერას სად გააგრძელებენ.

რაც შეეხება ახალწვეულებს: ყველაზე მეტად ამირან მუჯირის დაბრუნებამ გამახარა, რომელიც ახალგაზრდებისთვის სამაგალითოა თავისი ქცევითა და ვარჯიშისადმი დამოკიდებულებით. აზერბაიჯანიდან წამოსვლის შემდეგ ამირანი ზუგდიდის "ბაიაში" ჩაირიცხა, მაგრამ ტრავმირებული იყო და ნახევარი წელი გაუცდა. ფაქტობრივად, ფეხბურთიდან წასული გვეგონა, მაგრამ თამაში მოინდომა და სიხარულით მივიღეთ.

მუჯირის გარდა, დუბლებიდან დავიმატეთ სამი მოთამაშე, ცვლილებები კიდევ იქნება და გავძლიერდებით.

- წლეულს რას ისახავთ მიზნად?

- აუცილებლად უნდა გადავიდეთ უმაღლეს ლიგაში და ქართულ ფეხბურთში ბათუმის "დინამოს" თავისი ადგილი დავუბრუნოთ. ვფიქრობ, პირველი ლიგის ფავორიტთა სამეული ასეთი იქნება - ჩვენ, "ჩიხურა" და, ალბათ, "გურია". თითოეულ ჩვენგანს უმაღლესში თამაში სურს. ისე, სიმართლე გითხრათ, არ მესმის, რა საჭირო იყო უმაღლესში გადასვლისას ახალი და საკმაოდ რთული სისტემის დანერგვა. პირდაპირ გადასვლის უფლება პირველ-მეორე ადგილოსნებისთვის მაინც უნდა მიეცათ, თორემ უმაღლესელებს პირველლიგელებთან მაინც უპირატესობა ექნებათ. თუმცა სხვა რა გზაა, გადასვლისთვის უნდა ვიბრძოლოთ.

■ ■ ■

ბათუმის "დინამოს" პრეზიდენტ **სულხან გოგიბერიძეს** დაფინანსებასა და კომპანია "მადნეულთან" შესაძლო პარტნიორობაზე ბოლო დროს აგორებულ ხმებზე ველაპარაკეთ.

- თუ დამიჯერებთ, ეს მეც მედიით შევიტყვე და არა უშუალოდ საქმიანი მოლაპარაკებებისას. ასე რომ, ვერ გეტყვით, ასეთი პერსპექტივა რამდენად რეალურია.

- კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდებაო.

- ალბათ, ზოგადად იყო ლაპარაკი კობა ნაყოფიასთან. უფრო სწორად, თუ უმაღლეს ლიგაში გადავიდოდით, შესაძლებელი იყო, გუნდის დაფინანსება "მადნეულს" ეტვირთა.

- ახლა კი მხოლოდ ბათუმის მერია გაფინანსებთ.

- დიახ, ასეა, ბათუმის მერიიდან წლის დასაწყისში გამოყოფილი თანხით ვფინანსდებით. თუმცა, რა თქმა უნდა, "მადნეულის" მსგავს დამფინანსებელზე უარს როგორ ვიტყვით, ეს ძალიანაც გაგვახარებს.

- მართალია, რომ წლეულს ქობულეთში ითამაშებთ?

- სავარაუდოდ, ასე იქნება.

- ანუ უახლოეს პერიოდში ბათუმში სტადიონი არ აშენდება?

- მშენებლობა და საძირკვლის ჩაყრა ნამდვილად არ დაწყებულა, მაგრამ ბათუმში ბოლო წლებში ისეთი პროცესებია დაწყებული, წარმოუდგენელია, სტადიონი არ აშენდეს. პირადად მე ამაში ეჭვიც არ მეპარება.

- ხომ იყო ლაპარაკი, უცხოელი ინვესტორები ააშენებენო?

- ლაპარაკი ნამდვილად იყო, მაგრამ ბიზნესს იმიტომ ჰქვია ბიზნესი, რომ მოგება უნდა მიიღოს. სამწუხაროდ, დღევანდელმა საფეხბურთო რეალობებმა ბიზნესი დააფრთხო, კლუბიდან და სტადიონიდან შემოსავლის მიღების იმედი არ არის და ამიტომაც მშენებლობა ჯერ არ დაწყებულა. მაგრამ, ვიმეორებ, ბათუმში ისეთი მასშტაბური აღმშენებლობაა, ამ პროცესის ლოგიკური გაგრძელება სტადიონის აშენება იქნება.

მერაბ მამულაშვილი

● ბაია

ზუგდიდელთა პირველი სპარინგი

ქომეთიანი შევარდნაძესაც აკვირდება

ელგუჯა ქომეთიანი

ზუგდიდის "ბაიამ" გუშინ ზაფხულის მოსამზადებელი ეტაპის პირველი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა და ურეკში ოზურგეთის "მერცხალთან" 0:1 დამარცხდა. გურულებმა გოლი პირველ ტაიმში გაიტანეს.

"ბაიამ" კი ამ შემადგენლობით ითამაშა: **მაქაცარია, სვირავა, ფაცაცია, ნაჭყებია, თ. აკობია, გუჯეჯიანი, სიხარულია, სამუშია, შ. ლომია, ახვლედიანი, კუკავა.**

შეცვლაზე შევიდნენ: **რიგვავა, პაჭკორია, შევარდნაძე, აფაქიძე, ქვარცხავა, ნ. შონია, ენდელაძე, ფარჯიკია, გუგუჩია.**

გუნდის მთავარი მნვრთნელი **ელგუჯა ქომეთიანი** რამდენიმე პოტენციურ ახალწვეულს აკვირდება და მათ თაობაზე გადაწყვეტილებას უახლოეს დღეებში მიიღებს.

მომდევნო ამხანაგურ მატჩს "ბაია" 10 ივლისს აბაშაში მარტვილის "მერანთან" ჩაატარებს, მაგრამ არც ის არის გამორიცხული, 7-ში ხონის "იმერეთს" შეხვდეს.

ლევან ჯანეზაშვილი

ლეგიონერი მწვრთნელები

დასასრული. დასაწყისი ლელო №155 (13 452)

წარუმატებელი ბრაზილიელი

2003-04 წლების სეზონში ლეგიონერ მწვრთნელთა რიცხვი საქართველოს ჩემპიონატში მკვეთრად შემცირდა და ერთადერთი, მხოლოდ **ივო შუშაკი** იყო დარჩენილი. როგორც ჩემპიონს შეეფერებოდა, „დინამომ" ისე ჩაატარა პირველი ეტაპი — ამას გარდა, გუნდმა ტიტულების კოლექციას ახალი ჯილდოც, დსთ-ის თასიც მიუმატა. მოკლედ, 2004 წლის გაზაფხულზე არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ „დინამო" მორიგ ტიტულს მოიპოვებდა; მაგრამ დაიწყო



ჟოაო დე კამპუში

მეორე ეტაპი და კონკურენტებთან არსებული სოლიდური უპირატესობაც „უცბად" გაქრა: „დინამომ" ექვს მატჩში ექვსი ქულის მოგროვება მოახერხა და ხორვატი მწვრთნელიც იძულებული იყო თანამდებობა დაეტოვებინა. თუმცა იმ სეზონის მსვლელობის დროს კიდევ ორი უცხოელი მწვრთნელი მოღვაწეობდა უმაღლეს ლიგაში: პერუელი **ლუის ცაკარიასი** „ლოკომოტივში" მცირეხნიანი პაუზის მერე დაბრუნდა, ოღონდ გუნდს მხოლოდ 9 ტურის განმავლობაში (პირველი ეტაპის ბოლომდე) ხელმძღვანელობდა. ამის მიუხედავად, იმ სეზონში მაინც ვნახეთ უცხოელ სპეციალისტთა დაპირისპირებები: ცაკარიასისა და შუშაკის გარდა უმაღლეს ლიგაში კიდევ ერთი ლეგიონერი მწვრთნელი, ბრაზილიელი **ჟოაო დე კამპუში** მუშაობდა. დე კამპუში ქუთაისის „ტორპედოში" იმ პერიოდში მივიდა, ამ გუნდს სერიოზული კრიზისი რომ ჰქონდა დაწყებული. პირველი ეტაპის დამთავრებამდე დრო ცოტა არ იყო დარჩენილი და თერთმეტი ტურის განმავლობაში ბრაზილიელ მწვრთნელს, ერთი შეხედვით იოლი მისია ჰქონდა შესასრულებელი: ქვეყნის სამგზის ჩემპიონი და წინა გათამაშების ვერცხლის პრიზიორი „როგორმე"... პირველ ექვსეულში მოეხვედრებინა! ქუთათურ ქომაგთა სამწუხაროდ, კამპუშმა ეს ვერ შეძლო: პირველი ეტაპის დასკვნით მატჩში „ტორპედოს" ორბურთიანი სხვაობით უნდა დაემარცხებინა უშუალო კონკურენტი გორის „დილა", მაგრამ მხოლოდ 1:0-ს დასჯერდა...

ისე, 2003-04 წლების ჩემპიონატი მართლაც „უცნაური" იყო: „დინამოსა" და „ტორპედოს" ნაცვლად, საჩემპიონო დავაში „ვიტ ჯორჯია" და „სიონი" ჩაებნენ; თუმცა, ისევ „ტორპედოსა" და, კერძოდ, კამპუშის საქმიანობას დავუბრუნდეთ: სხვა უცხოელი კოლეგებისგან განსხვავებით, ბრაზილიელ მწვრთნელს საქართველოს ჩემპიონატში ერთობ წარუმატებელი დებიუტი ჰქონდა (0:4 დამარცხდა ბათუმის „დინამოსთან"); ეგ კი არა, პირველ გამარჯვებას მხოლოდ მეოთხე მატჩში მიაღწია და იმის მიუხედავად, რომ, ფაქტობრივად, ნინა წლის შემადგენლობა ჰყავდა (**მალხაზ ასათიანის** გამოკლებით), სასურველ შედეგს ვერ მიაღწია და როგორც იმ დროს ამბობდნენ, ქუთაისიდან არცთუ „სასიამოვნოდ" გააცილეს. არადა, ზოგი იმასაც ამტკიცებდა, რომ ბრაზილიელი მწვრთნელი ურიგო სპეციალისტი არ იყო. რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდა დაანინაურა, რომელთაგან ყველაზე გამორჩეულს მოგვიანებით კარიერაც დაენგრა და ცხოვრებაც...

არაფრით გამორჩეული

მომდევნო სეზონი ჩვენს ჩემპიონატში მხოლოდ ერთმა ლეგიონერმა მწვრთნელმა დაიწყო: უმაღლესი ლიგის დებიუტანტ „ზესტაფონის" თავკაცმა უკრაინელმა **ვლადიმერ ზემლიანოიმ**. ლეგიონერი მწვრთნელის დებიუტი ნარუმატებელი გამოდგა: „ზესტაფონმა" საკუთარ მოედანზე ნააგო **გიორგი დევდარიანის** „თბილისთან"; ამას კიდევ უარესი მარცხიანი სერია მოჰყვა და 7 ტურის მერე ზემლიანოიც გაათავისუფლეს: უკრაინელი სპეციალისტის ხელმძღვანელობით „ზესტაფონმა" 6 მატჩი წააგო და მხოლოდ 1 მოიგო...

გარკვეული პერიოდის განმავლობაში 2004-05 წლების ჩემპიონატში უცხოელი მწვრთნელის გარეშე ვიყავით დარჩენილი; მერე კი, ერთდროულად ორი ლეგიონერი სპეციალისტი გამოჩნდა და ორივე „ძველი ნაცნობი": „თბილისი" ლუის ცაკარიასმა ჩაიბარა და საბოლოოდ, ეს მართლაც გამორჩეული გუნდი მესამე ადგილზე გაიყვანა. ცაკარიასს ისეთი ნახევარდაცვის ხაზი ჰყავდა, მეტოქეებს უამრავ პრობლემას რომ უქმნიდა: **გოგიტა გოგუა, გოჩა ხოჯავა, თორნიკე აფციაური, რევაზ გენწაძე**; მეორე ეტაპიდან კი პერუელმა სპეციალისტმა ორი ჭაბუკი ფეხბურთელიც დააწინაურა — **რევაზ ბარაბაძე** და **გიორგი ფოფხაძე**. ამასთან, მეორე ეტაპიდან კვლავაც ვიხილეთ უცხოელ სპეციალისტთა „დუელიც": „ვიტ ჯორჯიაში" ჯანი კარნევალე დაბრუნდა! სხვათა შორის, სწორედ 2005 წლის გაზაფხულზე დასრულდა ლუის

დუშან უჭრინი

ცაკარიასისა და ჯანე კარნევალეს ქართული სამწვრთნელო კარიერაც...

2005-06 წლების სეზონი ისე დაიწყო და პირველი წრეც ისე დამთავრდა, საქართველოს ჩემპიონატში არც ერთი უცხოელი მწვრთნელი არ ყოფილა; აი, მეორე წრიდან კი თბილისის „დინამოს" მთავარ მწვრთნელად რუსი სპეციალისტი, იმ დროისათვის 37 წლის **ანდრეი ჩერნიშოვი** დაინიშნა. სხვათა შორის, „დინამოს" ხელმძღვანელობის ეს გადაწყვეტილება ბევრს გაუკვირდა: საქართველოში ჩამოსვლამდე ჩერნიშოვს არანაირი სამწვრთნელო მიღწევები არ ჰქონდა და საერთოდაც, რუსეთშიც ერთობ სკანდალური სპეციალისტის იმიჯით სარგებლობდა. ჩერნიშოვმა მოგებებით დაიწყო: ჯერ „კახეთს" მოუგო, მერე კი, ცოტა არ იყოს, უცნაურ მატჩში „თბილისს" აჯობა (3:2). თუმცა, ამის მერე „დინამო" არასტაბილურად ათამაშდა და, ფაქტობრივად, ვერც ერთი პრინციპული მატჩი („სიონთან", „ვიტ ჯორჯიასთან", „ამერთან") ვერ მოიგო. საბოლოოდ, „დინამომ" მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავა ჩემპიონატში, არადა, სწორედ მეორე ეტაპის დაწყებიდან (ანუ ჩერნიშოვის მოსვლიდან) გუნდს **ვიტალი დარასელია, ლადო ბურდული, ლადო ახალაია** და **გიორგი შაშიაშვილი** დაუბრუნდნენ; არანაკლებ უცნაური იყო ის ფაქტიც, როცა ჩერნიშოვი სრულ იგნორირებას უკეთებდა გუნდის ბრაზილიელ ახალწვეულს **ჟილვან ვიეირას**, ვინც შემდგომში „ზესტაფონში" ასპარეზობისას წლების განმავლობაში ამტკიცებდა თავის მაღალ კლასს.

სახელოვანი დუშანი

ჩერნიშოვს „დინამოში" რომ აღარ დატოვებდნენ, ყველასათვის ცხადი იყო და საერთოდაც, მომდევნო სეზონის დასაწყისისათვის ჩვენს ჩემპიონატში არც ერთი უცხოელი მწვრთნელი არ მუშაობდა. და აი, ექვსი ტურის შემდეგ თბილისის „დინამოს" მთავარ მწვრთნელად ცნობილი ჩეხი სპეციალისტი **დუშან უჭრინი** დაინიშნა. წინდაწინვე უნდა ვთქვათ, რომ არც მანამდე და არც მერე საქართველოს ჩემპიონატში ასეთ ტიტულოვან მწვრთნელს არ უმუშავია - უჭრინს ხომ სანაკრებო თუ საკლუბო დონეზე არაერთი წარმატება ჰქონდა მოპოვებული. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ჩეხეთის XX საუკუნის საუკეთესო მწვრთნელად სწორედ დუშან უჭრინია დასახელებული...

... „დინამოში" უჭრინის დებიუტი ნარუმატებელი გამოდგა: პრინციპულ მეტოქე „ზესტაფონთან" სტუმრად 0:1 დამარცხდა; თუმცა, ამის მერე „დინამო" ჩინებულად ათამაშდა და სეზონის ბოლომდე გუნდი მხოლოდ ერთხელ დამარცხდა (არანაკლებ პრინციპულ მოწინააღმდეგე „ვიტ ჯორჯიასთან"). ამის მიუხედავად, გუნდმა ჩემპიონობა ვერ მოიპოვა და მხოლოდ ვერცხლის მედლებს დასჯერდა. სამაგიეროდ, მომდევნო სეზონში უჭრინის ხელმძღვანელობით მოასპარეზე „დინამო" უკვე უკონკურენტო იყო და ჩემპიონატიც დამაჯერებლად მოიგო — მეორე ადგილზე გასული „ვიტ ჯორჯია" 10 ქულით ჩამოიტოვა! ისიც საინტერესო ფაქტია, რომ დუშან უჭრინმა თავისი მართლაც შთამბეჭდავი სამწვრთნელო კარიერა საქართველოს ჩემპიონის რანგში დაასრულა!

2007-08 წლების სეზონში უჭრინი ერთადერთი ლეგიონერი მწვრთნელი არ ყოფილა: II ტურიდან რუსთავის „ოლიმპის" მთავარ მწვრთნელად **ანატოლი პისკოვეცი** დაინიშნა. უკრაინელ სპეციალისტს წარმატებული დებიუტი ჰქონდა და ზედიზედ ორი მატჩიც მოიგო; თუმცა პისკოვეცს სეზონის დამთავრება არ აცალეს — მეორე წრის დასაწყისში, ზედიზედ ორი მარცხის მერე გუნდიდან გაათავისუფლეს. ამის მიუხედავად, პისკოვეცზე ვერაკაინ იტყოდა: ურიგო სპეციალისტი იყოო - რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელიც (**დავით დევდარიანი, გიორგი გაბედავა**) დაანინაურა და დსთ-ის თასზეც ღირსეულად ათამაშა გუნდი. პისკოვეცის ხელმძღვანელობით იმ სეზონში



რაინერ ცობელი

ყველაზე გამორჩეული მატჩი კი „ოლიმპმა" თბილისში, „დინამოს" წინააღმდეგ ჩაატარა: რუსთაველებმა 18-წლიანი (!) პაუზის მერე შეძლეს სტუმრად ჩვენი ყველაზე ტიტულიანი გუნდის დამარცხება...

კლუბადოგის ტენდენცია

საიუბილეო, XX ჩემპიონატის დაწყებამდე თბილისის „დინამოში" ახალი მთავარი მწვრთნელი დაინიშნა — **რაინერ ცობელი**; გერმანელი სპეციალისტის დებიუტი ევროტურნირებს დაემთხვა: „დინამომ" საშინაო მატჩში ფარერების „რუნავიკს" მოუგო (3:0). მართალია, განმეორებით მატჩში 0:1 წავაგეთ, მაგრამ შემდეგ ეტაპზე გავედით, სადაც, თავიდანვე განწირულები ვიყავით: ბერძნულ „პანათინაიკოსთან" ორი მატჩის ჯამში (0:3, 0:0) დავმარცხდით. რაც შეეხება საქართველოს ჩემპიონატს, ცობელს პირველსავე მატჩში ფიასკო ელოდა: უმაღლესი ლიგის დებიუტანტ „გაგრასთან" დამარცხდა. საერთოდაც, იმ სეზონში „დინამომ" კლუბის ანტირეკორდი დაამყარა: საწყის ხუთ შეხვედრაში სამი წაგება ჰქონდა! მერე, სიტუაცია გამოსწორდა, თუმცა მეორე წრეში, როცა „დინამომ" ზედიზედ ორი ფრე ითამაშა („სპარტაკთან" და „ლოკომოტივთან"), ცობელს კარისკენ მიუთითეს და, ალბათ, დამსახურებულადაც — გერმანელი მწვრთნელი მართლაც არ გახლდათ მაღალი დონის სპეციალისტი. ისე, საქართველოდან ცობელი უტიტულოდ მაინც არწასულა: 2008 წლის დეკემბერში **ლევან ხმალაძის** ერთადერთი გოლის წყალობით „დინამომ" სუპერთასი მოიპოვა.

ცობელი 2009 წლის მარტის ბოლოს „დაგვემშვიდობა", და ყველას რომ გვეგონა, უცხოელი მწვრთნელის გარეშე დარჩა საქართველოს ჩემპიონატიო, სწორედ მაშინ გამოჩნდა კიდევ ერთი ლეგიონერი სპეციალისტი: სეზონის დასკვნითი 6 მატჩი „გაგრამ" უკრაინელი სპეციალისტის, **ვიქტორ კაშჩეის** ხელმძღვანელობით ჩაატარა. რადგან შესაბამისი ლიცენზია არ ჰქონდა: კაშჩეის ოფიციალურად კონსულტანტის სტატუსი მიენიჭა, მაგრამ, ფაქტობრივად, სწორედ უკრაინელი გახლდათ „გაგრას" მთავარი მწვრთნელი. კაშჩეიმ სადებიუტო მატჩიც წააგო („სიონთან") და საერთოდაც, მთავარი მიზანი ვერ შეასრულა: „გაგრა" პირველ ლიგაში დაქვეითებისაგან ვერ იხსნა. თუმცა, „მშველელად"... სხვა გუნდი მოევლინა: „მესხეთმა" ლიცენზირება ვერ გაიარა და 2009-10 წლების სეზონი „გაგრამ" კვლავაც უმაღლესში დაიწყო. გუნდს ისევ კაშჩეი თავკაცობდა და ისევ კონსულტანტის სტატუსით, თუმცა შედეგი აშკარად არასახარბიელო ჰქონდა და როცა პირველი ეტაპის მიწურულს უკრაინელი გაათავისუფლეს, ეს ამბავი არავის გაჰკვირვებია. ჰოდა, ისე მოხდა, რომ 2009-10 წლების სეზონის გარკვეულ პერიოდში უმაღლეს ლიგაში არც ერთი უცხოელი მწვრთნელი არა გვყავდა; თუმცა, სეზონის მიწურულს ერთი ლეგიონერი სპეციალისტი მაინც „გამოჩნდა": დასკვნითი ცხრა ტურის განმავლობაში „გაგრას" ანატოლი პისკოვეცი მოძღვრავდა, ვინც საქართველოს ჩემპიონატს ორწლიანი პაუზის მერე დაუბრუნდა. სამწუხაროდ, პისკოვეცის მოწვევა დაგვიანებული აღმოჩნდა და „გაგრაც" პირველ ლიგაში დაქვეითდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ 2001-11 წლების სეზონში საქართველოს ჩემპიონატი... უცხოელი მწვრთნელის გარეშე დარჩა, — პირველად, 1999 წლის შემდეგ! თუმცა, უნდა დავაზუსტოთ: ამ შემთხვევაში ლაპარაკია უმაღლეს ლიგაზე, თორემ წინა სეზონში ლეგიონერი მწვრთნელი I ლიგაში გვყავდა და საკმაოდ წარმატებულიც გახლდათ; ყოველ შემთხვევაში, მართლაც ბევრი კოლეგა ინატრებდა ანატოლი პისკოვეცის მიღწევებს - უკრაინელი სპეციალისტის ხელმძღვანელობით „გაგრამ"

ანატოლი პისკოვეცი

უმაღლესი ლიგის საგზურიც მოიპოვა და, რაც მთავარია, საქართველოს თასის გათამაშებაში გაიმარჯვა!

... საქართველოს XXIII ჩემპონატი ერთ თვეში დაიწყება და დღესდღეობით უმაღლესი ლიგის მხოლოდ ორ გუნდს ჰყავს უცხოელი მწვრთნელი: „დინამოს" ესპანელი სპეციალისტი **ალექს გარსია** ხელმძღვანელობს, „გაგრას" კი — უკრაინელი ანატოლი პისკოვეცი.

გია ტუხაშვილი

სპარტაკი

სასპრინტო სპარინგი

ბაკურიანში შეკრებაგავლილმა ცხინვალის „სპარტაკმა" ახალი სეზონის დაწყებამდე გუშინ პირველი სპარინგ-მატჩი ჩაატარა: **ბადრი კვარაცხელიას** გუნდმა „მერანის" სტადიონზე „გაგრას" უმასპინძლა და მინიმალური სხვაობით, 1:0 გაიმარჯვა. ეს ერთადერთი ბურთი 21 წლის **ბადრი ტეტუნაშვილმა** გაიტანა - „სპარტაკის" მცველმა მატჩის მე-7 წუთზე გამოიჩინა თავი, როდესაც 18 წლის **ვალერი კილასონიას** საჯარიმო დარტყმას ზუსტი გაგრძელება მოუძებნა. შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა და ორივე გუნდის ფეხბურთელებს ანგარიშის შეცვლა რამდენჯერმე შეეძლოთ, თუმცა **ვლადიმირ ორდინსკის, ზვიად ჩხეტიანის, შალვა კვანტალიანის** (სამივე-„გაგრა"), **ზვიად მეტრეველის, კობა შალამბერიძის, თეიმურაზ შონიასა** და **რევაზ ჯიქიას** (ოთხივე — „სპარტაკი") მცდელობებს შედეგი არ მოჰყოლია. როგორც სპარინგ-მატჩებს „სჩვევია", ორივე გუნდის მთავარმა მწვრთნელმა, ბადრი კვარაცხელიამ („სპარტაკი") და **ანატოლი პისკოვეცმა** თავიანთი გუნდის თითქმის ყველა ფეხბურთელს მისცეს თავის გამოჩენის საშუალება. გუშინდელი სპარინგ-შეხვედრა კი გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ჩაატარეს:

სპარტაკი: **ზარქუა — ციმაკურიძე, გ. კვარაცხელია, ტეტუნაშვილი, ბოიომო — კილასონია, შონია, შალამბერიძე, — ბუზალაძე, რ. ჯიქია, მეტრეველი.**

შეცვლეგზე შევიდნენ: **ლ. ძაგანია, მამუჩიშვილი, გ. ალავიძე, თუხარელი, კაკაშვილი, ნარიმანიძე, ბურძენაძე, ზერეკიძე, ხაჭვანი, გ. სეფიაშვილი.**

ბაბრა: **კ. სეფიაშვილი — კალანდაძე, ტყეშელაშვილი, ზ. ჩხეტიანი — ხუციძე, ნაკონეჩნი, შარიქაძე, სიჭინავა, ნ. ჯიშკარიანი — ორდინსკი, კვანტალიანი.**

შეცვლეგზე შევიდნენ: **ბეგაშვილი, ჭკუასელი, ხუბუა, გაბედავა, კობერიძე, გაბუნია, ციცხვაია, ქართველიშვილი, ზვიადაძე, ყურულაშვილი, დ. გიგაური.**

მომდევნო საკონტროლო მატჩს „სპარტაკი" 8 ივლისს „ჩიხურასთან" ჩაატარებს. თუმცა, მანამდე გუნდს კიდევ ერთი სპარინგ-შეხვედრა ექნება — დღეს სტუ-სთან ის ფეხბურთელები ითამაშებენ, გუშინ შეცვლაზე რომ შემოვიდნენ, პლუს დუბლშემადგენლობის მოთამაშეებიც.

გია ტუხაშვილი

გაგრა

შეკრებაც იქვე, კუნძულზე

ევროფასების-თვის მზადების პროგრამით „გაგრა" გუშინ "მერანის" სტადიონზე ცხინვალის "სპარტაკს" შეხვდა და 0:1 წააგო. მანამდე გაგრელებმა ცხინვალელთა დუბლშემადგენლობას 7:0 მოუგეს. თავი გამოიჩინეს **გიორგი გაბედავამ** (2), **შალვა კვანტალიანმა** (2), **გიორგი ტყეშელაშვილმა, დათა ციცხვაიამ** და **ზვიად ჩხეტიანმა**.

"გაგრას" უსაფრთხოების სამსახურის უფროსის **მიხეილ აფხაზავას** თქმით, ვინაიდან გუნდმა უცხოურ შეკრებაზე წასვლა ვერ მოახერხა, ევროპის ლიგაზე ფამაგუსტას "ანორთოსისთან" 14 ივლისის მატჩისთვის ადრე გაემგზავრება, 7 ივლისს კვიპროსში იქნება და შეკრებასაც იქ გაივლის.

კუნძულზე 22 მოთამაშე შეიკრიბება, მათ შორის იქნებიან ახალწვეულები – მეკარე **გიორგი ბეგაშვილი** (საჩხერის "ჩიხურა"), **გიორგი ზვიადაძე** ("ვიტ ჯორჯია"), **გელა ხუბუა** (უგუნდო) და **დათა სიჭინავა** ("კოლხეთი"). თუმცა მთავარი მწვრთნელი **ანატოლი პისკოვეცი** სრული სიის გამოქვეყნებას ჯერ არ ჩქარობს.

მერაბ მამულაშვილი

● მანჩესტერ სიტი

ტევეს გული შვილებისკენ მიუწევს

27 წლის არგენტინელმა თავდამსხმელმა **კარლოს ტევესმა** თქვა, რომ „მანჩესტერ სიტიდან" მიდის, რადგან შვილების გარეშე ცხოვრება არ შეუძლია. საქმე ის გახლავთ, რომ ისტლენდელთა კაპიტანი ოჯახს დაუბრუნდა. ის შეურიგდა ცოლს, **ვანესას** და გოგონებთან, 6 წლის **კატისა** და წლინახევრის **ფლორენსიასთან** ერთად დაიწყო ცხოვრება.

კარლოსისა და ვანესას ურთიერთობა იმიტომ გაფუჭდა, რომ ქალს მანჩესტერში ცხოვრება აღარ შეეძლო, შვილებს ხელი მოჰკიდა და არგენტინაში დაბრუნდა. ახლა, როგორც გითხარით, ოჯახი კვლავ ერთად არის, მაგრამ ფეხბურთელი ამბობს, რომ მეუღლეს ბრიტანეთის კუნძულებზე დაბრუნებას ვერ აიძულებს. ამრიგად, რჩება ერთადერთი ვარიანტი: ტევესმა „სიტი" უნდა დასტოვოს. ამიტომაც გაავრცელა არგენტინელმა თავდამსხმელმა განცხადება, სადაც დაწვრილებით განმარტა, რატომ უნდა „მანჩესტერ სიტიში" გატარებული ორწლიანი, გოლებით უხვი პერიოდის დასრულება.

გაზეთები წერენ, რომ ამ მდგომარეობით სარგებლობას რამდენიმე ევროპული კლუბი ცდილობს. ესენია: „რეალი", „ინტერი" და „იუვენტუსი". საინტერესოა, რომ ტევესის გარშემო ნიადაგი მოსინჯა „ჩელსიმაც". „ჩელსი", რასაკვირველია, ინგლისური კლუბია და ლონდონიც ბრიტანეთის კუნძულებზე მდებარეობს, მაგრამ „ლურჯების" შეფები იმედოვნებენ, რომ არგენტინელი ფორვარდის ცოლს მანჩესტერში არ შეუძლია ცხოვრება, თორემ დედაქალაქში პრობლემა არ ექნება. მეპატრონე, **რომან აბრამოვიჩს** ტევესის სანაცვლოდ 50 მილიონი ფუნტის გადახდა არ ენანება.

ტევესმა კი თქვა: *„ძალიან მტკივა გული, მაგრამ იძულებული ვარ „მანჩესტერ სიტის" შეეატყობინო, რომ კლუბის დატოვებას ვაპირებ. მინდა ყველამ იცოდეს, რომ ძალიან დიდ პატივს ვცემ „სიტის", მის გულშემატკივრებს და პირადად შეიხ მანსურს, რომელიც ჩემ მიმართ უკიდურესად გულისხმიერი იყო. იმედი მაქვს, რომ ხალხი გამიგებს და მიხვდება, რომ ოჯახური მდგომარეობის გამო ძალიან რთული 12 თვე გადავიტანე. მანჩესტერში შვილების გარეშე ცხოვრება ჩემთვის უკიდურესად რთული იყო. ყველაფერი, რასაც ვაკეთებ, ამ გოგონებისთვის მინდა და მათთან განშორება ჩემს ძალებს აღემატება. ჩემი ცხოვრება მთლიანად მათ ეძღვნება".*

ტევესის ასეთი განცხადება „სიტის" იტალიელი თავკაცისთვის, **რობერტო მანჩინისთვის** დიდი დარტყმა იქნებოდა. ისტლენდელები შვებულებიდან გუშინ დაბრუნდნენ და ვარჯიშაც შეუდგნენ, ხოლო მანჩინიმ გასულ უქმეებზე, შეკრებისწინა ინტერვიუში განაცხადა, რომ არგენტინელი გუნდში რჩება.

„დიდი კლუბის კაპიტნობა, პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირობა, ფეხბურთის ასოციაციის თასის მოგება და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება ჩემთვის დიდი პატივი იყო. დარწმუნებული ვარ, „სიტის" ფანების უდიდესი ნაწილი ხედავდა, რომ მოედანზე სულს და გულს ვდებდი. მწამს, გუნდი ჩემი წასვლის შემდეგაც დიდ წარმატებებს მიაღწევს" — განაგრძო ტევესმა, რომელმაც დასძინა, რომ „სიტიდან" წასვლას იანვარშივე აპირებდა, მაგრამ თავმჯდომარე **ხალდუნ ალ მუბარაქმა** პირადად სთხოვა და ზაფხულამდე გადაადებინა. არგენტინელმა დასძინა, რომ ისტლენდზე კვირაში 200 ათას ფუნტს იღებდა და ამდენად, მისი გადაწყვეტილება მატერიალური მოსაზრებებით არ არის განპირობებული. მანვე თქვა, რომ ძალიან ეწყინა, როდესაც გაიგო, რომ მანჩინი „ინტერისთვის" მის **სამუელ ეტო'ოში** გაცვლას აპირებდა.

იმის დასამტკიცებლად, რომ ამა თუ იმ ადგილთან შეგუების პრობლემა მარტო მის ოჯახს არ აქვს, ტევესმა „მანჩესტერ სიტის" აღმასრულებელი შეფის, **გერი კუკის** მაგალითი მოიტანა. მან თქვა, რომ კუკის ოჯახმაც ვერ გაუძლო მანჩესტერში ცხოვრებას და ამერიკაში დაბრუნდა.

ამიერიდან, მანჩინი ტევესის შემცვლელის ძებნას დაიწყებს და, სავარაუდოდ, მისი თანამემამულის, 23 წლის **სერხიო აგუეროს** ყიდვას შეეცდება.

კარლოს ტევესი ოჯახთან ერთად

● ტრანსფერი

გაელ კლიში

სიტიში მეთოფე გაელია

გაელ კლიში ისტლენდელი გახდა — „არსენალისგან" 25 წლის ფრანგი მცველის ყიდვა „მანჩესტერ სიტის" 7 მილიონი ფუნტი დაუჯდა. ამრიგად, კლიშიმ „სიტი ოფ მანჩესტერ სთედიუმზე" ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა და თავი დააღწია გუნდს, რომლის გადამკიდეც ექვსი წლის განმავლობაში ერთი ჯილდოც კი არ მოეგო. ის, რომ ჩრდილოლონდონელებს „ქრონიკული წარუმატებლობის" გამო გაექცა, კლიშიმ არც ინტერვიუში დამალა:

„მანჩესტერში იმიტომ გადმოვედი, რომ მოგება მინდა. ვუყურებდი „სიტის" და ვხედავდი, რომ გუნდი ყოველწლიურად მეტად და მეტად ძლიერდებოდა. ისტლენდელებს სულ ახალი ფეხბურთელები ემატებოდნენ და თან მათი მარტო სახელების გაგება ღირდა ერთ რამედ. გასულ სეზონში „სიტიმ" ფეხბურთის ასოციაციის თასი მოიგო, პრემიერლიგის ცხრილში „არსენალზე" უკეთესი ადგილი დაიკავა და ვფიქრობ, ამ სეზონში თუ არა, მომავალში, ჩემპიონებიც გახდებიან".

შემდეგ კლიშიმ გაიხსენა თუ როგორ ატკინა გული „ქარლინგის თასის" ფინალში „ბირმინგემთან" სულელურმა წაგებამ, რასაც შემდეგაც „არსენალს" საქმე დაღმა წაუვიდა.

„გუნდმა სეზონი ძალიან კარგად დაიწყო, მაგრამ „ბირმინგემთან" წაგების შემდეგ ჩაფლავდა. აშკარაა, რომ თუ წარმატება გინდა, დიდი შემადგენლობა უნდა გყავდეს. ძნელია რამეს გახდე, როდესაც რობინ ვან პერსი და სესკ ფაბრეგასი დაგიშავდება".

კლიში 18 წლის იყო, როდესაც „არსენალის" ლეგენდარულ, დაუმარცხებელ გუნდთან ერთად პრემიერლიგის ჩემპიონის ტიტული ერგო. ახლა მას **რობერტო მანჩინის** ხელმძღვანელობით სურს იმავეს გამეორება:

„მინდა იმ გუნდის დაცვის ნაწილი ვიყო, რომელიც ინგლისის ჩემპიონიც გახდება და ჩემპიონთა ლიგაშიც ბოლომდე ივლის".

„მანჩესტერ სიტიში" კლიშის ხელფასი კვირაში 90 ათასი ფუნტი იქნება. ენამწარე ინგლისელი ჟურნალისტები კი იხსენებენ რა თქვა მან ორი წლის წინ, როდესაც ისტლენდზე „არსენალიდან" **ემანუელ ადებაიორი** გაიქცა. ფრანგს მაშინ ასე უთქვამს:

„თუ შენ ხარ მოთამაშე, რომელსაც ფეხბურთში მხოლოდ ფული აინტერესებს, ესე იგი „მანჩესტერ სიტიში" გადახვალ".

● არსენალი

სონგს ცხე ემუქრება

ალექს სონგი

„არსენალის" 23 წლის ნახევარმცველ **ალექს სონგს** კამერუნში, ერთ-ერთ ბარში, სტუდენტის ცემაში ედება ბრალი. ამბობენ, თითქოს, მშობლიურ ქალაქ დუალაში, შვებულებაში ყოფნის დროს, სონგმა ვიღაც ყმაწვილკაცი დაუნდობლად გალახა. საინტერესოა, რომ სონგი ამ ჩხუბის გამო არც დაუკავებიათ და არც 18 აგვისტოს დანიშნულ სასამართლო პროცესზე ავალდებულებენ დასწრებას, მაგრამ თუ დადგინდება, რომ დამნაშავე იყო, ორ წელიწადს მიუსჯიან. საკუთრივ ფეხბურთელი, ცხადია, ამბობს, რომ სტუდენტ **ლუდოვიკ აქილ მოუაჰას** არც კი შეხებია, თუმცა დაზარალებულის წინასწარი ჩვენება ასეთია:

„ბარში მეგობარ გოგონასთან ერთად ვიყავი. ის საპირფარეშოში გავიდა, მაგრამ, როდესაც 15 წუთის მერეც არ გამოჩნდა, შევშფოთდი, რამე ხომ არ ხდება-მეთქი. საპირფარეშოსთან რომ მივედი, გზა ორმა პირადმა მცველმა გადამიღობა. მათ მითხრეს, რომ შიგ ალექს სონგი იყო და მე ვერ შევიდოდი. შემდეგ სონგი საპირფარეშოდან გამოვიდა. ის აშკარად გაბრაზებული იყო. ეს ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ მე საავადმყოფოში გავხდი წასაყვანი".

სონგის წარმომადგენელმა კი სამართალდამცავებს ასეთი ვერსია შესთავაზა:

„სონგს ფანები გამუდმებით სთხოვენ ავტოგრაფს. მათ შორის ბევრი ახალგაზრდა ქალია. ჩვენი საქმის მოსარჩლემ ჩხუბი გამოიწვია, რაზეც ალექსის დაცვამ რეაგირება მოახდინა. პირადად ალექსს მისთვის თითიც არ დაუკარებია".

● ახალი ფორმები

ინგლისელებიც ჯამბაზობენ?

რაც ეს ზაფხული დაიწყო, „ევერტონი" სატრანსფერო ბაზარზე არ ჩანს. სამაგიეროდ, ლივერპულის გუნდს მეკარისთვის ახალი ფორმა შეუკერავს და თან ისეთი, ეტყობა **ტიმ ჰოვარდს** ჯარში უშვებს — ასეთი შეფერილობის მაისურით ჰოვარდი გარემოს იოლად შეერწყმება და მტერი ბალახბულახისგან ვეღარ გამოარჩევს. სავარაუდოდ ბალახთან უპირებენ შერწყმას ინგლისის ნაკრების მეკარე **ჯო ჰარტსაც**, ოღონდ, მას ან ადრე გაზაფხულზე დაავალებენ რაღაცას, ან სხვა გეოგრაფიულ სარტყელში გადატყორცნიან — ნაკრების გოლკიპერის მაისურის ფერები უფრო ნათელია.

ინგლისელი ჟურნალისტები ხუმრობენ, რომ მართალია, „ევერტონი", ჩვეულებრივ, ჩემპიონატს მძიმედ იწყებს, მაგრამ ჰოვარდს კრიტიკა და საყვედური ვერ შეხვდება, რადგან მას მოედნისგანაც ვერ გამოარჩევენ.

შეცვალეს ინგლისის ნაკრების სტუმრად ჩასაცმელი ფორმაც. ხომ გახსოვთ, რა ბდღვრიალა წითელი მაისურები ეცვათ ინგლისელებს, როდესაც ისინი გასვლაზე თამაშობდნენ? ამიერიდან ტრადიციულ წითელს, ლურჯი ფორმა შეცვლის. მასმედია ამითაც უკმაყოფილოა. საქმე ის გახლავთ, რომ წითელი ფორმა ჯერ კიდევ 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონ თაობას ეცვა და ტრადიციის დარღვევა შესაძლოა არც ფანებს ესიამოვნოთ. ყოველ შემთხვევაში, „დეილი მეილის" მიერ მოწყობილ გამოკითხვაში, გულშემატკივართა 72-მა პროცენტმა უპასუხა, რომ ახალ, ლურჯ მაისურას ტრიბუნაზე ჩასაცმელად არ იყიდის.

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

● ფულჰემი

შურისძიება

„ფულჰემმა" ყოფილ მწვრთნელ **მარკ ჰიუზზე** შური იძია - უელსელს, რომელმაც დასავლეთლონდონელებთან თანამშრომლობის გაგრძელება არ ისურვა, ასისტენტები დაუქვეითეს. კერძოდ, ყველას, ვინც ჰიუზის დროს კლუბში ჭკუა მოეკითხებოდა და პასუხისმგებლობა ეკისრებოდა, ბავშვთა გუნდები ჩააბარეს.

„ფულჰემი" მუშაობას დღეიდან იწყებს, აქამდე თანამშრომლები შვებულებაში იყვნენ, მაგრამ ცნობილი გახდა, რომ **მარკ ბოუენს, ედი ნეიძვეცკის** და **კევინ ჰიჩკოკს** აკადემიის ბავშვებს მიამაგრებენ. ეს სამეული „კრეივენ კოტეჯზე" ჰიუზს მოჰყვა და კონტრაქტის თანახმად აქ კიდევ ერთი წელიწადი უნდა გაატარონ. მოგეხსენებათ, „ფულჰემის" ახალი თავკაცი ჰოლანდიელი **მარტინ იოლია**, რომელმაც ახალი კაცი მიიყვანა - **მარტინ ლინდემანი**. იოლმა აგრეთვე დააწინაურა **რეი ლევინგტონი**, რომელიც 2007 წლის შემდეგ „ფულჰემში" მუშაობს, მაგრამ სულ მეორე-მესამეხარისხოვან პოზიციებზე იყო.

მარკ ჰიუზი

შეგახსენებთ, რომ მარკ ჰიუზთან დაკავშირებული ადამიანების თქმით, უელსელმა სპეციალისტმა „ფულჰემი" იმიტომ დატოვა, რომ კლუბის დირექტორები ახალი ფეხბურთელების ყიდვისთვის საკმარის ფულს არ აძლევდნენ.

მოგეხსენებათ, „ფულჰემი" ევროპალიგაში გამოდის. პირველ შეხვედრაში მან ფარერის კუნძულების გუნდ „რუნავიკს" 3:0 მოუგო და დღეს საპასუხო მატჩისთვის სტუმრად მიემგზავრება.

უცხოური ფეხბურთი

● კალჩო

მილანელთა ზეიმი ფუჭი გამოდგა

ინტერს სკუდეტო ჩამოართვეს

მორატი არ ნეგდება

ევროპულ საფეხბურთო საზოგადოებაში ბევრს გაუკვირდა ის ფაქტი, რომ იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ „კალჩოპოლის“ შედეგების გადახედვის პროცესი დაიწყო. ამ ამბავმა ბევრი დააბნია, თუმცა ყველაფერი ბევრად მარტივია, ვიდრე ვინმეს შეიძლება ეგონოს - სანამ მთავარზე გადავიდოდეთ, ფედერკალჩოს პრეზიდენტს **ჯანკარლო აბეტეს** მოვუსმინოთ, რომელიც მათაც გაარკვევს ვითარებაში, ვინც ჯერ კიდევ არ იცის რა პროცესი დაიწყო დაახლოებით ნახევარი წლის წინ - ეს კომენტარი ზუსტად ექვსი თვის წინ არის გაკეთებული, თუმცა თვალსაჩინოებისთვის დღესაც გამოგვადგება:

„იტალიურ ფეხბურთში დიდი სიბინძურე იყო, ამიტომ ყველა საეჭვო საკითხი პროკურატურას გადაეცა და საქმის შესწავლას სამართალდამცავი ორგანოები შეუდგნენ. გამომდინარე აქედან, „კალჩოპოლი“ სამართლებრივი პროცესი იყო, რომელსაც ქვეყნის შესაბამისი ორგანოები უძღვებოდნენ და დამნაშავეებიც გამოავლინეს. რაც შეეხება სპორტულ მხარეს, „იუვენტუსისთვის“ ჩამორთმეული სკუდეტო ავტომატურად გადაეცა მეორე ადგილზე გასულ „ინტერს“ - აი სწორედ ეს საკითხია გასარკვევი, ერთია „იუვეს“ ბრალეულობა და მეორე, რამდენად დამსახურებულად მიიღო მილანურმა გრანდმა ტიტული. შესაბამისად, იწყება პროცესი, რომელიც „კალჩოპოლის“ შედეგების სპორტულ მხარეს და მიღებული გადაწყვეტილებების სამართლიანობას გამოიკვლევს“.

დიახ, ეს პროცესი დაახლოებით ნახევარი წლის წინ დაიწყო და გუშინ დასრულდა, ყველაზე საინტერესო კი სწორედ 2005-2006 წლების სერია A-ს გათამაშების ბედი გახლდათ - განიხილებოდა სამი ვარიანტი: 1. შენარჩუნებულიყო არსებული ვითარება; 2. ჩამორთმეოდა სკუდეტო „ინტერს“ და დაბრუნებოდა „იუვენტუსს“; 3. ჩამორთმეოდა სკუდეტო „ინტერს“, ჩემპიონატის შედეგები კი საერთოდ გაუქმებულიყო;

გუშინ, იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც მართალია გასაჩივრებას ექვემდებარება, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ მისი გადახედვა მოხდეს. მაშ ასე, ფედერკალჩოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, სერია A-ს 2005/06 წლების სეზონის შედეგები გაუქმებულად გამოცხადდა და „ინტერს“ ჩამოერთვა სკუდეტო. საჩემპიონო ტიტული არც „იუვენტუსს“ დაუბრუნდა და შედეგად, ასე უპატრონოდ დარჩა. მიღებული გადაწყვეტილების მთავარი მოტივი კი ის გახლავთ, რომ ერთი მხრივ, „ინტერის“ მესვეურები ჩართულნი იყვნენ გამოძიების პროცესში, რაც „კალჩოპოლის“ შედეგებზე გავლენის მოხდენად შეფასდა და მეორე მხრივ, „ინტერი“ უბრალოდ მეორე იყო სატურნირო ცხრილში და მთელი სეზონის სამართლიანად წარმართვის პირობებში, კაცმა არ იცის როგორ დასრულდებოდა ჩემპიონატი. მოკლედ, „ნერაძურის“ სკუდეტოების რაოდენობა 18-დან 17-მდე შემცირდა და შედეგად, საჩემპიონო ტროფეების რაოდენობით მეორე ადგილზე „მილანმა“ გადაინაცვლა (18 სკუდეტო). ბოლოს, **მასიმო მორატის** გადავცეთ სიტყვა, რომელიც ფედერკალჩოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებას აპირებს:

„ფედერკალჩოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით ძალიან იმედგაცრუებული ვარ, რადგან ჩემი ღრმა რწმენით, 2005/06 წლების სეზონში საუკეთესო იტალიური გუნდი სწორედ „ინტერი“ იყო. გადაწყვეტილებას აუცილებლად გავასაჩივრებთ და ვეცდებით, რომ სამართლიანობა აღვადგინოთ“.

ლაშა წიკლაური

● ლაციო

ლოტიტო აღარ ხუმრობს

ლაციოს პრეზიდენტმა ჯიბეზე ხელი გაიკრა

კლაუდიო ლოტიტო არასდროს გამოირჩეოდა ხელგაშლილობით და საყოველთაო გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ამ ზაფხულს ფულის ხარჯვას მიჰყო ხელი. შედეგად, რამდენიმე საინტერესო ტრანსფერი უკვე გაჩარხა და გაჩერებას არც მომავალში აპირებს. მართალია, **მიროსლავ კლოზე** თავისუფალი აგენტის სტატუსით დაიმატა, მაგრამ ხელფასი დაუნიშნა ისეთი, რომ ორ-სამ საშუალო კლასის ფეხბურთელს დაიმატებდა. მოკლედ, ლოტიტომ ჯიბეზე ხელი გაიკრა და ცდილობს, რომ „ლაციოს“ ძველი დიდება დაუბრუნოს. ამ გზაზე კიდევ ერთ ნაბიჯად განიხილება **ფედერიკო მარკეტის** გადაბირება, კიპერის, რომელიც 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე იტალიის ეროვნული ნაკრების კარს იცავდა. გახსოვთ ალბათ, სამხრეთ აფრიკაში **ჯანლუიჯი ბუფონის** დუბლიორის რანგში გაემგზავრა და ამ უკანასკნელის ტრავმის გამო, ძირითადში ამოყო თავი. მარკეტის მუნდიალი ჩაუვარდა, დიდი ვერაფერი შთაბეჭდილება დატოვა და მას შემდეგ საკლუბო კარიერაც აერია. „კალიარის“ ძირითადში **მიკელე აგაციმ** დაიმკვიდრა ადგილი და აგერ უკვე ორი სეზონია, ფედერიკოს სათადარიგო სკამის ხეხვა უწევს.

ფედერიკო მარკეტის ეშველა

„ლაციოს“ ძირითადი მეკარე **ფერნანდო მუსლერაა**, რომელსაც 2012 წლის ზაფხულს უმთავრდება კონტრაქტი და როგორც ურუგვაელის პირადმა აგენტმა განაცხადა, მის გახანგრძლივებას არ აპირებს. ანუ, მუსლერამ „ლაციოს“ მესვეურებს უარი შეუთვალა და ამის გამო, შესაძლოა მკაცრადაც დაისაჯოს. ზუსტად ანალოგიური საქციელის გამო, **გორან პანდევი, ლორენცო დე სილვესტრი** და **კრისტიან ლედესმა** ლოტიტომ მთავარი გუნდიდან მოკვეთა და წელიწად-ნახევარი დააკარგვინა. შესაძლოა, ანალოგიური განმეორდეს მუსლერას შემთხვევაში და ურუგვაელ კიპერს ერთი სეზონი, ანუ იქამდე, სანამ კონტრაქტის ვადა ამოწურება, უფეხბურთოდ მოუწიოს ყოფნამ. „ლაციოს“ მესვეურების მარკეტისთან მოლაპარაკებები ამ ეჭვს კიდევ უფრო აღრმავებს - თუმცა, რაღა მოლაპარაკებები, 28 წლის კიპერი უკვე რომშია, სამედიცინო შემოწმებას გადის და სულ მალე ხელშეკრულებასაც გააფორმებს. ამ ინფორმაციას თავად მარკეტი ადასტურებს:

„ბედნიერი ვარ რომში ყოფნით და დიდი იმედი მაქვს, რომ კონტრაქტს უახლოეს პერიოდში მოვაწერ ხელს. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ასეც იქნება და დავაღწევ თავს იმ კოშმარს, რასაც ფეხბურთის გარეშე ყოფნა ჰქვია. თავს არ ვზოგავდი, მთელი მონდომებით ვვარჯიშობდი, მაგრამ „კალიარის“ მწვრთნელ-ხელმძღვანელობას ვერაფრით მოვაწონე თავი. დიახ, ხელმძღვანელობას, რადგან მცირე კონფლიქტის გამო მათაც ათვალწუნებული ვყავდი. მოკლედ, ძალიან სასიამოვნო შეგრძნებაა, რომ ფეხბურთს ვუბრუნდები და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ „ბიანკოჩელესტეს“ მესვეურთა ნდობა ბოლომდე გავამართლო“.

„გაძეტა დელო სპორტის“ ინფორმაციით, კლაუდიო ლოტიტო ფედერიკო მუსლერას სანაცვლოდ 5.2 მილიონ ევროს გადაიხდის, კიპერის წლიური ანაზღაურება კი 1 200 000 ევრო იქნება.

„ლაციო“ კიდევ ერთი ტრანსფერის მიჯნაზეა და იქაც, პრაქტიკულად უკვე ყველაფერი გადაწყვეტილია - რომაული გუნდის ღირსებას მომდევნო სეზონიდან **ლორიკ ცანა** დაიცავს. ვისაც არ გეცნოთ ეს გვარი, გეტყვით, რომ ცანა 27 წლის ალბანელი ფეხბურთელია, კარიერის დიდი ნაწილი საფრანგეთის პრემიერ-დივიზიონში აქვს გატარებული, გასულ სეზონში კი „გალათასარაის“ ღირსებას იცავდა - 24 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და ერთი გოლიც გაიტანა. ამპლუით საყრდენი ნახევარმცველია და თუ საჭირო გახდა, მცველის ფუნქციებსაც ასრულებს. კარიერის საწყის წლებში სწორედ ცენტრალური მცველი იყო და შემდეგ აინაცვლა შუახაზში. მოკლედ, „ლაციომ“ ნახევარდაცვაც გააძლიერა და საინტერესოა, ვინ იქნება შემდეგი? ამ კითხვაზე მომდევნო ნომრებში გავცემთ პასუხს, დღეს კი კლაუდიო ლოტიტოს სიტყვებით დავასრულოთ:

„სატრანსფერო კამპანიას კიდევ უფრო გავააქტიურებთ და რამდენიმე ფეხბურთელს აუცილებლად დავიმატებთ, თუმცა დღეს კონკრეტულ გვარებზე საუბარი გამიჭირდება. ამასთან, წამყვანი ფეხბურთელების შენარჩუნება გვაქვს განზრახული და თუ რაიმე გაუგებრობა არ მოხდა, ძირითად ბრთვს შევინარჩუნებთ. ეს ეხება მაურო სარატესაც, რომელიც ჟურნალისტებს ხან „იუვენტუსში“ გადაჰყავთ, ხან „ნაპოლიში“ და ხანაც არაბთა გაერთიანებულ საამიროებში. არგენტინელი ჩვენთან რჩება და არსად ნასვლას არ აპირებს“.

ლაშა წიკლაური

● ინტერვიუ. მირჩა ლუჩესკუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორია ყოველდღიურად იწერება

“შახტარის”მთავარმა მწვრთნელმა მირჩა ლუჩესკუმ ჟურნალ “შახტარს” ინტერვიუ მისცა. მან ვრცლად ილაპარაკა პრეზიდენტ რინატ ახმეტოვზე, ფეხბურთელებსა და სახელობით ვარსკვლავზე. ამგვარი ინტერვიუები ვრცელი გამოდის ხოლმე, ჩვენი საგაზეთო ფორმატი არ იძლევა საშუალებას, რომ ის სრულად შემოგვთავაზოთ.

- ეს სეზონის “შახტარის” ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. თქვენთვისაც ასეა?

- ძნელია იმის თქმა, საუკეთესოა თუ არა. ტიტულებს ადრეც ვიგებდით, მაგრამ წელს პირველად მოვხვდით ჩემპიონთა ლიგის 1/4-ფინალში, მოვიგეთ ქვეყნის ჩემპიონატიც და თასიც. საერთო ჯამში, ტიტულებით თუ ვიმსჯელებთ, შემიძლია ვთქვა, რომ წარმატებული სეზონი იყო.

- გასულ სეზონში რომელმა ფეხბურთელმა გაგაკვირვათ და რომელმა ვერ გაამართლა თქვენი იმედები?

- მთელი სეზონის განმავლობაში ფეხბურთელებს ჰქონდათ აღმაფრენისა და დაცემის მონაკვეთები. შეუძლებელია ვინმეს გამორჩევა და იმის თქმა, რომ ყველაზე სტაბილური იყო. ძალიან კარგად დაიწყო მხითარიანმა, მაგრამ ჩემპიონატის მიწურულს მოუკლო. ანალოგიურის თქმა შეიძლება დუგლას კოსტაზეც – შემოდგომაზე კარგი იყო, გაზაფხულზე კი... მხოლოდ გამოცდილი ფეხბურთელების გამოყოფა შეიძლება, ყველაზე სტაბილურები სრნა, რაცი და ჰიუბშმანი იყვნენ. კარგად ითამაშა რაკიკიმაც. მაღალ დონეზე იასპარეზეს ბრაზილიელებმაც.

- ჩიგრინსკისთვის ეს სეზონი ერთმნიშვნელოვნად წარუმატებელი იყო?

- სამწუხაროდ მას “ბარსელონაში” საქმეები არ აეწყო. იქ ის ძალიან ცოტას თამაშობდა და “დონბას არენაზე” სათამაშო პრაქტიკის გარეშე დაბრუნდა. ჩვენთან ვარჯიში სექტემბერში დაიწყო, შესაბამისად მოსამზადებელი ეტაპი სხვებთან ერთად გაიარა და ფორმაში ჩემს ფეხბურთელებზე გვიან შევიდა. მისი თამაშით კმაყოფილი ვიყავი იქამდე, ვიდრე ტრავმას მიიღებდა. ჩვენთვის მისი ტრავმა სერიოზული დანაკარგი იყო, განსაკუთრებით “ბარსელონასთან” მატჩის წინ. ვფიქრობ, ის რომ ჩვენთან ერთად ყოფილიყო, “ბარსელონასთან” შედეგი სხვანაირი იქნებოდა. მისმა ტრავმამ პრობლემები შეუქმნა მასაც და მთლიანად გუნდსაც. ჩიგრინსკის დაბრუნებას მოუთმენლად ველით, დმიტრო ჩემი გუნდის თამაშში ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურაა.

- ის გუნდთან ერთად არ გამოჩენილა არც დაჯილდოებაზე და არც კლუბის 75 წლის იუბილეს აღსანიშნავ ზეიმზე. არ გეშინიათ, რომ ის ფსიქოლოგიურად გატყდება?

- მას სურს, რომ გულშემატკივრებმა ის მიიღონ, როგორც მოქმედი ფეხბურთელი და არა ფეხბურთელი ყავარჯნებით. დმიტრო გასახდელში მუდმივად ჩვენთან ერთად იყო ყოველი მატჩის შემდეგ, ასე იყო დაჯილდოების წინაც. მე მესმის მისი. თუ ღმერთმა ქნა და მომდევნო სეზონი შარშანდელზე არანაკლები გამოდგა, ჩიგრინსკის შეეძლება ჩვენთვის ნამყვან როლი ითამაშოს.

- ფერნანდინიომ ფორმა ბოლომდე აღიდგინა?

- არა, ის ძველი ფერნანდინიოს მხოლოდ 60 %-ია. ტრავმამდე ისიც კარგად გამოიყურებოდა, ტყუილად ხომ არ მიუწვევიათ ის ნაკრების შემადგენლობაში? მისი დაბრუნება იმაზე მეტად გაინელა, ვიდრე ვინმე წარმოიდგენდა. ჩვენი მხრივ ყველაფერი გავაკეთეთ, რომ ის მინდორზე მალე დაბრუნებულიყო. ფერნანდინიო ნერვიულობდა უთამაშებლობის გამო და ჯერ კიდევ იქამდე, ვიდრე ბოლომდე გამოჯანმრთელდებოდა, ძირითადში ვაყენებდი. თავად მსურდა, რომ მას ფსიქოლოგიურად გვერდით ასე დავდგომოდი.

- გეგმავთ თუ არა ვინმეს შეძენას?

- ვნახოთ, შეიძლება ვინმე მართლა გამოჩნდეს. შეიძლება ვინმემ ჩვენი დატოვებაც მოინდომოს. “შახტარში” ძალით არავის გავაჩერებ. მე მხოლოდ ისეთი ფეხბურთელები მჭირდება, რომლებიც გუნდს მთელი სულითა და გულით უგულშემატკივრებენ.

- რომელმა საფეხბურთო ეპიზოდმა აღგაფრთოვანათ ყველაზე მეტად და რომელმა აღგაშფოთათ?

- ყველაზე უსიამოვნო ეპიზოდი, რა თქმა უნდა ფერნანდინიოს ტრავმა იყო. ჩემპიონთა ლიგის დანყებამდე წამყვანი თავდამსხმელის გარეშე დავრჩით. შემდეგი უსიამოვნო ეპიზოდი იყო ადრიანოს ტრავმა “ვოლინთან” მატჩში. ჩიგრინსკის დამტვრევაც მძიმე გადასატანი იყო. ყველაზე მეტად სწორედ იმან დამშოკა, რაც ხდებოდა ჩემი ფეხბურთელების ჯანმრთელობასთან დაკავშირებით. რაც უნდა მოხდეს, მთავარი ყოველთვის ფეხბურთელების ჯანმრთელობა დარჩება.

- დადებითზე რას გვეტყვით?

- დადებითიც ბევრი იყო. ყოველი წარმატება გუნდს უკეთეს განწყობაზე აყენებდა. კლუბის 75 წლის იუბილესა და ჩემპიონობის აღნიშვნა კარგი გასახსენებელია. პირადად მშვენივრად მახსენდება, რომ “დონბას არენასთან” სახელობითი ვარსკვლავი გამიხსნეს. მომანიჭეს ორდენი, რომელიც უკრაინის პრეზიდენტმა გადმომცა. მთავარია, რომ “შახტარის” პრეზიდენტთან ძველებურად თბილი ურთიერთობა მაკავშირებს.

მირჩა ლუჩესკუ დონეცკში ისტორიას ყოველდღიურად წერს

- მისტერ ლუჩესკუ, მოდით, ისევ თქვენს სახელობით ვარსკვლავზე ვილაპარაკოთ. თქვენ რამდენიმე კლუბში გიმუშავიათ და სადმე რამე მსგავსი რამ თუ გაუკეთებიათ თქვენთვის?

- არა, რადგან ასე ხანგრძლივად არსად მიმუშავია. ჩემ მიმართ ყველგან პატივისცემით იყვნენ განმსჭვალულნი, მაგრამ სხვაგან სხვა სიტუაცია იყო. მაგალითად თურქეთში კლუბების პრეზიდენტები ფიქრობენ, რომ ისტორია მათით იწყება და წინამორბედების პატივისცემა საჭირო არ არის.

- 7 წლის წინ, როცა “შახტარში” სამუშაოდ მოდიოდით, კლუბის ისტორია დაწვრილებით შეისწავლეთ?

- რა თქმა უნდა, ამით ყოველი მწვრთნელი უნდა დაინტერესდეს, რადგან აქ პატივს სცემენ ყველას, ვინც კი კლუბის ისტორიასთან თუნდაც რაიმეთია დაკავშირებული. აქ ისტორია ყოველდღიურად იწერება და ეს მუდამ იგრძნობა.

ლევან ბიბილაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● თურქული სკანდალი

ერდოღანი: ეს მწარე რეალობაა!

ფენერბაჰჩეს ჩემპიონობის ჩამორთმევა და მეორე ლიგაში დაქვეითება ემუქრება

თურქეთის პრემიერ-მინისტრი რეჯეფ ტაიპ ერდოღანი (მარჯვნივ) და უეფას პრეზიდენტი მიშელ პლატინი

ორშაბათის ნომერში თურქეთში აფეთქებულ სკანდალზე ვწერდით და გაუწყეთ, რომ მანიპულაციებში ეჭვმიტანილები დააკავეს. დაკავებულთა შორის, თურქულმა პრესამ თურქეთის ნაკრების ფეხბურთელის, სერქან ჩალიქის გვარიც მოიხსენია, მაგრამ როგორც გაირკვა, ეს უკანასკნელი ციხეში ნამდვილად არ ზის - ჩალიქი გერმანიაშია, სადაც შვებულებას ატარებს.

ჩალიქი: ციხეში რა მინდა, გერმანიაში ვარ!

„სახლში, მშობლებთან ერთად ვიყავი და ტელევიზორს ვუყურებდი, როცა ერთ-ერთ თურქულ ტელეარხზე გამოაცხადეს, რომ მე თურმე დაჭერილი ვარ და ბრალი მატჩების მანიპულირებაში მედება. თავიდან ძალიან გავბრაზდი ამ ცრუ ინფორმაციის გამო, მერე კი ბევრი ვიცინე, - აცხადებს 25 წლის ფეხბურთელი და იქვე დასძენს, - *რამდენიმე კვირაა გერმანიაში ვარ და სკანდალის შესახებ კვირამდე არაფერი ვიცოდი. თურქული პოლიციიდან ჩემთვის არავის დაურეკავს და დარწმუნებული ვარ, რომ არც დამირეკავენ, რადგან არაფერი დამიშავებია“.* ჩალიქი სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს და უნდა, რომ ყველა იმ მედიასაშუალებას უჩივლოს, სადაც ითქვა, რომ ის დააკავეს.

ამასობაში, სკანდალის შესახებ ყოველდღიურად ახალ-ახალი ინფორმაცია ვრცელდება. თურქული ფეხბურთის ისტორიაში უდიდესი სკანდალის შესახებ კომენტარი ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა **ტაიპ ერდოღანმაც** გააკეთა: *„სამართალდამცავი სტრუქტურები იდეალურად მუშაობენ. იმედი მაქვს, რომ მალე ყველაფერს ნათელი მოეფინება და ყველა დამნაშავე გამოვლინდება. ეს სკანდალი ნამდვილად გამოგვაფხიზლებს. რაც უნდა მწარე იყოს რეალობა, ჩვენ ის უნდა მივიღოთ, დამნაშავეები კი საკადრისად უნდა დავსაჯოთ,“* - აღნიშნა ერდოღანმა და დასძინა, - *ბრალდებების მხოლოდ ხუთი პროცენტიც რომ დადასტურდეს, ეს თურქეთისთვის და თურქული სპორტისთვის მაინც საშინელება იქნება.“*

ყველაფრის თავი ფენერბაჰჩეა

მას მერე, რაც პოლიციამ კვირას თურქეთის 15 პროვინციაში საერთო ჯამში 49 ეჭვმიტანილი, მათ შორის „ფენერბაჰჩეს“ პრეზიდენტი **აზიზ ილდირიმი** დააკავა, სამართალდამცავებმა კიდევ რვა პირი აიყვანეს, რომელთა ვინაობა არ გახმაურებულა. ილდირიმი, რომლის გუნდი სკანდალში სავარაუდოდ მთავარ როლს თამაშობს, თავიდან საავადმყოფოში გადაიყვანეს, რადგან გულზე პრობლემები შეექმნა, თუმცა სერიოზული არაფერი აღმოაჩნდა და მალე ისევ ციხეში დააბრუნეს. პარალელურად, „ფენერის“ (გუნდი თურქეთის მოქმედი ჩემპიონია) აქციების ფასი სტამბოლის ბირჟაზე ათი პროცენტით დაეცა. გუშინ, „ფენერბაჰჩეს“ სხვა ხელმძღვანელებმა მორიგი ოფიციალური განცხადება გაავრცელეს, სადაც ნათქვამია, რომ კლუბს არაფერი დაუშავებია და რომ „ფენერის“ ყველა ფანს შეუძლია, გუნდის სუფთა და წარმატებული ისტორიით იამაყოს.

მანიპულაციების დამტკიცების შემთხვევაში, „ფენერბაჰჩეს“ ჩემპიონობის ჩამორთმევასთან ერთად, თურქეთის სუპერლიგიდან მეორე ლიგაში დაქვეითებაც ემუქრება. აქვე შეგახსენებთ, რომ „ფენერთან“ ერთად, სკანდალში ვიცე-ჩემპიონი „ტრაბზონსპორი“, „სივასი“, „ესქიშეჰირი“, „გენჩლერბირლიგი“ და „ანკარაგიუჯუც“ არიან გარეულები. ამ კლუბებიდანაც რამდენიმე ფუნქციონერი და ფეხბურთელია დაკავებული, რომლებსაც ბრალის დამტკიცების შემთხვევაში თავისუფლების რამდენიმე წლით აღკვეთა ემუქრებათ.

თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური განცხადებით, კონკრეტული დეტალები მანამდე არ გახდება ცნობილი, სანამ გამოძიება არ დასრულდება.

● შალკე

შალკე ხუთს უშვებს

ბოლო დროს არაერთხელ ვწერდით იმის შესახებ, რომ „შალკეს“ მენეჯერმა **ჰორსტ ჰელდტმა** სეზონის დასრულების შემდეგ „დიდი ნმენდა“ დაიწყო. **ფელიქს მაგათის** მწვრთნელობისა და მენეჯერობის დროს, გელზენკირხენული კლუბის განაცხადში 45 ფეხბურთელი იყო, გუნდის ახალმა თავკაცმა **რალფ რანგნიკმა** კი თქვა, რომ ამდენი ფეხბურთელი არ სჭირდება. მას მერე, „შალკემ“ 15 ფეხბურთელი უკვე გაუშვა – ზოგს კონტრაქტი გაუწყვიტა, ზოგი გაყიდა, ზოგიც გაანათხოვრა. ჰელდტი ამბობს, განაცხადში 24-25 მოთამაშეზე მეტი არ გვჭირდებაო, დღეს კი რანგნიკის განკარგულებაში 30 ფეხბურთელია, რაც იმას ნიშნავს, რომ „ხუმარებმა“ კიდევ 5 მოთამაშე უნდა მოიშორონ და მინიმუმ ერთი უნდა იყიდონ.

ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ის არის, „ბილდის“ ინფორმაციით, იმ ხუთ მოთამაშეს შორის, რომლებიც „შალკემ“ უნდა მოიშოროს, **ლევან ყენიას** გვარიც ფიგურირებს. ქართველ გამთამაშებელთან ერთად, ჩვენი ბილდელი კოლეგების ცნობით, გელზენკირხენული კლუბი ტრანსფერზე **ჯერმეინ ჯონსს, ანტონი ანანს, იან მორავეკს** და **ხუნმნინ ჰაოს** აყენებს.

თუმცა, ეს მხოლოდ „ბილდის“ ინფორმაციაა. ოფიციალურ კომენტარში კი, მენეჯერი ჰელდტი მხოლოდ ანანისა და ჰაოს გაყიდვის სურვილს ადასტურებს. ჰორსტი ამბობს, ამ ფეხბურთელებს უკვე ველაპარაკე და ვუთხარი, რომ ახალი გუნდები უნდა ეძებონო.

„ბილდის“ ცნობით, ჰაოს გადაბირებით რუსული კლუბი, გროზნოს „ტერეკი“ დაინტერესდა და ეს ცნობა გუშინ ჰელდტმაც დაადასტურა. მისი თქმით, „ტერეკის“ ხელმძღვანელებმა „შალკეს“ ოფისში ფაქსი გამოგზავნეს, სადაც იტყობინებოდნენ, რომ მოლაპარაკებების დასაწყებად შეხვედრა სურთ. ჩვენი გერმანელი კოლეგები იმასაც წერენ, რომ „შალკემ“ ჰაოს სანაცვლოდ 2.5 მილიონი ევრო მოითხოვა. აღსანიშნავია, რომ ამ ფეხბურთელის შეძენით გერმანული კლუბები, „კიოლნი“, „შტუტგარტი“ და „ლევერკუზენიც“ არიან დაინტერესებულები. რაც შეეხება ყენიას საკითხს, თუ „ბილდის“ მიერ გავრცელებული ცნობა მართალია, წესით, ამ დღეებში კიდევ უფრო მეტი რამ უნდა გახდეს ცნობილი...

● ვოლფსბურგი. ტრანსფერი

მგლებმა სალიჰამიჯიჩი გაადიბირეს

ბრაცო გერმანიაში კმაყოფილი და მოტივირებული ბრუნდება

როგორც ყოველთვის, **ფელიქს მაგათი** სატრანსფერო ბაზარზე ამ ზაფხულსაც ყველაზე აქტიურია. გუშინ, მისმა „ვოლფსბურგმა“ ახალი სეზონისთვის რიგით მეოთხე ახალწვეული წარადგინა: „მგლებმა“ ყველასათვის კარგად ცნობილი ბოსნიელი ნახევარმცველი, გამოცდილი **ჰასან სალიჰამიჯიჩი** გადაიბირეს. „ბრაცო“, რომელიც ადრე წლების მანძილზე მიუნხენის „ბაიერნის“ ღირსებას იცავდა, გერმანიაში იტალიიდან ბრუნდება, სადაც ტურინის „იუვენტუსში“ თამაშობდა. „ბებერ ქალბატონთან“ მას კონტრაქტი ამოეწურა, ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **ანტონიო კონტემ** კი მისთვის ახალი ხელშეკრულების გაფორმება არ მოისურვა. შესაბამისად, სალიჰამიჯიჩმა „ვოლფსბურგს“ უფასოდ მიაშურა. ჰასანი „ვოლფსბურგის“ ფეხბურთელის რანგში გუშინ, შლეზვიგ ჰოლშტაინის მხარეში წარადგინეს – „მგლები“ ახალი სეზონისთვის მოსამზადებელ შეკრებას სწორედ იქ გადიან. 34 წლის სალიჰამიჯიჩმა „ვოლფსბურგთან“ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

„ბრაცო“ არის ფეხბურთელი, რომელმაც თავისი კარიერის განმავლობაში არაერთ კლუბში უმაღლეს დონეზე ითამაშა და შრომისმოყვარეობის თვალსაზრისით ყველგან ყოველთვის სამაგალითო ფეხბურთელი იყო. შესაბამისად, ძალიან მიხარია, რომ ეს ფეხბურთელი ხელში უფასოდ ჩავიგდეთ. გარდა იმისა, რომ ჰასანი მონდომებული ფეხბურთელია და მოედანზე თავს არასდროს ზოგავს, არაერთ პოზიციაზე შეუძლია თამაში, რაც ჩვენს გუნდს ტაქტიკურად კიდევ უფრო მოქნილს გახდის. დარწმუნებული ვარ, რომ მისი გამოცდილება ჩვენს გუნდს ძალიან გამოადგება,“ - განაცხადა მაგათმა სალიჰამიჯიჩის წარდგენისას.

სალიჰამიჯიჩის ყიდვის შემდეგ, გერმანიაში ეჭვი აღარავის ეპარება იმაში, რომ „ვოლფები“ **საშა რიტერს** შეელევიან. „კიკერი“ წერს, რომ მაგათი „კიოლნს“ თითქმის ყველაფერზე მოურიგდა.

„ჩემთვის თავიდანვე ცხადი იყო, რომ „ბაიერნისა“ და „იუვენტუსის“ შემდეგ ნებისმიერ კლუბში არ გადავიდოდი. ფელიქს მაგათმა დაარწმუნა, რომ „ვოლფსბურგს“ ძალიან ვჭირდები და მეც სწორედ ეს მიხარია. ბედნიერი ვარ, რომ ვიქნები იმ პროექტის მონაწილე, რომელსაც სათავეში მაგათი უდგას,“ - ეს კი თვითონ სალიჰამიჯიჩის სიტყვებია. აღსანიშნავია, რომ თავის დროზე, „ბაიერნამდე“, სალიჰამიჯიჩი „ჰამბურგშიც“ სწორედ მაგათმა გადაიყვანა.

„ჰამბურგის“ რიგებში ბრაცომ 72 მატჩში 19 გოლის გატანა შეძლო (14 პასი), „ბაიერნში“ კი ცხრა წელი გაატარა და 234 შეხვედრაში 30 გოლი გაიტანა (36 საგოლე პასი). მიუნხენურ გრანდთან ერთად ის ექვსჯერ გახდა გერმანიის ჩემპიონი, ოთხჯერ მოიგო გერმანიის თასი და 2001 წელს კი ჩემპიონთა ლიგაც მოიგო – ფინალში, „ვალენსიას“ პენალტიც გაუტანა. ჰასანმა რეკორდმაისტერი 2007 წელს დატოვა და „იუვენტუსს“ მიაშურა. „ბებერ ქალბატონთან“ მას ოთხწლიანი კონტრაქტი აკავშირებდა და ტურინში სწორედ ეს პერიოდი გაატარა.

ჰასან სალიჰამიჯიჩი **პატრიკ ოხსის, სრდიან ლაკიჩისა** და **მატეუშ კლიხის** შემდეგ, „ვოლფსბურგისთვის“ რიგით მეოთხე ახალწვეულია.

ჰასან სალიჰამიჯიჩი (მარცხნივ) ფელიქს მაგათმა წარადგინა

● ბუნდესლიგა

გერმანიაში დიდი ნომრები აიკრძალა

გერმანიის საფეხბურთო ლიგამ ფეხბურთელებს 40-ზე დიდი ნომრების აღება აუკრძალა

ჩვენი აზრით, ასეთი აკრძალვა სხვა ქვეყნებშიც უნდა იყოს დაწესებული, რადგან ფეხბურთში დიდი ნომრები ცოტა უხერხული სანახავია. თუმცა სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს და მართალია, ამას ჯერ მხოლოდ გერმანიაში მიხვდნენ, მაგრამ იმედია, გერმანიის საფეხბურთო ლიგის გადაწყვეტილებას სხვა ქვეყნების საფეხბურთო ლიგებიც მიჰბაძავენ. ბუნდესლიგაში კი, გუნდებს 40-ზე მაღალი ნომრების გაცემა აეკრძალათ. ბუნდესლიგის შეფების აზრით, კლუბს პირველი გუნდის განაცხადში 40-ზე მეტი ფეხბურთელი არასდროს ჰყავს და როცა მაგალითად, 21-ე ნომერი თავისუფალია, 88-ე ნომრის გაცემა არ უნდა იყოს დასაშვები.

თუმცა გერმანელები ამ შემთხვევაში მაინც ლოიალურები არიან და იმ ფეხბურთელებს, რომლებსაც უკვე 40-ზე მაღალი ნომრები აქვთ, მაისურების გამოცვლას არ ავალდებულებენ. მაგალითად, „ბაიერნის“ უკრაინელი საყრდენი ნახევარმცველი **ანატოლი ტიმოშჩუკი** 44-ე ნომრით ასპარეზობს და შეუძლია, ეს ნომერი შეინარჩუნოს. იგივე ეხება ბერლინის „ჰერტას“ ნახევარმცველ **გიოკო კაჩარსაც,** რომელიც ასევე 44-ნომრიანი მაისურით თამაშობს.

სამაგიეროდ, გერმანიის საფეხბურთო ლიგა არაფერს დაუთმობს დორტმუნდის „ბორუსიას“ ახალწვეულ **ივან პერიშიჩს**. ხორვატი შემტევი ნახევარმცველი გერმანიის ჩემპიონში ახლა გადავიდა და საყვარელი ნომრის, ასევე 44-ის აღება სურდა, მაგრამ იძულებულია, საფეხბურთო ლიგის ახალ კანონს დაემორჩილოს. ამრიგად, პერიშიჩი 14-ნომრიანი მაისურით ითამაშებს. ბუნდესლიგის შეფებმა გამონაკლისი შემთხვევებიც გაითვალისწინეს: თუკი რომელიმე კლუბს პირველი გუნდის განაცხადში 40-ზე მეტი ფეხბურთელი ეყოლება, ნომრები რიგრიგობით უნდა გაიცეს: 41, 42 და ასე შემდეგ.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

ანატოლი ტიმოშჩუკი 44-ე ნომერს მაინც შეინარჩუნებს

კოპა ამერიკა 2011

COPA AMERICA ARGENTINA 2011

ფრე სამხრეთამერიკული შედეგია

ურუგვაი 1 : 1 პერუ

ურუგვაი: მუსლერა, ლუგანო, პერეირა, ვიქტორინო, კასერესი, პერესი, არევალო, ლოდეირო (78. როდრიგესი), ფორლანი, სუარესი, კავანი (78. ერნანდესი).

პერუ: ფერნანდესი, ვილჩესი, აკასიეტე, რევორედო, როდრიგესი, კრუსადო, ბალბინი, გევარა (57. ლობატონი), იოტუნი (59. ვარგასი), კასტრილონი (90. ჩიროკე), გერერო.

გოლები: 0:1 გერერო (23), 1:1 სუარესი (45)

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: პაოლო გერერო (ჩილე)

სან ხუანის „ესტადიო დელ ბისენტენარიოზე“ ურუგვაის ნაკრებს, პერუელებთან შეხვედრაში, „ლივერპულის“ 24 წლის თავდამსხმელმა **ლუის სუარესმა** მოუპოვა ქულა - C ჯგუფის თვალსასაყირო შეხვედრაში მან გაათანაბრა ანგარიში, რომელიც პერუელმა **ხოსე პაოლო გერერომ** 23-ე წუთზე გახსნა, სუარესმა კი ზედ შესვენების წინ, ფაქტობრივად, პირველი ტაიმის ბოლო დარტყმით გაქვითა.

მეორე ნახევარში **დიეგო ფორლანს** შეეძლო **ოსკარ ტაბარესის** გუნდისთვის სამი ქულის მოტანა, მაგრამ მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელმა ისეთი მდგომარეობიდან ვერ შეაგდო, რომ იტყვიან, აცილებაზე ადვილი გატანა იყოო.

როგორც მოგახსენეთ, მძიმე სტარტის შემდეგ პერუმ 23-ე წუთზე გახსნა ანგარიში: გერერომ ურუგვაელთა დაცვის ხაზი გაარღვია, გვარიანი მანძილი გაირბინა, მეკარე **ფერნანდო მუსლერასაც** აჯობა და ბურთი კარში შეაგდო. ურუგვაელებმა თავი ხელში აიყვანეს და ანგარიშის გათანაბრება სცადეს. ჯერ იყო და **მაქსი პერეირას** დარტყმულმა გზა იცვალა და კარში აღარ შევიდა, შემდეგ კი ფორლანმა შეასრულა დიდოსტატური ჯარიმა, მაგრამ მეკარე **რაულ ფერნანდესს** ვერ აჯობა. ტაიმის ბოლო წამებზე კი სუარესის ჯერი დადგა. ურუგვაელი მეკარესთან პირისპირ შევიდა და თავდამსხმელებისთვის ჩვეული ოსტატობითა და ცივსისხლიანობით ნაკრების შემადგენლობაში თავისი მე-18 გოლი გაიტანა.

მეორე ტაიმის პირველი სახიფათო მომენტი **ხუან მანუელ ვარგასს** ჰქონდა, როდესაც მისი დარტყმული მიზანს ოდნავ ასცდა. აი, ამის შემდეგ კი იყო ის მომენტი, რომლის შესახებაც დასაწყისში მოგახსენეთ: სუარესმა ფორლანი მეტისმეტად ხელსაყრელ მდგომარეობაში გაიყვანა, მაგრამ, ჩვეულებრივ ზუსტმა ფორვარდმა მიზანს ააცილა.

ბოლოს კიდევ იყო ორი მომენტი: ჯერ ისევ ვარგასს დააკლდა მიზანი, შემდეგ კი გერერომ იჩქარა თავის დარტყმა, არადა შეეძლო უფრო მშვიდად მოქცეულიყო და მიზნისთვის მიეღწია. საბოლოოდ, ურუგვაიმ და პერუმ „კოპა მარიკას“ პირველი ხუთი თამაშიდან მეოთხე ფრე ითამაშეს.

ილია ბაგუნაშვილი

● კოპას ტალეიდოსკოპი

არგენტინა ხომ გუნდი არ არის

ეს სიტყვები კოსტა რიკის ნაკრების არგენტინელ თავკაც **რიკარდო ლა ვოლპეს** ეკუთვნის. ასე მწარედ გააკრიტიკა მან **სერხიო ბატისტას** გუნდი ბოლივიასთან 1:1 დასრულებული შეხვედრის შემდეგ. ლა ვოლპემ ასე დაახასიათა მასპინძელთა ნაკრები: *„არგენტინა გუნდი არაა, ეს არის ინდივიდუალთა კრებული, რომელიც თავისთვის თამაშობს. მაისურის ზურგ ზე დაწერილი გვარი თამაშს ვერ მოიგებს“.*

შეგახსენებთ, რომ ლა ვოლპეს გუნდმა პირველ ტურში კოლუმბიასთან 0:1 დათმო, ახლა კი ბოლივიას დაუპირისპირდება. ლა ვოლპეს მშობლიური ქვეყნის ნაკრებთან დაპირისპირება ჯგუფური ეტაპის ბოლოს მოუწევს.

სად მესი და სად ნეიმარი?!

არგენტინის ნაკრების ფორვარდ **სერხიო აგუეროს** თანამემამულე **ლეო მესისა** და ბრაზილიელი **ნეიმარის** შედარება სთხოვეს. აგუერო მიიჩნევს, რომ ამ ორი ფეხბურთელის შედარება ჯერ არ შეიძლება, რადგან ბრაზილიელ ვუნდერკინდს კიდევ ბევრი აქვს დასამტკიცებელი ფეხბურთში: *„ნეიმარს ჯერ ბრაზილიის იქით არსად უთამაშია, მას ჯერ არ გაუგია, რას ნიშნავს ევროპულ ჩემპიონატში თამაში. ამიტომ, შედარება უადგილოა“.*

მენეზეშმა, დაისვენეთო

ბრაზილიის ნაკრებს არცთუ კარგი სტარტი გამოუვიდა კოპა ამერიკაზე, ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონმა ვერ დაამარცხა ვენესუელის ნაკრები. **მანო მენეზეში** გამოსავალს ეძებს და ცდილობს, ფეხბურთელებს ზედმეტი ზეწოლა აარიდოს. ამიტომაც მან ბრაზილიელთა დროებით ბაზაზე დასვენების დღე გამოაცხადა. სხვათა შორის, დასვენების დღე მხოლოდ იმ ფეხბურთელებს არ მისცეს, ვინც პირველ ტურში ითამაშა, არამედ, დანარჩენებსაც.

ბატისტამ ერთი უსვე შეცვალა

არგენტინის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **სერხიო ბატისტამ** განაცხადა, რომ მეორე ტურში გარკვეულ ცვლილებებს განახორციელებს შემადგენლობაში. პირველი მსხვერპლი მარცხენა მცველი **მარკოს როხოა**, რომელიც მოსკოვის „სპარტაკში“ თამაშობს. მის ნაცვლად სასტარტო შემადგენლობაში გამოვა **პაბლო საბალეტა**. ბატისტამ ისიც აღნიშნა, რომ **ხავიერ პასტორეს** ადგილს ნაკრებში მარცხენა ფლანგზე ხედავს.

დიოსა კანალესმა

გახდა ყველას უნდა

პარაგვაელი **ლარისა რიკელმეს** განაცხადი გუშინ შემოგთავაზეთ, მოდელი შეგვპირდა, რომ თუკი მისი ნაკრები კოპას მოიგებს, ის მოედანზე შიშველი გადაეშვება საზეიმოდ. ლარისას მიმდევრები გამოუჩნდნენ - გუშინ ვენესუელელმა მოდელმა **დიოსა კანალესმა** ანალოგიური განცხადება გააკეთა - დიოსა ამტკიცებს, რომ თუკი ვენესუელას ნაკრები კოპა ამერიკას მოიგებს, ის შიშველი წარდგება ჰუბლიკის ნინაშე. არადა, გოგონებს თავიანთი პირობის შესრულება ალბათ არ მოუწევთ, პარაგვაისა და, მით უფრო, ვენესუელის გუნდები ფავორიტთა შორის არ არიან.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჩილემ კუთხურებით იხეირა

ჩილე 2 : 1 მექსიკა

ჩილე: ბრავო, კონტრერასი, პონსე, ხარა, ისლა, მედელი, ვიდალი, ბოსეჟური (60. პარედესი), ფერნადესი (83. კარმონა), სანჩესი, სუასო (91. ესტრადა).

მექსიკა: მიჩელი, ჩავესი, რეინოსო, მიერი, აკინო (74. პერალტა), აგილარი, რეიესი, არაუხო, ენრიკესი, ჯ. დოს სანტოსი, ლუგო (88. პაჩეკო).

გოლები: 0:1 არაუხო (40), 1:1 პარედესი (66), 2:1 ვიდალი (72).

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: ალექსის სანჩესი (ჩილე)

როგორც იქნა, ჯგუფური ეტაპის I ტურის ბოლო მატჩში მაინც გავიდა გოლები უხვად და გულშემატკივარმაც თვალსასაყირო ფეხბურთი იხილა. კოპა ძალიან ნელა დაიქოქა, თუმცა ეჭვგარეშეა, ნინ ძალიან საინტერესო მატჩები გველის. ჯერჯერობით ხომ ტურნირის ყველა სავარაუდო ვარსკვლავი (უკლებლივ) ჩრდილშია, ახლა სცენაზე მათი გამოსვლის დროა.

მანამდე კი ჩილეს ნაკრებმა მექსიკელთა (რომელიც ფაქტობრივად ოლიმპიური ნაკრებია) ძლევით C ჯგუფში ბრწყინვალე სატურნირო მდგომარეობა შეიქმნა. **კლაუდიო ბორგის** გუნდს ბევრი აღარ აშორებს პლეი ოფამდე. არადა, სამხრეთამერიკელები 66-ე წუთამდე აგებდნენ კიდეც.

ქალაქი სან ხუანი ჩილესთან ახლოს მდებარეობს. ამიტომაც, გასაკვირი სულაც არ იყო, რომ მექსიკელებთან შეხვედრაში „ბისენტარიო“ ჩილელი ფანებით პირთამდე შეივსო. მაგრამ ამ ხალხს კარგა ხანს მოუწია ნერვიულობა, საათზე მეტი დრო ჩილე მექსიკის ახალგაზრდულ გუნდთან მარცხდებოდა.

პირველი ტაიმი რაღაცით ვარჯიშს ჰგავდა - თითქოს, ჩილელები შეტევაში ხვეწდნენ უნარ-ჩვევებს, მექსიკელები კი - დაცვაში. ამასობაში, **ალექსის სანჩესსა** და კომპანიას ათამდე შანსი შეექმნა, მაგრამ ვერც ერთით იხეირა. ყველაზე სახარბიელო მომენტი კი სწორედ „ბარსელონას“ სავარაუდო ახალწვეულმა გაანიავა, როცა ფაქტობრივად მარტო დარჩა მეკარე **მიჩელთან**, მაგრამ ააცილა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ეპიზოდში ალექსისი მახვილი კუთხიდან ურტყამდა, მაგრამ არა ისეთიდან, რომ 45 მილიონ ევროდ შეფასებულმა ფორვარდმა ასე ააცილოს. ამის შემდეგ სანჩესმა დრიბლინგით ცენტრიდან შეუტია მექსიკელთა კარს, თუმცა ის საჯარიმოს მისადგომებთან მექსიკელმა **რეიესმა** შეაჩერა, რისთვისაც ყვითელი ბარათიც მიიღო. გამეორებაზე გამოჩნდა, თითქოს, სანჩესი სიმულანტობდა. საჯარიმო მატიას ფერნანდესმა ეშმაკურად შეასრულა, ბურთი ოდნავ ასცდა მექსიკელთა კარს, თორემ მიჩელი მისი ამღები არ იყო.

არ გაიტან, გაგიტანენ - ამ დაუწერელმა კანონმა კლასიკურად იმუშავა სან ხუანში - მე-40 წუთზე მექსიკელებმა საჯარიმოში ჩამოაწოდეს, ბურთი შორეულ ძელთან მდგომ **ნესტორ არაუხოს** მიუვიდა, რომელსაც არავინ იჭერდა და ნახევარმცველმაც თავურით გახსნა ანგარიში.

ჩილე ამ გოლმა არ გატეხა, თუმცა შურისძიების ჟამი მხოლოდ მეორე ტაიმში დადგა. ახლა მექსიკელთა კართან ძალიან „ჩამოცხა“, ჩილელები მთელი გუნდით უტევდნენ, მექსიკა კი ყრუ დაცვაზე გადავიდა. 66-ე წუთზე ანგარიში გათანაბრდა - ყველაფერი კუთხურით დაიწყო, **კონტრერასის** დარტყმამ კი მეკარის ბაქანზე არეულობა გამოიწვია, რითაც **ესტებან პარედესმა** იხეირა. 6 წუთში ჩილემ გამარჯვებისა გაიტანა - ისევ კუთხური, რომელსაც **არტურო ვიდალის** ჩინებული თავური მოჰყვა.

ამის შემდეგ გუნდებმა ტემპს ისე უკლეს, თითქოს, უხილავმა ძალამ მათ გაჩერება უბრძანაო. მექსიკას ერთი ისე რა შანსი შეექმნა და სულ ეს იყო. მეორე ტურში ჩილე მენდოსაში ჩავა, სადაც კოპას ერთ-ერთ ფავორიტ ურუგვაის შეხვდება. ჯგუფის მეორე მატჩში (რომელიც ასევე მენდოსაში გაიმართება) პერუ მექსიკას დაუპირისპირდება.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად 22 წლის ალექსის სანჩესი დაასახელეს.

ალექსის სანჩესი (ჩილე): *„ჩვენ მშვიდად შევხვდით მატჩის ასეთ შემოტრიალებას. სწორედ ამიტომაც შევძელით ჯერ გათანაბრება, შემდეგ კი გამარჯვების გოლის გატანა. მექსიკა ძალიან რთული მეტოქე იყო, თუმცა კოპაზე ასეა, ყველასთან ჭირს მოგება“.*

ნიკოლოზ ნეფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ტრანსფერი

ფაბიო კოენტრაო სამეფო კლუბშია

გალაქტიკა კიდევ ერთი ვარსკვლავით შეივსო

რეალმა კოენტრაო 30 მილიონად იყიდა

მართალი ყოფილა ეს ბიჭი და რას ვერჩოდით? ჯერ კიდევ სეზონი ხეირიანად მორჩენილი არ იყო, როცა ლისაბონის „ბენფიკას" 23 წლის მცველმა **ფაბიო კოენტრაომ** განაცხადა, ამიერიდან მადრიდის „რეალში" ვითამაშებო. ამ განცხადებას ბევრი მითქმა-მოთქმა მოჰყვა - კოენტრაოს საბოლოოდ გაუფუჭდა ურთიერთობა „ბენფიკას" ხელმძღვანელობასთან, რაც ბოლოს ვარჯიშზე მწვრთნელთან ჩხუბით დაგვირგვინდა. ამის შემდეგ, ცხადი გახდა, კოენტრაოს ლისაბონში აღარ დაედგომებოდა.

გუშინ დილით პირველად საზოგადოებას პორტუგალიურმა „ა ბოლამ" აუწყა ახალი ამბავი, რომ კოენტრაო მართლაც გადავიდა „რეალში". „ა ბოლა" წერდა, რომ „რეალი" და „ბენფიკა" მცველის სანაცვლოდ თანხაზე შეთანხმდნენ, რომ ესპანელები 30 მილიონ ევროს გადაიხდიდნენ. „ა ბოლა" წერდა, რომ „რეალი" ტრანსფერს ოფიციალურად მაშინვე დაადასტურებდა, როცა ყველა დეტალი შეთანხმდებოდა, ეს კი უახლოეს საათებში მოხდებოდა. ისე კი, „რეალმა" 5-წლიანი კონტრაქტი უკვე გააფორმა ფეხბურთელთანო.

ამის შემდეგ „ბენფიკას" ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ „რეალთან" კოენტრაოს ტრანსფერზე მუშაობა მიდის. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ტრანსფერის შესახებ ოფიციალური დადასტურება რომელიმე კლუბისგან მივიღეთ. თუმცა მალე ყველაფერს წერტილი დაუსვა „რეალის" განცხადებამ - ტრანსფერი შედგა!

გუშინ დილით კოენტრაო აღარ გაჰყვა „ბენფიკას" შვეიცარიულ შეკრებაზე და მადრიდში ჩავიდა. უპირველესად მან სამედიცინო შემოწმება გაიარა. მცველმა ყველა სახის სინჯი ლა სურსუელას ჰოსპიტალში ჩაბარა და ექიმთა დასკვნა მიიღო, რომ სავსებით ჯანმრთელია.

ამის შემდეგ ფაბიო კოენტრაო „სანტიაგო ბერნაბეუს" ეწვია და **ფლორენტინო პერესს** შეხვდა. შემდეგ გაიმართა კონტრაქტზე ხელის მოწერის ოფიციალური ცერემონიალი. „ა ბოლა" ერთი წლით შეცდა - კოენტრაო 6 სეზონის განმავლობაში „ბლანკოს" რიგებში იასპარეზებს. ცერემონიალზე პორტუგალიელმა აღნიშნა, რომ ერთი სული აქვს, როდის დაიწყებს მე-20 საუკუნეში მსოფლიოს საუკეთესო კლუბად მიჩნეულ „რეალში" თამაშს.

23 წლის ფაბიო კოენტრაო დღეისათვის მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო მარცხენა მცველად ითვლება, თან ფაბიოს მეორე ფლანგზეც შეუძლია თამაში. კოენტრაო „რეალის" თვალსაზიერში „ბენფიკაში" და პორტუგალიის ნაკრებში სტაბილური თამაშის წყალობით მოხვდა.

კოენტრაო 1988 წლის 11 მარტს დაიბადა ვილა დო კონდეში. პირველი სერიოზული კლუბი, სადაც ის ასპარეზობდა „რიუ ავე" იყო. ამ გუნდში ჰქონდა მას პორტუგალიის ელიტურ ლიგაში დებიუტი სულ რაღაც 16 წლის ასაკში. ტალანტი ეგრევე შეამჩნია „ბენფიკამ" და ერთი წლის მერე ის „რიუ ავესგან" შეიძინა, მაგრამ იჯარით მადეირულ „ნასიონალში" გაუშვა (16 თამაში, 4 გოლი).

„ბენფიკაზე" ადრე მან „სარაგოსაში" ითამაშა, სადაც 2008/09 წლების სეზონის დასაწყისში გამოჩნდა, შემდეგ კი ისევ „რიუ ავეში" დაბრუნდა. 2009 წლის ზაფხულიდან კი ის ლისაბონურ გრანდშია. ამავე წელს დებიუტი ჰქონდა ეროვნულ ნაკრებში (ბოსნიასთან მატჩში) და მისი კარიერა მაღლა წავიდა, რისი დადასტურებაც ეს ტრანსფერია.

ჟოზე მოურინიომ აქამდე **ხოსე კალეხონი, ნური შაჰინი, ჰამით ალთინთოპი** და **რაფაელ ვარანი** დაიმატა.

● ბარსელონა

პედრომ გაახანგრძლივა, ფონტასი პირველ გუნდში დაანინაურეს

სიახლეებია „ბარსელონაშიც" - კლუბმა კონტრაქტი გაუხანგრძლივა 23 წლის თავდამსხმელ **პედრო როდრიგეს ლედესმას** (რომელსაც ხშირად მხოლოდ **პედროს** სახელით მოვიხსენიებთ). არსებული კონტრაქტი სულ ერთი სეზონით გაგრძელდა, ახლა პედრო „ბარსელონასთან" 2016 წლის ზაფხულამდეა დაკავშირებული. მის მსურველ კლუბს ახლა პედროს შეძენა მხოლოდ ფანტასტიკური თანხის, 150 მილიონი ევროს სანაცვლოდ შეეძლება. ადრინდელ კონტრაქტში პედროს გამოსასყიდელი ფასი 90 მილიონი იყო. კონტრაქტის გახანგრძლივების ცერემონიალი ხუთშაბათს გაიმართება.

პედრო როდრიგესი „ბარსელონაში" 2004 წლიდანაა. 4 სეზონი მან „ბარსას" ახალგაზრდულ კლუბებში გაატარა, პირველ გუნდში კი 2008/09 წლების სეზონიდან მოხვდა, თუმცა კი დებიუტი ჯერ კიდევ **ფრანკ რაიკაარდის** დროს ჰქონდა. 2009 წლიდან პედრო უკვე მხოლოდ ძირითადი გუნდის წევრია: პირველ სეზონში მან ყველა ოფიციალურ მატჩში 23 გოლი გაიტანა, ბოლო სეზონში კი - 22.

„ბარსელონას" ერთი ახალი ფეხბურთელიც შეემატა. ის არ მოსულა სხვა კლუბიდან, პედროსავით ახალგაზრდული გუნდიდან მოხვდა. ლაპარაკია **ანდრეუ ფონტასზე,** 21 წლის მცველზე. ახალი სეზონიდან ის უკვე ძირითადი გუნდის სრულუფლებიანი წევრია. ფონტასის შეძენის მსურველ გუნდს ამიერიდან 30 მილიონი ევროს გაღება მოუწევს.

ფონტასს „ბარსელონასთან" 2012 წლამდე ჰქონდა ხელშეკრულება გაფორმებული, ახალი კონტრაქტი კი 2013 წლის ზაფხულამდეა გათვლილი. ფონტასი **ლუის ენრიკეს** გუნდის შეუცვლელი წევრი იყო, როცა **ერიკ აბიდალმა** სიმსივნის ოპერაცია გაიკეთა, ფონტასი დროებით პირველ გუნდში გადაიყვანეს და სეზონის ბოლომდე იქ დატოვეს. **ხოსეპ გვარდიოლამ** ფონტასი 8-ჯერ ათამაშა კიდეც. ისე, მცველს დებიუტი კიდევ ერთი სეზონით ადრე, ხიხონის „სპორტინგთან" მატჩში ჰქონდა. ანდრეუ ფონტასი „ბარსელონაში" 2007 წელს კატალონიური „ხირონადან" გადავიდა.

ამასობაში „ერკულესის" ნახევარმცველ **კიკო ფემენიას** საკითხი ადგილიდან დაიძრა. ესპანეთის 20-წლამდელთა ნაკრების წევრი 4 მილიონი ევროს სანაცვლოდ კატალონიურ გრანდში გადავა. ამ თანხის ნახევარი ალიკანტელებს ახლავე გადაერიცხებათ, ნახევარი კი - შემდეგ სეზონში. ფემენიას ჯერ ალბათ სარეზერვო გუნდში გადაიყვანენ და შეხედავენ, შეძლებს თუ არა ნიჭიერი შუახაზელი ამავე სეზონში პირველ გუნდში თამაშს.

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

პედრო როდრიგესი (ზედა ფოტოზე), ანდრეუ ფონტასი

სპირმეს დაბადებიდან 40 წლის შემდეგ

განახლებული კურორტი საირმე!

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, მიმდინარე წლის ივლისში განახლებული კურორტი საირმე უკვე პირველ დამსვენებლებს მიიღებს. სამკურნალო, მინერალური და თერმული წყლებით მდიდარი საბადოები, წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეები, მთის კლიმატი – ეს ყველაფერი ერთად გვხვდება ბალნეოლოგიურ კურორტ საირმეში, რაც მას მთელ ევროპაში გამოარჩევს და უნიკალურს ხდის.

3-ვარსკვლავიანი კომფორტული სასტუმრო, რომელიც მსოფლიო სტანდარტებს პასუხობს, ველა ნომერში არის ტელეფონი, საკაბელო ტელევიზია, სწრაფი ინტერნეტი და სრული საყოფაცხოვრებო კომფორტი, თანამედროვე ავეჯით.

ბუნებრივი თერმული წყლების კურორტი უდაბნო - ევროპული სტანდარტების სპა ცენტრი.

უფრო მეტს, საირმის განახლებული კომპლექსის შესახებ ვებგვერდის:
www.sairme.com.ge
შეიტყობთ.

● ამბები

კეირისონი

კეირისონი სანტოსმაც დაითხოვა

კეირისონი აღარავის უნდა, „ბარსელონას" შემტევი „სანტოსში" თამაშობდა, თუმცა კლუბში უთხრეს, რომ ორ წელიწადში მე-4 კლუბის მოძებნა მოუწევს. კეირისონი ერთი წლის წინ, იჯარით გადავიდა სამშობლოში. მან 32 მატჩში 10 გოლი გაიტანა. ბოლო დროს კეირისონი აღარ ჩანდა „სანტოსის" შემადგენლობაში. ბრაზილიაში სატრანსფერო სეზონი 20 ივლისს იხურება. „ბარსელონას" სწორედ იქამდე აქვს დრო კეირისონი რომელიმე ბრაზილიურ კლუბს მიაქირავოს.

22 წლის კეირისონი 2009 წელს „ბარსამ" „პალმეირასიდან" 14 მილიონ ევროდ იყიდა, მაგრამ მას ჯერ ერთი მატჩიც არ უთამაშია კატალონიაში. ის იჯარით „ბენფიკაში", „ფიორენტინასა" და „სანტოსში" იმყოფებოდა.

აგლეგიკომ გაბი წარადგინა

„სარაგოსას" კაპიტანი **გაბი** ოფიციალურად გახდა მადრიდის „ატლეტიკოს" წევრი, ანუ ნახევარმცველი ყოფილ კლუბს დაუბრუნდა. გაბი ანუ გაბრიელ ფერნანდეს არენასი 27 წლისაა, ის მადრიდელია და „ატლეტიკოს" აღზრდილია. გაბი 2007 წლამდე „ატლეტიკოს" წევრი იყო (თუმცა ერთი სეზონი იჯარით „ხეტაფეში" გაატარა), შემდეგ კი სარაგოსაში გადავიდა, სადაც 135 მატჩში 15 გოლი გაიტანა. გაბის სანაცვლოდ, „ატლეტიკომ" 3 მილიონი ევრო გადაიხადა, არადა 4 წლის წინ მასში „ატლეტიკომ" 9 მილიონი ევრო მიიღო.

გაბი ატლეტიკომ წარადგინა

● ცურვა



ლაგუნა ვერე და ტონუსი ამაღლებული ტონუსით

საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკის“ აუზმა თბილისის ღია პირველობის მონაწილეებს მოუყარა თავი. შეჯიბრების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო დედაქალაქის მერიის სპორტის სამსახური (უფროსი **მერაბ ჩიქობავა**), რომელმაც გამარჯვებულები და პრიზიორები თასებით, მედლებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა.

პირველობაში მასპინძლებთან ერთად რუსთავის (17 მოცურავე), ჭიათურის (11), საჩხერის (10), სოფელ ჭორვილას (5) და გორის (16) წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. სულ 133 ქალ-ვაჟი ეცილებოდა ერთმანეთს საპრიზო ადგილებს ოთხ ასაკობრივ ჯგუფში. გამარჯვებულები და პრიზიორები სამ დისტანციაზე მოგროვებული ქულათა ჯამით გამოვლინდა. სასიამოვნოა, რომ პერიფერიების წარმომადგენლები დედაქალაქიდან ხელხვავრიელად გაემგზავრნენ. გულსატკენი კი ის არის, რომ შეჯიბრებაზე ვერც ამჯერად ჩამოვიდნენ ქუთაისელი და ბათუმელი სპორტსმენები. დასანანია ისიც, რომ ზოგიერთ დისციპლინაში დისტანციებზე მხოლოდ თითო წარმომადგენელი იყო, ზოგან კი ისიც არ ჰყავდათ. ყოველივე ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ცურვას საქართველოში მეტი ყურადღება სჭირდება. სასურველია, რომ ჭიათურისა და საჩხერის ბოლოდროინდელ მაგალითს სხვა რეგიონების წარმომადგენლებმაც მიჰბაძონ.

ახლა კი, თვით თბილისის ღია პირველობის შესახებ. ვფიქრობთ, კვარცხლბეკი საქართველოში ცურვის დღევანდელ მდგომარეობას უფრო ნათლად დაგვანახვებს:

უფროს ასაკი

(1994 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი) სამი დისტანციის ჯამში პირველ ადგილებზე გავიდნენ: **თავისუფალი ყაიდა, სპრინტი** (50, 100, 200 მ) - გვანცა ხინჩეგაშვილი (გორი), **სტაიერული დისტანცია** (400, 800, 1500 მ) - ირაკლი რევიშვილი (თბილისი, „ტონუსი“), **ბრასი** - ეკა კაჭახიძე („ლაგუნა ვერე“), ვაჟებს მონაწილე არ ჰყავდათ, **ბატერფლაი** - მარიამ მეჭურჭლიშვილი („ლაგუნა ვერე“) და დავით მურჯიკნელი („დიღომი“), **გულაღმა ცურვა** - გიგი მთვრალაშვილი („ტონუსი“), **კომპლექსური ცურვა** - მაია ხრიკული („ლაგუნა ვერე“). ყველა მონაწილე ეულად ებრძოდა დროს ცისფერ ბილიკებზე. მხოლოდ თავისუფალ ყაიდაში (სპრინტი) ეჯიბრებოდა ორი ვაჟი ერთმანეთს: 1. გიორგი ბუხრიკიძე. 2. გიგა აფციაური (ორივე-გორი).

უმცროს ასაკებში შედარებით უკეთესი მდგომარეობა იყო, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ დისციპლინების უმრავლესობაში კვარცხლბეკი სრულად შეივსო (სამწუხაროდ, ჩვენი საქმე აქამდე დავიდა):

იუნიორები

თავისუფალი ყაიდა. სპრინტი. 1. დავით სიხარულიძე („ტონუსი“), 2. ომარ კოპაძე (გორი), 3. რევაზ ესაძე („ლაგუნა ვერე“); **ბრასი.** 1. გიორგი მარსაგიშვილი („დიღომი“), 2. გიორგი ჩინჩალაძე („ლაგუნა ვერე“), 3. შმაგი ასაბიშვილი (რუსთავი). **გულაღმა ცურვა. ვაჟები.** 1. ნიკოლოზ სიხარულიძე („ლაგუნა ვერე“), 2. ცოტნე დევდარიანი (რუსთავი), 3. ნიკოლოზ მესხი („ტონუსი“). **გოგონები.** 1. მარიამ გაფრინდაშვილი (ჭიათურა), 2. მეგი ხათაშვილი (გორი), 3. ანა სანარსკი (ჭიათურა). **კომპლექსური ცურვა.** 1. ირაკლი ბოლქვაძე („ტონუსი“).

კადეტები

თავისუფალი ყაიდა. სპრინტი. გოგონები. 1. სოფიო საღარაძე („ტონუსი“), 2. ელენე უნდილაშვილი (დიღომი), 3. ნინო მეზვრიშვილი (გორი). **ვაჟები.** 1. დავით შახნაზაროვი („ლაგუნა ვერე“), 2. დავით გილაშვილი (გორი), 3. შალვა დონაძე (დიღომი). **სტაიერული დისტანცია.** 1. გაგა გრძელიშვილი (საჩხერე), 2. ნიკა ყაულაშვილი (რუსთავი), 3. აკაკი ჯიბუტი („ნეპტუნი“). **ბრასი. გოგონები.** 1. თეონა ბოსტაშვილი (რუსთავი), 2. თამარ გამგებელი (საჩხერე), 3. თამარ ჭოლოკავა (რუსთავი). **ვაჟები.** 1. ლუკა კერვალიშვილი („დელფინი“), 2. სიმონ მირონტაძე (საჩხერე), 3. ერეკლე ბახტაძე („ლაგუნა ვერე“). **გულაღმა ცურვა.** 1. ოქსანა ბელოვა (რუსთავი), 2. ანა კეჟერაშვილი („ტონუსი“), 3. სოფიო სუქნიძე (ჭიათურა). **ვაჟები.** 1. ნიკოლოზ კოკელაძე („ლაგუნა ვერე“), 2. ირაკლი ლომიძე („ტონუსი“), 3. ოთარ დავითაშვილი (გორი). **ბატერფლაი. გოგონები.** 1. მარიამ ობოლაშვილი (რუსთავი). **ვაჟები.** 1. თემურ კობახიძე („ლაგუნა ვერე“).

უმცროსი ასაკი

(1997 წელს და უფრო გვიან დაბადებულნი). **თავისუფალი ყაიდა. სპრინტი. გოგონები.** 1. რუსუდან კირკაძე (დიღომი), 2. ელენე ბერაია („ოლიმპიკი“), 3. ელენე ლომიძე („ტონუსი“), **ვაჟები.** 1. ვასილ ხიზანიშვილი („ტონუსი“), 2. ბექა ხეჩუაშვილი (დიღომი), 3. დავით ბოკერია („ტონუსი“). **ბრასი. გოგონები.** 1 მარიამ ზუბიაშვილი (საჩხერე), 2. ქეთევან ყამარაული („ტონუსი“), 3. ქეთევან ღვინიაშვილი (გორი). **ვაჟები.** 1. გიორგი ბარბაქაძე (რუსთავი), 2. ლევან ბახტურიძე (საჩხერე), 3. საბა მდივანი („ტონუსი“). **გულაღმა ცურვა. გოგონები.** 1. ნატალია ჯაფარიძე. **ვაჟები.** 1. ირაკლი ჭარბაძე („ტონუსი“), 2. ნიკიტა გიორგაძე („ლაგუნა ვერე“), 3. გიორგი ხვედელიძე („ტონუსი“). **ბატერფლაი.** 1. ბაჩანა ტყემალაძე (ჭიათურა), 2. უჩა წერეთელი („ოლიმპიკი“), 3. აკაკი ვაშაკიძე (რუსთავი). **კომპლექსური ცურვა.** 1. თამთა გიგილაშვილი (რუსთავი).

ასაკების მიხედვით საპრიზო ადგილებზე გასულთა ქულებით უფროსებსა და კადეტებში თასები „ლაგუნა ვერეს“ ხვდა, იუნიორებსა და უმცროსებში პრიზები „ტონუსმა“ დაისაკუთრა.

ვაჟა დანელია

● ჭადრაკი

ლიდერმა მდევრებთან სხვაობა გაზარდა

კონიაში თურქეთის საკლუბო ჩემპიონატზე გუშინ მე-9 ტურის პარტიები გათამაშდა. შეჯიბრებაში მონაწილე 12-მა ქართველმა დიდოსტატმა თავიანთ კლუბებს საერთო ჯამში 7,5 ქულა შესძინა. **სოფიკო გურამიშვილის** „ჩელიკოლმა“ 5,5:4,5 აჯობა „მერსინ ეზგი სატრანჩს“ და ის გამარჯვების ქულა ქართველმა მოჭადრაკემ შესძინა გუნდს. წარმატებას მიაღწია **სოფიო გვეტაძემაც,** მაგრამ „ბურსა“ მარცხისგან მაინც ვერ იხსნა. **ლევან ფანცულაია** და მისი „ისეკი“ კვლავაც დამაჯერებლად მიიწევენ კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურისკენ.

„ბურსა“-„გაზი უნივერსიტესი“ 4:6 (სოფიო გვეტაძე-ნურ გურეი 1:0), **„ვეშილკოვ სფორი“-„ბეშიქთაში“** 4:6 (დავით არუთინიანი-დრაგან სოლაკი 0,5:0,5, თორნიკე სანიკიძე-უმუტ ატაკში 0,5:0,5), **„ადანა“-„თურქ ჰავა იოლარი“** 7:3 (ევგენი მიროშნიჩენკო-მერაბ გაგუნაშვილი 0,5:0,5, ნანა ძაგნიძე-სალომე მელია 0,5:0,5), **„ისტანბული“-„ტარსუს ზეკა სატრანჩი“** 4:6 (პაველ ელიანოვი-მიხეილ მჭედლიშვილი 0:1, ალექსანდრ იპატოვი-ლუკა პაიჭაძე 0,5:0,5), **„ჩელიკოლი“-„მერსინ ეზგი სატრანჩი“** 5,5:4,5 (სოფიკო გურამიშვილი-ადრიანა ნიკოლოვა 1:0), **„მანიშა“-„იარი კრედი სფორი“** 5:5 (ანა უშენინა-ბელა ხოტენაშვილი 0,5:0,5), **„ისეკ აქუამატჩი“ -„დენიზ გენჩლიკი“** 6,5:3,5 (ლევან ფანცულაია-ფარუკ კელერი 1:0).

9 ტურის შემდეგ 17 ქულით კვლავ „ისეკ აქუამატჩი“ (საერთო მონაგარი 55 ქულა) მეწინავეობს ერთპიროვნულად. მას 4-4 ქულით ჩამორჩებიან „იარი კრედი სფორი“ (55), „ადანა“ (50,5), „გაზი უნივერსიტესი“ (47). შეჯიბრების დამთავრებამდე ხუთი ტური დარჩა.

ვაჟა დანელია

მიხეილ მჭედლიშვილი (მარჯვნივ, კოეფიციენტი-2629) ესალმება უშუალო მეტოქე პაველ ელიანოვს (მარცხნივ, 2712) და ალექსანდრ იპატოვს

ანამ და ლევანმა მოგებით დაიწყეს

ესპანურ ბარბერა დელ ვალესში სტარტი აიღო 34-ე საჭადრაკო ფესტივალმა. A ტურნირში 20 ქვეყნის 84 წარმომადგენელი (13 დიდოსტატი) მონაწილეობს, მათ შორის - ორი ქართველი: **ანა მათნაძე** და **ლევან არუოშიძე.** ჩვენებურებმა პირველ ტურში წარმატებას მიაღწიეს - მათნაძემ შავი ფიგურებით რუს **მარკ ლიუბანოვს** აჯობა, არუოშიძემ კი ასევე შავებით მასპინძელი **ხუან ოლივარეს კანალი** დაამარცხა. სტარტზე სულ 20-მა მოჭადრაკემ გაიმარჯვა.

ვაჟა დანელია



მეოთხედფინალები ხვალ გაიმართება

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ინიციატივით ორგანიზებულ მინისტერიალის თასის გათამაშებაში კალათბურთელთა 16 გუნდი ჩაება. ისინი წილისყრით ოთხ ჯგუფში გადანაწილდნენ. საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩები სპორტის სამინისტროს საკალათბურთო დარბაზში ჩატარდა. ჯგუფური პაექრობების შემდეგ გამოვლინდნენ მეოთხედფინალისტები, რომლებიც ასე დაწყვილდნენ: **შსს-უზენაესი სასამართლო, თავდაცვის სამინისტრო-კონტროლის პალატა, იუსტიციის სამინისტრო-აფხაზეთის მთავრობა, სპორტის სამინისტრო-პრეზიდენტის ადმინისტრაცია.** შეხვედრები ხვალ 17.00 საათიდან დაიწყება. ნახევარფინალები 9 ივლისს გაიმართება, გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას კი 14 ივლისს შევიტყობთ.

თაბუკა ყულუმბეგაშვილის ფოტო

ვაჟა დანელია



ახალი ამბების ესტაფეტა

იმობიექტებს შორის, სადაც თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტომ ინვესტორი კომპანია „ჯეო გოლდი“ მრავალწლიანი მართვის უფლებით შეიყვანა არის ე.წ. „წითელი ბაღი“. ბაღის ტერიტორია მთლიანად სპორტულ ინფრასტრუქტურას დაეთმობა.

■ ■ ■

დღეს, 6 ივლისს ტაეკვანდოში საქართველოს ნაკრები დუშეთში ოლიმპიურ ბაზაზე, თბილისში გასამართი ევროპის ჩემპიონატის წინ ღია, საჩვენებელ წვრთნას ჩაატარებს. ვარჯიშს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელებიც დაესწრებიან.

■ ■ ■

სამბოს ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობა მალე გაარკვევს თუ ვინ ჩაუდგება სათავეში ასაკობრივ ნაკრებ გუნდებს და დაიწყება შეკრება მსოფლიოს პირველობისთვის.

● დიდი სპორტის ქარიბჭესთან

გიორგი წულეისკირი

ფეხბურთი

დაიბადა 1998 წლის 30 იანვარს, თბილისში

სწავლობს პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში

საფეხბურთო სკოლა "საბურთალოს" აღსაზრდელი, ცენტრფორვარდი

პირველი მწვრთნელი: დავით კალანდაძე

ამჟამინდელი მწვრთნელი: ვლადიმერ მუსერიძე

წარმატებები: არის 13-წლამდელთა ნაკრების წევრი. ნაკრებთან ერთად რიგის თასზე ისეთ სერიოზულ მეტოქეებს, როგორებიც იყვნენ კიევის "დინამო" და არნემის "ვიტესი" საკადრისი წინააღმდეგობა გაუწია. ფინალურ შეხვედრაში საქართველოს ნაკრები 0:1-ს აგებდა, როდესაც მატჩის დასრულებას წუთები აკლდა, გიორგიმ ამ შეხვედრაში უმნიშვნელოვანესი გოლი გაიტანა.

ჰობი: თავისუფალ დროს თამაშობს მაგიდის ჩოგბურთს. მიაჩნია, რომ სპორტის ეს სახეობა ფეხბურთშიც ეხმარება.

ოცნება: დიდი ფეხბურთი "ბარსელონაში" ითამაშოს. მისი აზრით „ბარსელონა“ ყველაზე სანახაობრივ ფეხბურთს აჩვენებს.

საყვარელი ფეხბურთელი: ლიონელ მესი.

სალომე ხარატიშვილი

ფარიკაობა



მეოთხედ აჭარის დედაქალაქში

ბათუმში ადგილობრივი კომპლექსური სასპორტო სკოლის ინიციატივითა და ქალაქის მერიის თანადგომით მეოთხედ გაიმართა მოფარიკავეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ზურაბ თავაძის ხსოვნას მიეძღვნა. შეჯიბრებაში საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, ირანისა და რუსეთის 1994-1996 წლებში დაბადებული 130-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. განსაკუთრებით კადეტებში მსოფლიოს პირველობის ბრინჯაოს პრიზიორმა, ქუთაისელმა მოხმალავე **მიხეილ მარდალეიშვილმა** იყოჩაღა - ყველა შეხვედრა იოლად მოიგო, მათ შორის ფინალში თანაქალაქელ **დავით უკლებას** 15:8 სძლია. უცხოელთაგან ერევნელი **ემა პოღოსოვას** (დაშნა) გამოყოფა შეიძლება. სტუმართაგან იგი აღმოჩნდა ერთადერთი, რომელიც კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ფინალში მან ქუთაისელ **მარიამ კეკუტიას** მოუგო.

- ბოლო წლების საერთაშორისო ტურნირებში მოკრძალებული შედეგები დაშნასა და რაპირაში გვქონდა, - გვითხრა მოფარიკავეთა ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მერაბ ბაზაძემ.** - წლევანდელ შეჯიბრებებში ეს ხარვეზი საგრძნობლად გამოვასწორეთ. დასტურად ქუთაისისა და ბათუმის პაექრობებიც გამოდგება. თუმცა აქვე გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ საერთაშორისო დონემდე მისაღწევად ბევრი ოფლის ღვრა მოგვიწევს. იმედები კი ნამდვილად გვაქვს, რადგან საკმაოდ კარგი თაობა მოდის. განსაკუთრებით 1999-2000 წლებში დაბადებული რამდენიმე პერსპექტიული მოფარიკავე მინდა გამოვყო, კერძოდ: რუსთაველები - მარიამ სუხიშვილი და ნიკოლოზ ვეფხვიაშვილი (ორივე - რაპირა), თბილისელი მოხმალავეები - ნიკოლოზ შენგელია და გიორგი გოგელია, რომლებმაც ბათუმში სპეციალისტთა ყურადღება მიიქციეს.

შესანიშნავად იასპარეზა ქუთაისელმა ირაკლი ამბროლაძემ (დაშნა). ნახევარფინალსა და ფინალში მან სომეხ ძმებს -კარენ და არმენ არაზანიანებს დააყრევინა ფარხმალი. კარგ ფორმაშია მიხეილ მარდალეიშვილი. ეს ჩვენთვის ორმაგად სასიხარულოა, რადგან 13-20 ივლისს იგი თათია აფციაურთან, ბექა და სანდრო ბაზაძეებთან ერთად შეფილდში (ინგლისი) ევროპის სალიცენზიო ჩემპიონატში იასპარეზებს. ამ შეჯიბრებაში პირველ-ოცდამეთორმეტე ადგილებზე გასული სპორტსმენები 2012 წლის ოლიმპიადის სალიცენზიო ქულებს მიიღებენ. მთავარი პაექრობები კი ოქტომბრის მიწურულს იტალიაში მოგველის - იქ მოფარიკავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება და ლონდონის თამაშების საგზურების მფლობელებიც გამოვლინდება.

აქვე ბათუმში გამართული საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას გაგაცნობთ:

ხმალი

გოგონები

1. თამარ პეტემაძე (ბათუმი)
2. ანა წიკლაური (თბილისი)
3. ტერინა პროხოროვა (ბაძო)
3. ანა სინატაშვილი (ქუთაისი)

ვაჟები

1. მიხეილ მარდალეიშვილი (ქუთაისი)
2. დავით უკლება (ქუთაისი)
3. საბა სულამანიძე (თბილისი)
3. დავით სულაბერიძე (ქუთაისი)

რაპირა

გოგონები

1. თეონა გოგლიძე (თბილისი)
2. ეიშა გალშემანი (ირანი)
3. ზოია ხოსიევა (რუსეთი)
3. ოლგა ვავილოვა (რუსეთი)

ვაჟები

1. ლუკა ღლანიძე (თბილისი)
2. ვილჰემ არაძელიანი (სომხეთი)
3. მაიკლ ოჰანესიანი (სომხეთი)
3. ედუარდ დანელიანი (სომხეთი)

დაშნა

გოგონები

1. ემა პოღოსოვა (სომხეთი)
2. მარიამ კეკუტია (ქუთაისი)
3. ლარისა ევოიანი (სომხეთი)
3. მარინა ტომაევა (რუსეთი)

ვაჟები

1. ირაკლი ამბროლაძე (ქუთაისი)
2. არმენ არაზანიანი (სომხეთი)
3. კარენ არაზანიანი (სომხეთი)
3. კამჯო მიფსალარი (ირანი)

ვაჟა დანელია

ჩოგბურთი

მარცხი ჰერცოგთან



მსოფლიოს 84-ე ჩოგანი **ანა ტატიშვილი** ქალაქ ბაშტადში, „შვედეთის ღია პირველობაზე“ გამოვიდა, რომლის საპრიზო ფონდი 220 ათასი ამერიკული დოლარია. მისი პირველი მეტოქე ტურნირზე მე-8 ნომრად განთესილი სლოვენიელი, **პოლონა ჰერცოგი** (52) იყო. ტატიშვილმა ფავორიტთან ყოჩაღად დაიწყო და ჯერ 3:1, შემდეგ კი 5:3 დაწინაურდა პირველ სეტში. საჭირო იყო მხოლოდ საკუთარი მოწოდების მოგება და სეტი მას დარჩებოდა, მაგრამ ჩვენებურს გაუგონარი რამ შეემთხვევა, 5:3-დან სეტი 5:7-ზე დაასრულა. მეორე სეტი კი მან შედარებით იოლად დათმო - 5:7, 3:6. როგორც იქნა, ელიტაში ჩვენებურის გამოჩენას ვეღირსეთ, მაგრამ აქვე უნდა ვთქვათ, რომ ანამ აუცილებლად უნდა დახვეწოს მოწოდებები. პირველ სეტში მან მეტოქის მოწოდება სამჯერ მოიგო და სეტი მაინც დათმო, რადგან საკუთარ მოწოდებაზე გეიმი ოთხჯერ წააგო.

ანა ბაშტადში 1 სარეიტინგო ქულასა და 1,7 ათას დოლარს დასჯერდა. ამით ის ბაშტადს არ დამშვიდობებია, წყვილთა ბადეში რუს **ვესნა დოლონცთან** ერთად გამოდის. მათ პირველი მეტოქეები, მასპინძლები **სოფია არვიდსონი** და **იოჰანა ლარსონი** 6:2, 6:1 დაამარცხეს.

ნიკოლოზ ნეფარიძე



ვეტერანი მოჭიდავე, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ავთანდილ მაისურაძე

ავთო მაისურაძე მრავალი სპორტული ტიტულის კავალერი რომ გახლავთ, მკითხველმა კარგად იცის, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ იგი თავის დროზე კინოგადაღებაშიც აქტიურად მონაწილეობდა. გასაკვირი არც ისაა, რომ რეჟისორმა **გიორგი შენგელაიამ** ფილმში „ხარება და გოგია“ ავთოს გარდა, რომელიც პერსონაჟ ძიას განასახიერებდა, გადაიღო სასიქადულო სპორტსმენები **ლევან თედიაშვილი, ომარ ფხაკაძე** და **მიხეილ სალაძე.**

ახლა კი თავად ავთოს მოვუსმინოთ...

ხარება და გოგია

ჩემი თაობის მკითხველმა კი იცის, რაცაა ეს ფილმი. ახალ თაობას კი ავუხსნი, რომ კინო ნაღდ ქართველებზეა, ნაღდ ვაჟკაცებზე და ვისაც არ გინახავთ, როცა შანსი მოგეცემათ - ხელიდან ნუ გაუშვებთ. უყურეთ და კაცობას უკეთ დააფასებთ. თვითონ ფილმი იყო ხან - მხიარული, ხან - დრამატული, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ მსგავსი ფილმი აწი ძნელად წარმოსადგენია. მარტო ის რად ღირს, რომ ფილმში უაღრესად ვაჟკაცთა კრებული მონაწილეობდა.

სადაც ლევან თედიაშვილი „გაიჭაჭანებს“, იქ უსიცილოდ და უიუმოროდ „მზე არ არსებობს ცის კამარაზე“.

როგორც გადაწყვიტეს მე ძიას როლი მერგუნა. როლი რთული არ იყო. ძია ვარ და ძია... კახელი „სამართლიანი ბიჭების“ ერთ-ერთი წარმომადგენელი.

როგორც ვთქვი, სადაც ლევანია, იქაა ვაჟკაცობა, იქაა სიცილი, იქაა ქეიფი და იქაა თავდავიწყება.

მოკლედ, ამ „ხარებას“ რომ ვიღებთ - კახელებმა შუა გადაღების პროცესის ერთ შესვენებაზე მაგარი სუფრა გაგვიშალეს რესტორანში. ყველანი (ფილმის მონაწილეები, ესევე რა - როგორც ვიღებდით - ჩაცმულები და იარაღასხმულები (ლევანის იდეა იყო) შემოვუსხედით სუფრას ქალაქ საგარეჯოში.

საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი მედიკო მეზვრიშვილი გვეწვია და მაინცდამაინც ჩემ გვერდით აღმოჩნდა სუფრასთან.

ლევან თედიაშვილი, ღმერთმა დღეგრძელობა მისცეს, ისე აციმციმებს ეშმაკურად თვალებს, ვიცით, რაღაცა „გრანდიოზულს“ დაახეთქებს. ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი. აიღო ჭიქა (კახეთში ლევანს თამადობას ვინ წაართმევს!) მთელი ჩვენი კოლექტივი ადღეგრძელა და წავიდაاا�ა! მაგარი გუგუნი მიდის. მთელი კახეთი ჩვენია. მე, ულვაშებწარბებიანი „ძია“ ვზივარ მაშინ ამხელა თანამდებობის ქალბატონის გვერდით, რომელიც მთელ კახეთს აზანზარებს და არ ვიცი როგორი „ჯენტლმენური“ პასაჟები ჩავატარო, რომ არ ჩავიჭრა. მესამე არაფერი და მეოთხე ჭიქა რომ აიღო თედიაშვილების სიამაყემ, რატომღაც წინასწარი (ტანმა მიგრძნო ალბათ) მოუსვენრობა და უხერხულობა დამეუფლა. „ქალბატონო მედეა - დაინყო ამ „ეშმაკის ფეხმა“, თქვენ გვერდით ზის (კიდევ კარგი „სხედს“ არ სთქვა) „ძია“; ვაიმეეე! როგორ უხდებით ერთმანეთსა, კაცოოო!!! საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი ლომად და ფოცხვერად იქცა და კობრას თვალებით უყურებს თამადას.

- მერე? - გამოცრა კბილებში.

- ხო და - სტიქიაშია ლევანი - ერთი უიდეალურესი აზრი დამებადა ეხლა...

სუფრა გაიტრუნა. ლევანს უცქერს ყველა...

- მერე?! - ისევ - მედიკომ.

- ჰოო დაააა - განგებ განელა „ლევანა დაღუპულმა“ - ერთი აზრი დემებადა, კაცოო! აგეე, როგორი ვაჟკაცია ჩვენი „ძია“ - როგორ უხდებით ერთმანეთსა, კაცოოო!

მეზვრიშვილი კინაღამ წაიქცა, მაგრამ გადარჩა, რადგან სკამზე იჯდა ჭკვიანად.

- ხო დააა... ნახე რა, რა ბიჭია, ბარემ შაუღლდით, სუფრა ხო სუფრაა, დამკვრელებიც ხო აქ არიან, რაა! - ცუდი ბიჭია, რო?!

„მინა გასკდეს და ჩამიტანოს!“ - ვინატრე. მედიკოსკენ გახედვასაც ვერ ვბედავ.

ლევანი თავის სტიქიაშია... „ჰაა, გადღეგრძელოთ ერთადაა?“

მედეა მეზვრიშვილს შავგვრემანი სახე აელეწა, ჯერ გაშავდა (უფრო), მერე გამწვანდა, ბოლოს ცისარტყელასავით არეული ფერები აღებეჭდა წამიერად, უხერხულობისგან და მოულოდნელობისგან. მაგიდას გადახედა ავისმომასწავებელი მზერით და:

- ლევან თედიაშვილო - იყვირა - გამასწარი ახლაااა!

- ხოო, კაი, კაი, რა მოხდა, არ გინდა და, ნუ გინდა - არ იტეხავს იხტიბარს ეს მაკვარანცხი - უკეთეს ქალს ვუშოვით.

საბოლოოდ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. მასხრობა მასხრობად ჩაუთვალეს ჩვენს ძმაკაცს, მაგრამ მე ახლა (მაშინაც) ვფიქრობ, იმ ქალბატონს რომ ეთქვა - „ჰოო“, რა წყალში უნდა ჩავვარდნილიყავი? არ დაგიმალავთ და... უკან ვერ დავიხევდი...

რეციდივისტი

ცოტა ადრეულ წლებში ჩემი მოკრძალებული ბიზნესი მქონდა. მაშინდელმა (გვარს შეგნებულად არ ვამბობ, ისე, ახლა გზების გაყვანა უყვარს) საფინანსო პოლიციის უფროსმა 40 დღე მაყურყუტა რაღაც გაუგებრობისთვის - ციხეში.

მერე გამამართლეს და გამოვედი. ზუსტად ერთ კვირაში კახეთში ვქეიფობ. არა, არ იკითხოთ, ლევან თედიაშვილი უძღვება სუფრას. ვიღაც, რაიონიდან ჩამოსული, იქაური გაზეთის კორესპონდენტი გადამეკიდა - მითხარით, რატომ დაგიჭირეს... მითხ...

ყველას ხომ არ ეტყვი, კაცო, რომ მართალი ხარ და შეცდომა მოხდა. არადა - არ მეშვება. - მითხ...

- მაინი, ბიჭო, შენ აქეთა! - ვეღარ მოითმინა ლევანმა. იმანაც მიინია.

- ბიჭო, შენა, კორესპონდენტი ხარ, არა? - კიო - იმან.

- შენა, ბიჭო, „ხარება და გოგია“ გინახავს კინო?

- აბა არა? - გაუხარდა კორესპონდენტს.

- ხო და ეს „ძიაა“. იცი რატომ დაიჭირეს? - არა, იცი რატოო?

- რატომ? - ჩართო გამორთული დიქტოფონი იმ ბედოვლათმა.

- რატომ და - იარაღის უკანონოდ ტარებისთვინა - გაიგე, ბიჭო? გაიგე შენა?!

- ოოო - დასერიოზულდა კორესპონდენტი - მეც არ გამიკვირდა?

ასევე გამოაქვეყნა თავისი რაიონის გაზეთში (ღმერთო, შეუნდე!)

P.S. ძირითადად რომ კინოზე გესაუბრეთ, ნუ გაგიკვირდებათ. ფილმში „ხარება და გოგია“ სულ ვხტუნავთ, გავრბივართ, ვისვრით... სამივე კი, რაც ვთქვი - არ გესწავლებათ - სპორტია.

დიდი მოკითხვა მშობლიურ „ლელოს“. დიდი პატივისცემით მადლობა დაფასებისთვის.

თქვენი „ძია“.

მურმან მერკვილიშვილი



ავთანდილ მაისურაძე

ᲕᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲐ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ MVP ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ



ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ დადგომასთან ერთად ევროპას კემპების ტალღამ გადაუარა, ზოგი NBA-ს კემპში მონაწილეობდა, ზოგი 18-წლამდელთა კემპზე ცდილობდა საკუთარი შესაძლებლობის დემონსტრირებას, ზოგიც სხვადასხვა ასაკის გამორჩეულ კალათბურთელთა კემპზე იყო მიწვეული. ამ უკანასკნელთა შორის გახლდნენ 16-წლამდე ნაკრების წევრები **ნუგზარ აბულაძე, სანდრო ბოლქვაძე** და შედარებით ახალგაზრდა **გიგი გოგობერიშვილი.** იტალიაში გამართული საზაფხულო ბანაკიდან ისინი ხელცარიელები არ დაბრუნებულან: ნუგზარმა საუკეთესო კალათბურთელის ჯილდო მიიღო, ხოლო სანდრო ყველაზე პერსპექტიულ ახალგაზრდად აღიარეს.

ᲓᲝᲡᲘᲔ

ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲐᲑᲣᲚᲐᲫᲔ

დაიბადა: 1995 წლის 14 ივნისს თბილისში
სიმაღლე: 183 სმ.
წონა: 75 კგ.
ამპლუა: უკანახაზელი

გუშინ გავესაუბრეთ ნუგზარ აბულაძეს, იტალიური ამბებიც გამოვკითხეთ და გავიცანით როგორც კალათბურთელი. მას დღეს ქართულ მედიაში დებიუტი აქვს...

- იტალიაში გაიმართა NBC კემპი, რომელიც ამერიკაში მეტად პოპულარულია და ბოლო წლებში ევროპაშიც ტარდება. მას არაერთი ცნობილი სპეციალისტი დაესწრო, ხოლო მონაწილე სპორტსმენების რაოდენობამ 60 შეადგინა.

- რა ასაკის ახალგაზრდები იყავით?

- კემპი 27 ივნისს დაიწყო და 2 ივლისს დასრულდა. მასში 12-დან 18 წლამდე ჭაბუკები ვმონაწილეობდით. ძალიან საინტერესო ღონისძიება იყო. დილას ვვარჯიშობდით, ხოლო საღამოს თამაშებს ვატარებდით. ვეპაექრებოდით იტალიის ასაკობრივ პირველობებში რეგიონების ჩემპიონებს.

- რამდენი ქართველი მონაწილეობდით?

- მე, სანდრო ბოლქვაძე და გიგი გოგობერიშვილი ვიყავით. გიგი შედარებით უმცროსია და თანატოლებში ვარჯიშობდა. მე და სანდრო კადეტთა ასაკის კალათბურთელებში ვთამაშობდით. ტარდებოდა სხვადასხვა ტიპის შეჯიბრება: კალათბურთი ხუთი-ხუთზე, სამი-სამზე, ერთი-ერთზე, სამქულიანების კონკურსი. მე და სანდრო ძლიერ გუნდებში მოვხვდით და ჯილდოებიც დავიმსახურეთ. მე ტურნირის სუკეთესო კალათბურთელად დამასახელეს. ასევე მოვიგე შეჯიბრება სამი-სამზე და სამქულიანების კონკურსი. სანდრომ გაიმარჯვა ხუთი-ხუთზე, ერთი-ერთზე თამაშებისას და ასევე მოიპოვა ტურნირის ყველაზე პერსპექტიული კალათბურთელის ჯილდო.

- როგორ ფიქრობ, რით დაიმსახურე კემპის MVP-ად აღიარება?

- ძნელი სათქმელია. ასე მწვრთნელებმა გადაწყვიტეს. მათ, ალბათ, ყურადღება მიაქციეს, რომ მრავალ კომპონენტში გამოვირჩეოდი: ბურთსაც ვხსნიდი, პასსაც არ ვიშურებდი, შორი მანძილიდანაც ვაგდებდი... თუმცა, დადებით მხარეებზე ლაპარაკის პარალელურად უნდა აღინიშნოს, რომ კიდევ ბევრი მაქვს სამუშაო თითოეულ კომპონენტზე.

- ახლა უკეთ გაგვეცანი. როდის დაიწყე კალათბურთის თამაში და ვისი ხელმძღვანელობით?

- 7 წლისა კალათბურთზე ზურაბ სამხარაძესთან მივედი. მის გუნდს ჯერ „მართვე“ ერქვა, შემდეგ - „ზაზა“. მასთან ერთად წლეულსაც გამოვედი კადეტთა ჩემპიონატში. 2009-10 წლების სეზონში „დინამოში“ დავით თორთლაძის ხელმძღვანელობით ვითამაშე, ხოლო 2010-11 წლების სეზონში ყველა ასაკობრივ ჩემპიონატში მომიწია ასპარეზობა: 16-წლამდელთა პირველობაზე „ზაზას“ ღირსებას ვიცავდი, 18-წლამდელების ჩემპიონატში კადეტთა ნაკრებში გამოვდიოდი, ხოლო 20-წლამდელთა ტურნირზე და სუპერლიგაში „რუსთავის“ მაისურით გამოვდიოდი...

- ყველგან თამაშს როგორ ასწრებდი?

- ვასწრებდი... რუსთავში ზოგჯერ კვირაში ორჯერ ჩავდიოდი, სხვა დროს კადეტთა ნაკრებთან და „ზაზასთან“ ერთად ვვარჯიშობდი.

- აგვისტოში 16-წლამდელებთან ერთად B დივიზიონის მატჩები გელის...

- ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის მონდომებით ვემზადები. როგორც ვიცი, წინასწარ შეკრებებს ფინეთსა და ესტონეთში გავივლით. ვფიქრობ, ოფიციალურ შეჯიბრებას სათანადო კონდიციებში შევხვდებით. საუკეთესო ორეულში მოხვედრა და ევროპის ჩემპიონატის საგზურის მოპოვება რთული იქნება, მაგრამ ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ. ჩემი აზრით, საუკეთესო ხუთეულში უნდა მოვხვდეთ.

- კადეტთა ნაკრები ზამთარში თურქეთის საერთაშორისო ტურნირზე იყო. ამ შეჯიბრებას როგორ გაიხსენებ?

- ეს კადეტთა ნაკრებისთვის პირველი გასვლითი ტურნე იყო და გამოცდილებაც მივიღეთ. თურქეთის საერთაშორისო ტურნირი ჩემთვის ჭკუის სასწავლებელიც გამოდგა. მას მერე ბევრი ვისწავლეთ და სწორი დასკვნებიც გამოვიტანეთ. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მატჩი დიდი სხვაობით წავაგეთ, ის შეჯიბრება მაინც დადებითად მახსენდება.

- ბოლოს შენს საკალათბურთო კერპებზე გკითხავ.

- ძალიან მომწონს დერეკ როუზისა და ჯეისონ კიდის თამაში...

ᲡᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲑᲐᲜᲐᲙᲘ

ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲣᲚᲘ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ გაზეთის მკითხველს მოეხსენება, რომ „სოხუმის“ ფორვარდი, **გიგა კვეტენაძე** და ამავე კლუბის 20-წლამდელთა გუნდის წევრი **ლევან სულაბერიძე** სერბეთში ვარჯიშობენ. ისინი სამთვიან კემპზე არიან მიწვეულები, სადაც სპეციალურ წვრთნას გადიან.

კემპი ერთ ან ორკვირიანი გაგვიგია, მაგრამ სამთვიანი საზაფხულო ბანაკის შესახებ პირველად შევიტყვეთ. ალბათ, მკითხველსაც აინტერესებს სერბული კემპის არსი, მასში ქართველთა როლი და სამომავლო პერსპექტივა.

ამ საკითხებში ყველაზე უკეთ გიგა კვეტენაძე გაგვარკვევს, რომელსაც სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში ველაპარაკეთ:

- კემპზე უამრავი ახალგაზრდა კალათბურთელია შეკრებილი, ზოგი სერბეთის უმაღლეს ლიგას წარმოადგენს, ზოგი ბულგარეთიდანაა, ბოსნიიდან, გერმანიიდან... საქართველოდან ორნი ვართ - მე და ლევან სულაბერიძე. ბელგრადში არიან ცნობილი კლუბების მწვრთნელები, რომლებიც თან გვავარჯიშებენ, თან საკუთარი გუნდებისთვის საუკეთესოებს არჩევენ.

კემპის დასრულების შემდეგ მოეწყობა ერთგვარი დრაფტი...

- საზაფხულო ბანაკი 10 აგვისტომდე გასტანს, შემდეგ მოეწყობა დრაფტი და მწვრთნელები გამორჩეულ კალათბურთელებს კლუბებში აიყვანენ. თუმცა, მანამდე დიდი დრო და ბევრი სამუშაოა, - განაგრძობს გიგა.

მას ვარჯიშების სპეციფიკაზეც ვკითხეთ.

- კვირაში ორჯერ სამჯერადი ვარჯიშები გვაქვს, სხვა დღეებში - ორჯერადი. მწვრთნელები სერიოზულად გვეკიდებიან. ფიზმომზადებაში ცალკე ვვარჯიშობთ - მწვრთნელს საფეხბურთო „ცრვენა ზვეზდას“ სტადიონზე დავყავართ და იქ გვამზადებს.

როგორც ირკვევა, ბელგრადში ყველა კალათბურთელს ინდივიდუალურად წვრთნიან.

- ლევან სულაბერიძე ცენტრისთვის საჭირო ვარჯიშებს ასრულებს, დრიბლინგზეც მუშაობს. მე სამ პოზიციაზე მცდიან - მსუბუქ ფორვარდად, მსროლელად და გამთამაშებლად. ტყორცნის სიზუსტესაც დიდი ყურადღება ექცევა, - დასძენს კვეტენაძე.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲢᲠᲘᲙᲔ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

ᲑᲚᲐᲢᲗ: ᲙᲘᲠᲘᲚᲔᲜᲙᲝᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲐᲚᲘ ᲛᲐᲢᲣᲚᲝᲑᲡ

რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **დევიდ ბლატი** მუშაობას უკვე შეუდგა. იგი ახალგაზრდა კალათბურთელებისგან არჩევს საუკეთესოებს, რომლებსაც მთავარ შემადგენლობას დაამატებს.

საკადრო პრობლემების მიუხედავად მწვრთნელი მომავალს ოპტიმისტურად უყურებს:

- შემადგენლობის საკითხი გარკვეულია - ვერ დაგვეხმარება ამერიკელი ჯეი არ ჰოლდენი, მაგრამ ითამაშებდა თუ არა, მისი გადასაწყვეტი იყო. ასევე მაღლვებს ვიქტორ ხრიაპას საკითხი, სხვა ყველა კალათბურთელის ამბავი გარკვეულია. გვყავს გამოცდილი შემადგენლობა, არაერთ კალათბურთელს უთამაშია ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატებსა თუ ოლიმპიადებზე. ეს ოპტიმიზმის საფუძველს მაძლევს. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს ანდრეი კირილენკო. მასთან ერთად გუნდის პოტენციალი საგრძნობლად გაიზრდება.

კირილენკო ნაკრებს 20 ივლისიდან შეუერთდება. მას გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ ეროვნული გუნდის შეკრებაზე 1 ავგისტოდან გამოცხადებულიყო, თუმცა რუსეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ალექსანდრ კრასნენკოვმა** და ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა დევიდ ბლატმა „იუტა ჯაზის“ ფორვარდს ნაკრების შეკრებაზე 20 ივლისს გამოცხადება სთხოვეს.

- ველაპარაკე როგორც ფედერაციის პრეზიდენტს, ასევე ეროვნული ნაკრების მწვრთნელს. მიუხედავად იმისა, რომ მანამდე გადაწყვეტილი მქონდა, 1 აგვისტომდე დამესვენა, თუმცა სიტყვიერად შევუთანხმდი პრეზიდენტს და მწვრთნელს, რომ რუსეთის ნაკრებს 20 ივლისიდან, სლოვენიურ შეკრებაზე შევუერთდები. ნაკრებში სათამაშოდ ფიზიკურადაც და მორალურადაც მზად ვარ, - განაცხადა "იუტას" ფორვარდმა და განაგრძო:

- გამიხარდა, როცა გავიგე, რომ დევიდ ბლატი რუსეთის ნაკრების მწვრთნელად დარჩა. ის ჩემთვის ყოველთვის იყო კარგი მწვრთნელის მაგალითი და რაც მთავარია, ნაკრებში სიახლეების შემომტანი. ის ახერხებს, რომ ერთდროულად დესპოტიც იყოს და დიპლომატიც. ვარჯიშებისას მკაცრია. თუკი მწვრთნელს მაღალი ავტორიტეტი არ გააჩნია, მისი მუშაობა ნაყოფს ვერ გამოიღებს. ადრე თუ გვიან, მოთამაშე ხმას აიმაღლებს მისი მისამართით და ეტყვის მწვრთნელს: მეგობარო, შენ შეგიძლია გვიყვირო, მაგრამ იცოდე, რომ ნაკრებში ჩვენ სათამაშოდ მოვედით და არა პელმენების საცხობად.

ᲒᲕᲔᲠᲓᲘ ᲛᲝᲣᲐᲛᲖᲐᲓᲐ
ᲕᲐᲟᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ

ინტერვიუ

მიზანი – მესამედ და ზედიზედ მეორედ

ჯონ სმიტი

ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიოს თასის გათამაშების დაწყებამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება. გუნდები დიდი ხანია მზადებას შეუდგნენ, რათა მსოფლიო რაგბის უდიდეს ფორუმს მაქსიმალურად მობილიზებული და შესატყვის სპორტულ ფორმაში შეხვდნენ. სარაგბო ვებგვერდმა planetrugby-მ ახლახან მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონის, სამხრეთ აფრიკის ნაკრების კაპიტანთან, ჯონ სმიტთან ინტერვიუ გამოაქვეყნა.

აქამდე მსოფლიოს თასი რომელიმე გუნდს ზედიზედ ორჯერ არასდროს მოუგია, ამასთან პლანეტაზე არ არსებობს სამგზის მსოფლიოს ჩემპიონი. ამ ორივე მიზნის მიღწევის შანსი სწორედ "ბოკეს" აქვს. სამხრეთაფრიკელები ახალ ზელანდიაში ტიტულის შენარჩუნებას ეცდებიან, რაც მათ საშუალებას მისცემს მსოფლიოს თასი მესამედ მოიპოვონ. თუმცა, თუ "ბოკეს" უკანასკნელ თამაშებს გავიხსენებთ, ეს ნაკლებად მოსალოდნელია. გთავაზობთ ამონარიდს ჯონ სმიტის ინტერვიუდან.

- "ბოკე" უკანასკნელ წლებში მედიის მწვავე კრიტიკის ობიექტი გახდა. გუნდი თითქოს ერთ ადგილზე გაიყინა, სტაგნაცია განიცადა. არავითარი ინოვაცია თქვენი გუნდის თამაშში არ იგრძნობოდა. რით შეიძლება ავხსნათ ეს?

- ცხადია, კრიტიკას ყოველთვის უნდა ყურადღებით მოეკიდო. თუმცა, ჩვენი გუნდის თამაშს მაშინ აკრიტიკებენ, როცა სხვა გუნდი უკეთ თამაშობს. როგორც უნდა იყოს, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ წარმატებას მივაღწიოთ, საჭირო იქნება ვითამაშოთ სანახაობრივი რაგბი? – ვითამაშებთ. საჭირო იქნება მხოლოდ შედეგზე თამაში? ეგეც შეგვიძლია.

ინოვაციებზე ყველა მაშინ ლაპარაკობს, როცა ვაგებთ. ცხადია, ჩვენი მიზანიც ისაა, რომ ყველა თამაში მოვიგოთ, მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია. მერე ნახეთ ახალი ზელანდიის ნაკრები. რა შეიცვალა ამ გუნდის თამაშში? რას აკეთებენ ისინი ახლს? არაფერს. 2010 წლის "ოლ ბლექსი" ტყუპისცალივით ჰგავს 2011 წლის გუნდს, უბრალოდ რასაც აკეთებენ, ცდილობენ რაციონალურად, უშეცდომოთ მოახერხონ და შედეგსაც აღნევენ.

- მსოფლიო თასზე და არა მარტო იქ, მატჩის მსვლელობა რაგბიში ბევრადაა დამოკიდებული არბიტრის აზროვნებაზე, უნარზე, რამდენად საინტერესოდ შეუძლია წარმართოს შეხვედრა. ჯგუფურ ტურნირზე "ბოკეს" ოთხივე მატჩს ევროპელი არბიტრები განსჯიან. ეს თქვენ, გუნდს პრობლემებს შეუქმნის?

- არ მგონია. IRB-მ მსაჯები გულდასმით შეარჩია. ისინი საკმაოდ ცოტანი, ანუ საუკეთესოები არიან. თანაც ყველა მათგანს სამხრეთ ნახევარსფეროში უმსაჯია და გამოცდილებაც საკმარისად დაუგროვდათ. ახალ ზელანდიაში მათ მილიონობით მაყურებელი დააკვირდება და, დარწმუნებული ვარ, ყველაფერს იღონებენ, რათა თავისი საქმე უზადოდ გააკეთონ. ასე რომ, მსაჯობა პრობლემატური არ იქნება.

- სამხრეთ აფრიკის ნაკრების მწვრთნელმა პიტერ დე ფილიერსმა ამას წინათ თქვა, რომ მას თმა გაუთეთრდა ტრავმირებულ მოთამაშეებზე დარდით. თუმცა ამას, მეორე, დადებითი მხარეც აქვს, გამოჯანმრთელების შემდეგ, წლის ბოლოსთვის ისინი დასვენებული და ჯან-ღონით სავსენი იქნებიან. ტრავმამ წლეულს თქვენც შეგაწუხათ. როგორ ფიქრობთ, ამის გამო არასათანადო სათამაშო პრაქტიკა გაქვთ?

- არ ვიცი... მწვრთნელს ახლახან ველაპარაკე და მითხრა, რომ წლეულს კარგად ვიმუშავე. მართალია, ბევრი გამიცდა, მაგრამ ბეჯითად ვივარჯიშე და ფორმა აღვიდგინე. ისე, ორი-სამი კვირა იძულებითი დასვენება სასარგებლო გამოდგა. ჩემს ასაკში მუდმივად ტონუსში ყოფნა ცოტა ძნელია.

- ნაკრების მოთამაშეების ნაწილს მსგავსი ფუფუნება არ ჰქონია. მაგალითად, "ბოკეს" ვიცე-კაპიტან ვიქტორ მეტფილდს, რომელსაც ამ სეზონში თამაში არ გამოუტოვებია...

- არა მარტო ამ სეზონში. ვიქტორს ოთხი თუ ხუთი წელიწადია თამაში არ გაუცდენია. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამის გამო ის მართლაც არ გამოიყურება სათანადოდ. ცოტა გადაღლილი ჩანს, თუმცა მეტფილდი უმაღლესი დონის პროფესიონალია და ძალიან კარგად იცის, როგორი რეჟიმი უნდა დაიცვას, მსოფლიოს თასისთვის კარგად რომ მოემზადოს. თანაც მას მსოფლიო თასის გათამაშების დაწყებამდე დრო კიდევ აქვს, რომ დაისვენოს.

- თქვით, რომ მსოფლიო თასის გათამაშების დაწყებამდე დრო კიდევ აქვს. ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ დე ფილიერსი მოთამაშეების ნაწილს სამი ერის გათამაშებისას დაასვენებს?

- გუნდში იმდენი ტრავმირებულია, რომ არ მგონია დე ფილიერსს მაგის ფუფუნება ჰქონდეს. ვფიქრობ, სამი ერის გათამაშებაში ის მორაგბეები იასპარეზებენ, ვინც იმ დროისთვის საუკეთესო ფორმაში იქნებიან და მსოფლიოს თასზე გამგზავრების ყველაზე მეტი შანსი აქვს.

სხვაგვარად არც შეიძლება. ჩვენ ამ ტურნირზე ასპარეზობას მსოფლიოს თასის დაწყებამდე ორი კვირით ადრე ვამთავრებთ. ამ დროს ევროპულ გუნდებს, საშუალება აქვთ ხუთი- ექვსი კვირა ერთად იყვნენ, ივარჯიშონ, სანვრთნელი მატჩები გამართონ და მომავალი ბატალიებისთვის მშვიდად მოემზადონ. ყოველივე ამის გათვალისწინებით ჭკუით უნდა მოვიქცეთ. სამი ერი მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ მსოფლიო თასისთვის მოსამზადებლად.

- ახალ ზელანდიაში სტუმრად თამაში ძალიან ძნელია. თუმცა სამხრეთ აფრიკის ნაკრებმა ბოლო წლებში იქ რამდენჯერმე შეძლო „ოლ ბლექსის" დამარცხება. ეს გარკვეულ თავდაჯერებულობას არ გმატებთ?

- სხვა გუნდებთან შედარებით ჩვენ, ცხადია, უკეთეს მდგომარეობაში ვართ. ჩვენ ახალი ზელანდია და ავსტრალია, ფაქტობრივად, ერთმანეთით ვცხოვრობთ, ხშირად ვთამაშობთ და გამოცდილებაც მეტი გვაქვს.

ისე, დაგეთანხმებით, ახალ ზელანდიაში თამაში მართლაც ძალიან ძნელია. მაქსიმალურად მობილიზებული უნდა იყო, რომ შვიდი კვირის განმავლობაში საუკეთესო ფორმაში დარჩე.

თუ მოხდა და „ოლ ბლექსს" რომელიმე ეტაპზე გადავეყარეთ, აუცილებლად გავიხსენებთ, იმ მატჩების ემოციებს, როცა მათი დამარცხება შევძელით.

- იდეალური იქნებოდა, თუ ახალი ზელანდიის ნაკრები საერთოდ არ შეგხვდებოდათ...

- როდესაც პლეი ოფის, ნახევარფინალურ ან ფინალურ თამაშებზე საუბრობთ, არ დაგავიწყდეთ, რომ ჯერ პირველი მატჩი გვაქვს სათამაშო უელსის ნაკრებთან.

მეტოქეები

სორინ სოკოლი: ნაკრებში ყველაფერი შესაცვლელია

ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიოს თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების მეტოქემ, რუმინეთის ეროვნულმა გუნდმა მზადება რამდენიმე დღის წინ დაიწყო. „მუხის ფოთლებმა" ეს პროცესი ოთხ ეტაპად დაჰყო.

პირველი ეტაპი, რომელიც კარპატების საკურორტო ქალაქ პრედალში 24 ივლისამდე გასტანს, ფიზიკური კონდიციების ამაღლებას დაეთმობა. მერე გუნდი ბრაშოვში გადაბარგდება, სადაც ერთი კვირის განმავლობაში ტექნიკურ-ტაქტიკურ მონახაზებზე იმუშავებს. მომდევნო ორ კვირას „სტეჟარი" იმავე ფუნქციების დახვეწას კონსტანცაში განაგრძობს.

რუმინელები 15 აგვისტოდან 27 აგვისტომდე ბუქარესტში დასკვნით ეტაპს გაივლიან. 20 აგვისტოს კი, ერთა თასის წლევანდელი გათამაშების გამოტოვებულ შეხვედრას უკრაინის ნაკრებთან ლვოვში გამართავენ.

ამასობაში კი ისევ არ ცხრება რუმინეთის ნაკრების ყოფილი კაპიტანი, მეორეხაზელი **სორინ სოკოლი,** რომელიც „სტეჟარის" თავკაცებს კრიტიკის მორიგი ქარცეცხლით დაატყდა თავს. სოკოლმა ერთ-ერთი რუმინული გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ნაკრების მწვრთნელთა შტაბი სასწრაფოდ შესაცვლელია.

„ამ მწვრთნელების ხელმძღვანელობით ნაკრებში არავითარ შემთხვევაში არ ვითამაშებ. ძალიანაც რომ მინდოდეს მსოფლიოს თასზე თამაში, ახალ ზელანდიაში მხოლოდ ტურისტად წასვლას არ ვაპირებ. არადა, ჩვენი ნაკრები, თუ მდგომარეობა რადიკალურად არ შეიცვალა, იქ ასეთად მოგვევლინება.

ყველაზე მეტად ის მაწუხებს, რომ მწვრთნელები გადაწყვეტილებას ისე იღებენ, რომ სხვების აზრს არად დაგიდევენ. რომეო გონტინიაკი, ისევე როგორც ფრანგი მწვრთნელები, არ გვეკონტაქტება. გააკეთეთ ისე, როგორც მე გეუბნებითო, ამბობს და მორჩა!

გონტინიაკისთვის არასდროს მითხოვია, გინდა თუ არა, მე უნდა ვიყო კაპიტანი-მეთქი, როგორც ეს მან განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში. ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ ერთა თასზე ესპანეთთან მატჩის წინ, მან გუნდის ბანაკი სამი დღით დატოვა და ვარჯიშებს ტელეფონით ხელმძღვანელობდა. ცხადია, ამის გამო მეგობრულად ვუსაყვედურე. სად გაგონილა მწვრთნელი ვარჯიშს ვირტუალურად ატარებდეს. რომეოს ეს ენყინა და მას შემდეგ ჩვენ შორის ურთიერთობა სულ უფრო გაფუჭდა.

მთელი სულითა და გულით მინდა, რომ ჩვენმა ნაკრებმა ახალ ზელანდიაში საქართველოს ეროვნულ გუნდს მოუგოს, რათა იქიდან დამარცხებულები არ დავბრუნდეთ. გარწმუნებთ, მსოფლიოს თასზე უმძიმესი მატჩები გველის, მათ შორის საქართველოს ნაკრებთან. ქართველებმა ბოლო დროს საგრძნობი პროგრესი განიცადეს და მათი ძლევა იოლი არ იქნება, მით უფრო იმ ვითარებაში, რაც ამჟამად ჩვენს ნაკრებშია. თუმცა, მჯერა, რომ ბიჭები ყველაფერს იღონებენ მიზნის მისაღწევად" - იმედოვნებს სორინ სოკოლი.

მსოფლიოს თასი

უელსი პოლონეთში, სპალაში მოემზადება

საოცარია, მაგრამ უელსის ნაკრები საწვრთნელ შეკრებაზე პოლონეთის ქალაქ სპალაში მიემგზავრება. უცნაური ამაში ისაა, რომ ეს ქალაქი არაფრითაა გამორჩეული და გაუგებარია, რატომ შეაჩერა მასზე არჩევანი უელსელთა თავკაცმა **უორენ გეთლენდმა.** ამასთან პოლონეთი სარაგბო ქვეყანაც არ არის.

ერთი სიტყვით, კაცია და გუნება. გეთლენდმა პოლონეთში გასამგზავრებლად 42 მორაგბე შეარჩია. უელსელები იქ ორ კვირას დაჰყოფენ.

უელსის ნაკრები

შერკინება: სკოტ ენდრიუსი, გეტლინ ჯენკინსი, ჯონ ჰეპპი, ბრედლი დევისი, სემ ვერბარტონი, მარტინ ვილიამსი, (ყველა-ბლუზი), ლოიდ ბარნსი, ლუკ ჩარტერისი, ტობი ფალეტაუ, დენ ლიდიატე (ყველა-დრაგონსი), ადამ ჯოუნზი, პაულ ჯეიმზი, რაიან ბევინგტონი, ჰიუ ბენეტი), ალუნ ვინ ჯოუნზი, რაიან ჯოუნზი, ჯონათან თომასი, ჯასტინ ტიპურიჩი (ყველა-ოსფრიზი), კინ ოუენსი, მეთიუ რისი, რობ მაკკუსკერი, ლუ რიდი, ჯოშ ტურნბული (ყველა-ჰლანეჰლი), კრეიგ მიტჩელი (ჩიფსი), ენდი პოუელი (სეილ შარქსი)

უკანა ხაზი: ლი ჰალფენი, რიჩი რისი, ჯიმი რობერტსი, ლიოდ ვილიამსი (ოთხივე-ბლუზი), ეიედ ბრეუ, ჯეისონ ტოვეი (ორივე-დრაგონსი), ენდრიუ ბიშოპი, შეინ ვილიამსი (ორივე-ოსფრიზი), ჯონათან დევისი, ტევის კნოლი, ჯორჯ ნორსი, რის პრისტსლენდი, სკოტ ვილიამსი (ჰლანეჰლი), ლი ბირნი (კლერმონი), მაიკლ ფილიპსი (კლერმონი), ჯეიმზ ჰიკუ (პერპინიანი), გევინ ჰენსონი (უგუნდო).

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

msy-gov-ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიზმი

სნოუბორდის სლოუპსტაილი

ექვსი მედლით მეჯი

სამხრეთ აფრიკის ქალაქ დურბანში მუშაობა დაიწყო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის რიგით 123-ე სესიამ, რომელიც დღეს აირჩევს 2018 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძელ ქალაქს, გუშინ კი დელეგატებმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღეს - 2014 წელს, სოჭის ზამთრის თამაშების პროგრამაში სამ ახალ დისციპლინას შეიტანენ: სლოუპსტაილი ფრისტაილში, სლოუპსტაილი სნოუბორდში და პარალელური სლალომი ასევე სნოუბორდში.

იმის გათვალისწინებით, რომ ამ სახეობებში მამაკაცებისა და ქალების სტარტები ცალ-ცალკე გაიმართება, სოჭის ოლიმპიადაზე დამატებით მედლების ექვსი კომპლექტი გათამაშდება. სულ 2014 წლის ოლიმპიადაზე 98 ჩემპიონს გამოავლენენ. 2010 წელს ვანკუვერში ეს რიცხვი 86-ს უდრიდა.

როგორც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ჟაკ როგემ** განაცხადა, სლოუპსტაილმა (შეჯიბრების ტიპი, რომელშიც სნოუბორდისტები და მოთხილამურეები სიმაღლიდან დაშვებისას აკრობატულ ნახტომებს ასრულებენ) ბოლო წლებში დიდი პოპულარობა მოიპოვა. ამ სახეობების პროგრესში დიდი წვლილი შეიტანა აშშ-ის სათხილამურო სპორტის ასოციაციამ. სწორედ ამერიკელები მიიჩნევიან ამ დისციპლინებში გამარჯვების მთავარ პრეტენდენტებად.

ადრე იტყობინებოდნენ, რომ ოლიმპიური კომიტეტი სოჭის პროგრამაში სამთო-სათხილამურო სპორტში გუნდური ტურნირის დამატებას აპირებდა, მაგრამ გუშინ შესაბამისი გადაწყვეტილება არ მიუღიათ.

გარდა ამისა, სოკ-ის აღმასკომმა დაამტკიცა სპორტის იმ სახეობების სია, რომლებსაც 2020 წლის ზაფხულის თამაშების პროგრამაში შეიტანენ. იქ მოხვდნენ: ბეისბოლი, სოფტბოლი, კარატე, გორგოლაჭებიანი სპორტი, სქვოში, სპორტული მეკლდეურობა, ვეიკბორდინგი და უშუ. ამჯერად უარი უთხრეს სპორტულ ცეკვებს, სერფინგს, ბოულინგსა და ნეტბოლს.

ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი

ისევ გარმინის ბრიუმფი

ამერიკულმა საჯინიბო „გარმინმა“ ზედიზედ მეორე ეტაპი მოიგო - გუნდურ რბოლაში გამარჯვების შემდეგ თავი გამოიჩინა გუნდის მთავარმა სპრინტერმა **ტაილერ ფარარმა, ტორ ჰუშოვდმა** კი შეინარჩუნა ლიდერობა საერთო ჩათვლაში.

ტურ დე ფრანსის მესამე ეტაპის პროფილი სპრინტერს აწყობდა. დისტანციაზე ერთადერთი ამაღლება იყო, ისიც ზემოთ მიმავალი ხიდი. მოკლედ, სპრინტერული ფინიში იყო მოსალოდნელი, რომლის ფავორიტად **მარკ კევენდიში** მიიჩნეოდა. მას აქამდე ტურის 15 ეტაპი ჰქონდა მოგებული, თუმცა მე-16 ტრიუმფი არ შედგა.

სტარტის შემდეგ პელოტონს გაექცა ხუთი ველომრბოლი. ამ ჯგუფის მაქსიმალური უპირატესობა პელოტონთან რვა წუთს შეადგენდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ დაწინაურებულებს ფინიშთან მარტო მისვლის შანსი თითქმის არ ჰქონდათ. პელოტონი, რომელსაც სათავეში ედგა საერთო ჩათვლის ლიდერის გუნდი „გარმინი“ და კევენდიშის საჯინიბო - „ჰაიროუდი“, ლიდერთა ჯგუფთან სტაბილურ სხვაობას ინარჩუნებდა, მაგრამ მათი დაწევა მხოლოდ ფინიშამდე 9 კილომეტრით ადრე მოახერხა.

თუმცა მთავარ ფინიშამდე საინტერესო მოვლენას ჰქონდა ადგილი 90-ე კილომეტრზე, როცა სპრინტერული ქულები გათამაშდა საშუალედო ფინიშზე. აქ ზედმეტად იაქტიურეს კევენდიშმა და ჰუშოვდმა და ეტაპის შემდეგ ქულები ჩამოერთვათ. საქმე ისაა, რომ ნორვეგიელმა ზედ ფინიშის წინ გადაუჭრა გზა ბრიტანელს, რის გამოც კევენდიშმა თავი ჩაარტყა კონკურენტს. ტურის კომისარმა ორივეს მოქმედებაში წესის დარღვევა შენიშნა და მათ დისკვალიფიკაცია მისცა.

საბოლოო სპურტისთვის მზადებისას, ბოლო კილომეტრამდე ყველაფერი „ჰაიროუდის“ გეგმის მიხედვით მიდიოდა, რომელიც ცდილობდა მაქსიმალურად კარგი პოზიცია შეექმნა მარკ კევენდიშისთვის. მაგრამ თავიდან ამ გუნდის ორი პილოტი ისე აჩქარდა, რომ თავისი კაპიტანი დაკარგა, შემდეგ კი წაიქცა **სამუელ დიუმოლენი** („კოფიდისი“), რის გამოც გამარჯვებისთვის ბრძოლა მხოლოდ სამმა მრბოლელმა გააგრძელა. ასე რომ, პირველობისთვის იბრძოდნენ „გარმინის“ წევრები, **რომან ფეიუ** და **ხოსე ხოაკინ როხასი**. საბოლოოდ, მოლოდინისამებრ გამარჯვება მოიპოვა ამერიკელმა ტაილერ ფარარმა. ეს მისი პირველი ტრიუმფია ტურ დე ფრანსზე და ის ამერიკის დამოუკიდებლობის დღეს დაემთხვა.

ტაილერ ფარარის ფინიში

III ეტაპი. 198 კმ.

1. **ტაილერ ფარარი** (აშშ, GRM) - 4.40,21; 2. **რომან ფეიუ** (საფ, VCD) - იგივე დრო; 3. **ხოსე როხას ხილი** (ესპ, MOV) - იგივე დრო; 4. **სებასტიან ინო** (საფ, ALM) - იგივე დრო; 5. **მარკ კევენდიში** (ბრიტ, THR) - იგივე დრო; 6. **ტორ ჰუშოვდი** (ნორ, GRM) - იგივე დრო...

საერთო ჩათვლა

1. **ტორ ჰუშოვდი** (ნორ, GRM) - 9.46,46; 2. **დევიდ მილარი** (ბრიტ, GRM) - იგივე დრო; 3. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, BMC) - +0,01; 4. **ჯერენტ ტომასი** (ბრიტ, SKY) - +0,04; 5. **ლინუს გერდემანი** (გერ, LEO) - იგივე დრო; 6. **ედვალდ ბოასონ ჰაგენი** (ნორ, SKY) - იგივე დრო; 7. **ფრანკ შლეკი** (ლუქ, LEO) - იგივე დრო... 8. **ანდი შლეკი** (ლუქ, LEO) - იგივე დრო... 10. **ბრედლი ვიგინსი** (ბრიტ, SKY) - იგივე დრო... 14. **ტონი მარტინი** (გერ, THR) - +0,05... 19. **ანდრეას კლიოდენი** (გერ, RSH) - 0,10... 22. **ლევი ლაიპპაიმერი** (აშშ, RSH) - იგივე დრო... 46. **ივან ბასო** (იტა, LIQ) - +0,57... 50. **დამიანო კუნეგო** (იტა, LAM) - +1,04... 69. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, SBS) - +1,42... 86. **რომან კროიციგერი** (ჩეხ, AST) - +2,21... 99. **სამუელ სანჩესი** (ესპ, EUS) - +2,36...

კალათბურთი

უფრთხილდით ენდრიუ ბინუმს

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ლოკაუტი გრძელდება და ლიგის ვარსკვლავები იმუქრებიან - ბოლომდე დავდგებით და კლუბების მფლობელებს არაფერს დავუთმობთო. მაგალითად, **კევინ დურანტმა** კიდევ ერთხელ განაცხადა: *„კალათბურთელები ფინიშამდე მივაღწევთ“.*

„ოკლაჰომას“ ვარსკვლავის შემართება გასაკვირი სულაც არ არის - ის 22 წლისაა და უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში გარანტირებული 82 მილიონი დოლარი უნდა მიიღოს. საინტერესოა, რამდენად შემართულნი არიან საბრძოლველად მისი „ღარიბი“ კოლეგები, რომლებიც რამდენიმე თვის შემდეგ გააცნობიერებენ - საბანკო ანგარიში იკლებს, შემოსავლის პერსპექტივა კი არ ჩანს...

■ ■ ■

ოკეანის გაღმიდან ერთი სატრანსფერო ამბავიც გავრცელდა - ევროპაში გადასვლის სურვილი გამოთქვა **ბრაიან სკალაბრინმა**. „ბულზის“ ფორვარდმა ამის შესახებ გაზეთ Chicago Tribune-ში განაცხადა: *„არ ვაპირებ უბრალოდ ჯდომასა და იმის ყურებას, როგორ ომობენ ერთმანეთში მილიონერები. ძალიან მიყვარს კალათბურთის თამაში“.*

■ ■ ■

სანამ ლოკაუტი მიმდინარეობს, კალათბურთელები ათასგვარი გასართობით ცდილობენ დროის მოკვლას. „ლეიკერსის“ ძირითად ცენტრს **ენდრიუ ბინუმს** სერიოზული გატაცება აქვს - „ორლანდოს“ რამდენიმე კალათბურთელის მიბაძვით მან კრიკეტში ვარჯიში დაიწყო. თანაც ძალიან სერიოზულად მიუდგა ამ საქმეს - ენდრიუ თვით **ფრედი როუჩისგან** იღებს გაკვეთილებს. შესაბამისი ფოტო მან „ტვიტერზე“ განათავსა და ასეთი ფრაზა მიაწერა: *„ვემზადები ახალი კარიერის დასაწყებად“.*

რთული სათქმელია, რამდენად სერიოზულია ეს ყველაფერი, იმას კი შეგახსენებთ, რომ როუჩი ისეთი მოკრივეების მწვრთნელი იყო, როგორებიც არიან: **ბერნარდ ჰოპკინსი, ჯეიმს ტუნი, ოსკარ დე ლა ჰოია, მაიკ ტაისონი,** ამჟამად კი ის მსოფლიოს საუკეთესო მოკრივეს **მენი პაკიაოს** ავარჯიშებს.



ბინუმის პირველი გაკვეთილი

■ ■ ■

ცენტრმა **ბრედ მილერმა** კი, რომელიც ცოტა ხნის წინ „ჰიუსტონიდან“ „მინესოტაში“ გადავიდა, საკუთარი ბრბოლო გუნდი შექმნა - BMiller Racing. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ამ გუნდში არა ნამდვილი ავტომობილები, არამედ რადიოთი მართვადი მოდელები ირბოლებენ. მოკლედ, მილერმა ბავშვობა გაიხსენა.

ფერნანდესის უარი

მილოშ ტეოდოშიჩი

ბრძოლდება **მილოშ ტეოდოშიჩის** სატრანსფერო ეპოპეა. მისმა ამჟამინდელმა კლუბმა „ოლიმპიაკოსმა“ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ არ აპირებს გაიმეოროს იმ კონტრაქტის პირობები, რომელიც სერბს მოსკოვის ცსკა-მ შესთავაზა. ამის შემდეგ ბერძნულმა პრესამ გამოაცხადა, რომ ტეოდოშიჩი მოსკოვში გაფრინდა არმიელებთან კონტრაქტის გასაფორმებლად, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, რამდენად მართალია ეს ინფორმაცია, მით უმეტეს, რომ სერბეთის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატისთვის მზადება დაიწყო და ტეოდოშიჩს ტრანსფერისთვის არ სცალია.

მოკლედ, ჯერჯერობით ისაა ცნობილი, რომ მილოშმა დატოვა „ოლიმპიაკოსი“, მისი მომავალი კლუბის სახელს კი, სავარაუდოდ, ევრობასკეტის შემდეგ შევიტყობთ.

■ ■ ■

როგორც გუშინდელ ნომერში ვწერდით, მადრიდის „რეალმა“ ექვსწლიანი კონტრაქტი (წლიური ხელფასი - 3 მილიონი ევრო) შესთავაზა „დალასის“ კალათბურთელ **რუდი ფერნანდესს**. მაგრამ მეორე დღეს ესპანელმა უარი თქვა „სამეფო კლუბის“ შეთავაზებაზე. ბედმა გამიღიმა და საჩემპიონო გუნდში მოვხვდი, სამშობლოში დაბრუნებას კი ყოველთვის მოვასწრებო, - აცხადებს ფერნანდესი.

■ ■ ■

„რეალმა“ რუდი ვერ გადაიბირა, სამაგიეროდ, ახალი კონტრაქტი გაუფორმა ფორვარდ **ნოვიცა ველიჩკოვიჩს**, რომლის გადაბირებით ბერძნული „პანათინაიკოსი“ იყო დაინტერესებული.

ეს კალათბურთელი შარშან ევროლიგაში 3.4 ქულასა და 2.8 მოხსნას აგროვებდა.

■ ■ ■

ძალიან აქტიურია სატრანსფერო ბაზარზე „მილანი“, რომელსაც ცოტა ხნის წინ სათავეში ჩაუდგა ესპანეთის ნაკრების დამრიგებელი **სერჯო სკარიოლო**.

მას შემდეგ, რაც იტალიურმა კლუბმა ვერ შეძლო ლიტველების - **დარიუშ ლავრინოვიჩისა** და **შარუნას იასიკიავიჩუსის** დამატება, მილანელებმა მიზანში ამოიღეს ცენტრი **ბონიფაცი ნდონგი**, რომელმაც ახლახან დატოვა „ბარსელონა“.

მთავარი ამბავი კი, რომელიც „მილანს“ უკავშირდება, „გაძეტა დელო სპორტმა“ გამოაქვეყნა - სკარიოლოს გუნდი კონტრაქტს სთავაზობს „ნიუ ორლეან ჰორნეტსის“ წევრ **კაილ ლენდრრის**. თუ მილანელებს ტრანსფერი გამოუვიდათ, ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი გარიგება ევროპულ ბაზარზე.

■ ■ ■

გარკვეული პრობლემები აქვს ევრობასკეტის წინ საფრანგეთის კალათბურთის ფედერაციას. ეს ორგანიზაცია ფულს ეძებს იმისთვის, რომ დაფაროს **ტონი პარკერისა** და NBA-ში მოთამაშე სხვა ვარსკვლავების დაზღვევის დანახარჯები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი მონაწილეობას ვერ მიიღებენ ევროპის ჩემპიონატში.

ქვეყნის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ჟან-პიერ სიუტის** თქმით, პოტენციურ სპონსორებად განიხილებიან სახელმწიფო და კერძო კომპანიები.

მძლეოსნობა

რეკორდსმენი სიმკაცრეს ითხოვს

სიბრძეზე ხტომაში მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა **მაიკლ პაუელმა** საკუთარი აზრი გამოთქვა დოპინგთან ბრძოლის საქმეში. ლეგენდარული ამერიკელი ათლეტი აცხადებს, რომ ის სპორტსმენი, რომელიც შეგნებულად გამოიყენებს აკრძალულ პრეპარატს, სამუდამოდ უნდა იქნას დისკვალიფიცირებული საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ.

47 წლის პაუელმა ეს განცხადება ინდოეთის ქალაქ მუმბაიში გააკეთა. როგორც ჩანს, ეს აზრი მან ინდურ სპორტში მომხდარ სკანდალს დაუკავშირა. ცოტა ხნის წინ დოპინგის მიღებაში გამოიჭირეს ექვსი ინდოელი სპორტსმენი, მათ შორის ორი პერსპექტიული მორბენალი - **მანდი კაური** და **სინი ჯოსე**. მათ ორგანიზმში ანაბოლური სტეროიდები აღმოაჩინეს.

„ვფიქრობ, თუ შენ აკრძალული პრეპარატი გამოიყენე, მაშინ სიცოცხლის ბოლომდე დისკვალიფიკაცია უნდა მიიღო. მძლეოსნობა ყოველთვის ყველაზე წინ იყო, მათ შორის დოპინგთან ბრძოლის საქმეში. ჩვენს სახეობაში მზად არიან მიაღწიონ იმას, რომ ხელი არ დააფარონ უპირველესი დონის ვარსკვლავებსაც კი. ასე რომ, იმ სპორტსმენმა, რომელიც აკრძალულ პრეპარატს იღებს, კარგად უნდა იცოდეს, რომ უდიდეს რისკზე მიდის“, - აღნიშნა პაუელმა, რომელიც დღეს მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ელჩი გახლავთ.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

● ფორმულა 1



ერთ დროს უილიამსი ძლიერი იყო

რენო და უილიამსი ისევ დაძმობილდნენ

სააგენტო AP-ის ცნობით, ბრიტანულმა საჯინიბო „უილიამსმა“ ორწლიანი პარტნიორული ხელშეკრულება გააფორმა კომპანია „რენოსთან“. ასე რომ, მომავალი სეზონიდან ამ გუნდის ბოლიდები ფრანგული ძრავებით აღიჭურვებიან, კერძოდ, Renault V8-ით, რომელსაც ამ სეზონში ჩემპიონი „რედ ბული“ იყენებს. წელს „უილიამსი“ „კოსუორტის“ ძრავებით მოძრაობს.

ეს არ გახლავთ სერ **ფრენკ უილიამსის** გუნდისა და „რენოს“ თანამშრომლობის პირველი პრაქტიკა. 1989 წლიდან 1997 წლის ჩათვლით „უილიამსმა“ ფრანგული კომპანიის ძრავებით ცხრა შესანიშნავი სეზონი ჩაატარა. დღეს სწორედ ამ პერიოდს გავიხსენებთ.

■ ■ ■

თანამშრომლობის პირველი წელი საკმაოდ წარმატებული გამოვიდა. ჩაგდებული 1988 წლის შემდეგ გუნდმა დაკარგული პოზიციების დაბრუნება დაიწყო. ახალმა ძრავებმა „უილიამსს“ ათი პოდიუმი და **ტიერი ბუტსენის** ორი გამარჯვება მოუტანა. ამან ბრიტანელებს კონსტრუქტორთა თასზე მეორე ადგილი და ოპტიმისტური მომავალი მოუტანა.

მომდევნო სეზონი ნაკლებად წარმატებული გამოდგა. გუნდის პილოტებმა თითო-თითო გამარჯვება მოიპოვეს, მაგრამ პოდიუმების რაოდენობამ იკლო. ამის გამო საერთო-გუნდურ ჩათვლაში „უილიამსმა“ მეოთხე ადგილი დაიკავა. პირად ჩათვლაში ბუტსენი და **რიკარდო პატრეზე** მხოლოდ მეექვსე და მეშვიდე პოზიციაზე აღმოჩნდნენ.

1991 წლიდან იწყება გუნდის უსწრაფესი პროგრესი. ბრიტანელთა რიგებში „ფერარიდან“ **ნაჯერ მენსელი** დაბრუნდა, მთავარი კონსტრუქტორის თანამდებობა ჩაიბარა **ედრიან ნიუმ** (დღეს „რედ ბულის“ ტექნიკური დირექტორი), ხოლო „რენოს“ ძრავები კიდევ უფრო მძლავრი და საიმედო გახდა. ამ ყველაფერმა „უილიამსი“ კონსტრუქტორთა თასზე მეორე ადგილზე დააბრუნა, მენსელმა კი სეზონში ხუთი რბოლა მოიგო.

1992 - ბრიტანული გუნდის ულაპარაკო ტრიუმფის წელი. ეს იყო მისი არსებობის ისტორიაში საუკეთესო სეზონი, რომელშიც ყველა ჩათვლა კონკურენტებზე უდიდესი უპირატესობით იქნა მოგებული.

ჩემპიონი ნაიჯელ მენსელი გახდა, „უილიამსმა“ კი ბრიტანელი პილოტისა და პატრეზეს წყალობით ჩემპიონატის მსვლელობისას ხუთი რეკორდი დაამყარა: ტიტული სეზონის დასრულებამდე 5 რბოლით ადრე გაინაღდა, ჩემპიონმა 108 ქულა დააგროვა, გუნდმა 14 პოული მოიპოვა, ცხრა ეტაპი მოიგო და რვა საუკეთესო წრე დააფიქსირა.

ეს უპირატესობა მომდევნო სეზონშიც შენარჩუნდა - ედრიან ნიუის ქმნილება ისევ ყველაზე სწრაფი და საიმედო იყო და სხვა გუნდები ამას ვერაფერს უხერხებდნენ. სამაგიეროდ, შეიცვალა ავტომრბოლთა შემადგენლობა: პირველი პილოტის ადგილი **ალენ პროსტმა** დაიკავა, რომელმაც იოლად მოიგო თავისი მეოთხე ტიტული. მეორე პილოტი იყო **დეიმონ ჰილი**.

1994 წლის სეზონი ყველაზე რთული და ტრაგიკული აღმოჩნდა გუნდის ისტორიაში. პროსტმა კარიერა დაასრულა და მისი ადგილი **აირტონ სენამ** დაიკავა. იმოლაში უქმეებმა ბრიტანულ საჯინიბოსა და მთლიანად ფორმულა 1-ს ლეგენდარული პილოტი წაართვა. ამის შემდეგ საჩემპიონო რბოლაში ჩართვა მოახერხა დეიმონ ჰილმა, მაგრამ ადელაიდაში **მიხაელ შუმახერის** საფირმო ილეთმა „უილიამსის“ პილოტს პირადი ჩათვლის მოგების საშუალება არ მისცა. სამაგიეროდ, მოიგო კონსტრუქტორთა თასი. ეს ჩავარდნად არ მიიჩნეოდა, რადგან ფრენკ უილიამსი გუნდურ პირველობას ყოველთვის უფრო მაღლა აყენებდა.

შემდეგმა წელმა შუმახერის დომინირების ფონზე ჩაიარა, რომელმაც დამატებითი ეტაპი, სადაც **ფერნანდო ალონსომ** და **ფელიპე მასამ** დუბლი შეასრულეს.

რა თქმა უნდა, შარშანდელთან შედარებით ყველაზე დიდი პროგრესი „რედ ბულის“ პილოტმა და მოქმედმა ჩემპიონმა **სებასტიან ფეტელმა** განიცადა. ამჟამად მის ანგარიშზე 186 ქულაა, შარშან ამ დროს კი მისი მონაგარი 103 ქულას შეადგენდა. ფერარისეულ რეიტინგში მეორეა ფერნანდო ალონსო, რომელმაც 16-ქულიანი პროგრესი განიცადა (87 ქულა შარშანდელი 71-ის წინააღმდეგ). სამეულშია „რედ ბულის“ მეორე პილოტი **მარკ უებერი** (+10, 109 99-ის წინააღმდეგ).

დანარჩენმა სამმა პილოტმა უკან დაიხია: უარყოფითი მაჩვენებლები აქვთ **ჯენსონ ბატონს** (-6, 109 115-რის წინააღმდეგ), ფელიპე მასასა (-7, 42 49-ის წინააღმდეგ) და **ლუის ჰემილტონს** (-15, 97 112-ის წინააღმდეგ).

ჯერ ჯერობლად მოიპოვა მეორე ტიტული. მაქსიმუმი, რასაც ბრიტანელებმა მიაღწიეს, ყველა ჩათვლაში მეორე ადგილი იყო. ოდნავ შეამსუბუქა წაგებული სეზონით გამოწვეული იმედგაცრუება ხუთი ეტაპის მოგებამ.

1996 წლის სეზონში „უილიამსს“ ისევ არ ჰყავდა ბადალი. დეიმონ ჰილმა საჩემპიონო ბოლიდი მიიღო და სეზონი ტიტულით დაასრულა. მას სხვა გუნდებში კონკურენტი არ ჰყოლია - ერთადერთი ხელისშემშლელი იყო მისი თანაგუნდელი, აბსოლუტური დებიუტანტი **ჟაკ ვილნევი**, რომელიც ბოლო ეტაპამდე ებრძოდა ბრიტანელს. გუნდურ ჩათვლაში სერ ფრენკის გუნდმა „ფერარიზე“ ორჯერ მეტი ქულა მოიპოვა.

„რენოსა“ და „უილიამსის“ თანამშრომლობის ბოლო წელი პირად ჩათვლაში საჩემპიონო ტიტულისთვის ბრწყინვალე ბრძოლით აღინიშნა. ფრენკ უილიამსი სეზონის წინ გამოეთხოვა მოქმედ ჩემპიონს და პირველ ნომრად ჟაკ ვილნევი გამოაცხადა. კანადელმა არ დააღალატა გუნდი და შუმახერს ბოლო ეტაპამდე ებრძოდა ჩემპიონობისთვის. ხერესში უქმეები სამუდამოდ შევიდა ისტორიაში. აქ მიხაელს არ გამოუვიდა სამი წლის წინანდელი ტრიუკი. ვილნევმა მესამე ნომრად მიაღწია ფინიშამდე, ხოლო მისმა გუნდმა საჩემპიონო დუბლი შეასრულა.

ამის შემდეგ „რენოსა“ და „უილიამსის“ გზები გაიყარა, არადა, მათი თანამშრომლობა ორივესთვის ძალიან წარმატებული გამოდგა. ამ ცხრა წლის განმავლობაში მოიგეს ხუთი კონსტრუქტორთა თასი და ოთხი პირადი ჩათვლა, გაიმარჯვეს 63 ეტაპზე, მოიპოვეს 141 პოდიუმი.

საინტერესოა, რას მოუტანს „უილიამსს“ ურთიერთობის განახლება. ამაზე ჯერ ნაადრევია ლაპარაკი, თუმცა იმის თქმა შეიძლება, რომ ბრიტანული საჯინიბო აუცილებლად გახდება ანგარიშგასაწევი ძალა.

● ცხელი ხაზი

ფეხბურთი

მს. ჩემპიონატი

ქალები

ინგლისი-იაპონია	2:0
ახ. ზელანდია-მექსიკა	2:2
კანადა-ნიგერია	0:1
საფრანგეთი-გერმანია	2:4

ჩემპიონთა ლიგა

I საკვ. ეტაპი. II მაგჩი

დუდელანჟი-სანტა კოლომა	2:0 (2:0)

ამხანაგური მაგჩები

როსკილდე-ბრონდბიუ	2:1
ხემნიცი-კიოგე	1:1
დუისბურგი-ჰონვედი	3:0
კოტბუსი-ტეპლიცე	1:0
ვასლუი-სპარტა	1:1
პადერბორნი-ოსნაბრიუკი	2:1
გრონინგენი-ჰელმონდი	1:1
ბრიუგე-მონსი	3:2
იგლზი-ჰერენვეენი	0:5
ლიტექსი-ბოტევი	3:0
მორტონი-მოზერველი	2:3
ბრეჩინი-დანფერმლაინი	1:1
ისტ ფაიფი-ჰართსი	0:3
ლინფილდი-კილმარნოკი	1:3
ლივინგსტონი-ჰიბერნიანი	2:1

უკრაინა

სუპერთასი

შახტარი-დინამო	1:3

რუსეთის თასი

ფაიური-ფაკელი	1:2

ტენისი

ATP. ნიუპორტი

როჟე ვასელენი-ბლუმფილდი	6:4, 6:0
კუდლა-კარლოვიჩი	7:6, 4:6, 6:4
კუნიცინი-**ვანგი**	6:4, 5:7, 2:6
კამკე-ბოგდანოვიჩი	7:6, 6:3
ისნერი-კ. ბეკი	6:3, 6:2
მაუ-დეკუ	6:1, 6:0
ჰარისონი-**კლემანი**	4:6, 1:6
სტივინგი-**ებდენი**	4:6, 2:6
ბერერი-**ჰაასი**	6:7, 4:6
სელა-**იანი**	6:7, 3:6

WTA. ბაშტადი

ჰერცოგი-ტატიშვილი	7:5, 6:3
ლუჩიჩი-**კირსტეა**	5:7, 6:2, 5:7
ლაგოსტერა ვივესი-ლიმი	4:6, 6:2, 6:2
ბარტელი-**დუშევინა**	2:6, 6:7
პარა სანტონხა-არეფიევა	7:5, 6:3
მარტინეს სანჩესი-ბენეშოვა	6:2, 6:0
ჰლავაჩკოვა-**არვიდსონი**	1:6, 7:5, 4:6
როგოვსკა-**პენეტა**	2:6, 5:7
ბრაუნიკოვა-**კერბერი**	2:6, 2:6
ვოზნიაცკი-კორნე	6:4, 6:4

WTA. ბუდაპეშტი

კუკოვა-იოჰანსონი	7:6, 7:5
ბირნეროვა-ჰრადეცკა	3:6, 6:4, 6:2
მარტიჩი-**ფოგელი**	5:7, 5:7
ცურენკო-იანი	3:6, 7:6, 6:2
მაროში-**კ. ბონდარენკო**	3:6, 4:6
კრუნიჩი-ბრატჩიკოვა	7:5, 1:0 უარი
ვინჩი-იურიკოვა	6:1, 6:0
დენტონი-**კაბესა**	3:6, 1:6
რემონდინა-**ბაბოში**	3:6, 6:7
გოინეა-**ერანი**	3:6, 1:6

● TV პროგრამა

6 ივლისი. ოთხშაბათი

GMG-ფეხბურთი

10:00 სეზონის შეჯამება. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი.
11:00 ჩემპიონის გზა. საფრანგეთის ჩემპიონატი. სტ. ეტიენი-ლილი.
13:00 სუპერმატჩი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-უდინეზე.
15:00 ჩემპიონის გზა. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ნიურბერგი.
17:00 ჩემპიონის გზა. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-სამპდორია.
19:00 სეზონის შეჯამება. არგენტინის ჩემპიონატი. ველეს სარსფილდი.
20:30 ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
21:00 სეზონის შეჯამება. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი.
22:00 გადაცემა - სპორტის ვარსკვლავები.
22:30 სეზონის შეჯამება. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა.
00:00 სეზონის შეჯამება. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი.
01:30 თასის ფინალი რეალი – ბარსელონა
04:35 კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. არგენტინა-კოლუმბია. არგენტინა (LIVE).

GMG-სპორტი

10:00 სეზონის შეჯამება. იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი.
10:45 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. დალასი-მაიამი. მესამე მატჩი.
13:10 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. III დღე. ბაშტადი. შვედეთი (LIVE).
20:00 K1. ბრძოლა წესების გარეშე.
22:30 გადაცემა - საფეხბურთო სამყარო.
23:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. დალასი-მაიამი. მესამე მატჩი.

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

04:35 კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. არგენტინა-კოლუმბია. არგენტინა (LIVE).

HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

13:00 WTA-ის ტური. III დღე. ბაშტადი. შვედეთი (LIVE).
18:00 WTA-ის ტური. III დღე. ბუდაპეშტი. უნგრეთი (LIVE).

EUROSPORT

15:25 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. V ეტაპი (LIVE).
20:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. გვინეა-ბრაზილია. გერმანია (LIVE).
22:45 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. შვედეთი-აშშ. გერმანია (LIVE).

EUROSPORT-2

18:00 მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი სტუდენტებს შორის. ჩინეთი (LIVE).
20:15 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. ავსტრალია-ნორვეგია. გერმანია (LIVE).
22:45 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. ჩრ. კორეა-კოლუმბია. გერმანია (LIVE).

ფერარის მათემატიკა

სეზონის ეკვატორზე ფორმულა 1-ს ოთხი კვირის განმავლობაში სამი გრანპრი ელის. მათგან პირველს ამ უქმეებზე სილვერსტოუნის ავტოდრომი უმასპინძლებს, შემდეგ გერმანული „ნიურბურგრინგის“ ჯერი დადგება, ბოლოს იქნება უნგრეთის გრანპრი ბუდაპეშტში და დაიწყება საზაფხულო არდადეგები.

ამასთან დაკავშირებით, იტალიურ საჯინიბო „ფერარის“ საკმაოდ საგულისხმო ციფრები მოჰყავს. „სკუდერიაში“ გადაწყვიტეს განიხილონ ექვსი უძლიერესი პილოტის შედეგები, რომლებიც სამ წამყვან გუნდს წარმოადგენენ და შეადარონ მათი წლევანდელი მონაგარი 2010 წლის ამავე ეტაპზე მოპოვებულ ქულებს. ამასთან, მარანელოში არ გაითვალისწინეს ბაჰრეინის შარშანდელი ეტაპი, სადაც **ფერნანდო ალონსომ** და **ფელიპე მასამ** დუბლი შეასრულეს.

რა თქმა უნდა, შარშანდელთან შედარებით ყველაზე დიდი პროგრესი „რედ ბულის“ პილოტმა და მოქმედმა ჩემპიონმა **სებასტიან ფეტელმა** განიცადა. ამჟამად მის ანგარიშზე 186 ქულაა, შარშან ამ დროს კი მისი მონაგარი 103 ქულას შეადგენდა. ფერარისეულ რეიტინგში მეორეა ფერნანდო ალონსო, რომელმაც 16-ქულიანი პროგრესი განიცადა (87 ქულა შარშანდელი 71-ის წინააღმდეგ). სამეულშია „რედ ბულის“ მეორე პილოტი **მარკ უებერი** (+10, 109 99-ის წინააღმდეგ).

დანარჩენმა სამმა პილოტმა უკან დაიხია: უარყოფითი მაჩვენებლები აქვთ **ჯენსონ ბატონს** (-6, 109 115-რის წინააღმდეგ), ფელიპე მასასა (-7, 42 49-ის წინააღმდეგ) და **ლუის ჰემილტონს** (-15, 97 112-ის წინააღმდეგ).

როგორც „სკუდერიას“ სტატისტიკურმა დეპარტამენტმა გამოითვალა, კონსტრუქტორთა თასზე „რედ ბულმა“ შარშანდელ მონაგარს 93 ქულა დაუმატა, „ფერარიმ“ - ცხრა, ხოლო „მაკლარენმა“ 21 ქულა დაკარგა. დაახლოებით ასეთი სურათია მოგებებისა და პოდიუმების რაოდენობის მხრივ - ერთმა გუნდმა მოუმატა, მეორე ერთ ადგილას დარჩა, მესამემ დათმო პოზიციები.

გასაგებია, რომ ეს მხოლოდ არითმეტიკული გამოთვლებია, რომელიც არ ითვალისწინებს რეალურ სხვაობას ბოლიდების სიჩქარეს შორის. თუმცა ყველას ახსოვს, როგორ ვითარდებოდა გასული სეზონის მეორე ნახევარი, ამიტომაც „ფერარიში“ დიდი იმედი აქვთ, რომ დაკარგული არაფერია.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა



ფერარის დაწევის იმედი აქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

● უსნაური ჩემპიონატი

ჯონ ჩესტნატი

62 ჰოთ-დოგი 10 წუთში

ნიუ იორკში, კონი აილენდზე 96-ედ გაიმართა მსოფლიოს ჩემპიონატი ჰოთ-დოგების ჭამაში. მამაკაცებს შორის სპორტის ამ სახეობას ბოლო წლებში გამოკვეთილი ლიდერი ჰყავს - ამერიკელი **ჯონ ჩესტნატი,** რომელმაც ზედიზედ მეხუთედ მოიგო პლანეტის პირველი „ჰოთდოგისტის" ტიტული.

ჩესტნატს ჰოთ-დოგის მირთმევის თავისებული ტექნიკა აქვს - ერთ ჯერზე ორ ულუფას მიირთმევს, თუმცა მანამდე პურს წყალში ალბობს. ამ ტექნიკის წყალობით მან 10 წუთში 62 ჰოთ-დოგი შეჭამა - ცხრით მეტი, ვიდრე მისმა უახლოესმა მდევარმა, ჩიკაგოელმა **პეტ ბერტოლეტიმ**.

სხვათა შორის, ჩესტნატი მსოფლიოს რეკორდსმენი გახლავთ - 2009 წელს იმავე ათ წუთში 68 ჰოთ-დოგს მოერია. ჯოიმ ჩემპიონობის სანაცვლოდ 10 ათასი დოლარი დაიმსახურა.

ჩემპიონატის 16 მონაწილეს შორის 13 ამერიკელი იყო და სამი ჩინელი. ეს მათი დებიუტი გახლდათ, რომელიც მეტად წარუმატებელი გამოდგა - აზიელებმა ბოლო სამი ადგილი დაიკავეს. მათგან საუკეთესომ 10 წუთში მხოლოდ 21 ჰოთ-დოგი შეჭამა.

პარალელურად ქალებს შორისაც გაიმართა შეჯიბრება. დრო და საპრიზო ფონდი იგივე იყო. ცხრა მონაწილეს შორის საუკეთესო აღმოჩნდა **სონია ტომასი,** რომელმაც 40 ჰოთ-დოგი მიირთვა. მას კონკურენტი არ ჰყოლია, რადგან მეორე ადგილზე გასულ **ჯულიეტ ლი** 29 ჰოთ-დოგზე შეჩერდა.

● სათხილამურო რბოლა

ოლიმპიური ჩემპიონის ტრაგედია

სამწუხარო ამბავი გავრცელდა ფინეთიდან. სათხილამურო რბოლაში ოლიმპიური ჩემპიონი **მიკა მიულიულა** 41 წლის ასაკში გარდაიცვალა. ის ფინეთის ჩრდილო-დასავლეთით, ქალაქ კოკოლაში საკუთარი სახლში მკვდარი იპოვეს. ადგილობრივმა პოლიციამ სპორტსმენის სიკვდილის დეტალებზე კომენტარისგან თავი შეიკავა, მხოლოდ ის აღნიშნა, რომ ეს სამწუხარო ამბავი კრიმინალს არ უკავშირდება.

ოლიმპიური ოქრო მიულიულამ 1998 წელს ნაგანოში 30-კილომეტრიან რბოლაში მოიპოვა, სულ კი მის ანგარიშზე ექვსი ოლიმპიური მედალი მოდის. ასევე ფინელი მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი იყო.

2001 წელს მიკამ ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიიღო დოპინგის გამოყენების გამო. სასჯელის მოხდის შემდეგ კარიერა განაახლა, მაგრამ 2005 წელს საბოლოოდ წავიდა დიდი სპორტიდან.

მიკა მიულიულა

● ჩოგბურთი

დევისი კალენდარს ცვლის

2012 წლიდან პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაცია (ATP) სეზონის შემცირებას აპირებს, კერძოდ, სეზონებს შორის არდადეგები ხუთიდან შვიდ კვირამდე გაიზრდება. ATP-ის არ ჩამორჩა ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ და მანაც იზრუნა სპორტსმენთა უკეთ დასვენებისთვის.

გუშინ გადაწყდა, რომ 2012 წელს მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის - დევისის თასის ფინალი არა დეკემბრის დასაწყისში, არამედ ნოემბრის შუა რიცხვებში გაიმართება, უფრო ზუსტად 16-18 ნოემბერს. ერთი კვირის ადრე ჩატარდება ATP-ის წლის შემაჯამებელი ტურნირი. ასევე ცნობილია, რომ 2013 წელს დევისის თასის გადამწყვეტ მატჩს 15-17 ნოემბერს ჩაატარებენ.

2012 წლის დევისის თასის კალენდარი ასე გამოიყურება:

1/8 ფინალი - 10-12 თებერვალი
1/4 ფინალი - 6-8 აპრილი
1/2 ფინალი - 14-16 სექტემბერი
ფინალი - 16-18 ნოემბერი

შეგახსენებთ, რომ წელს დევისის თასის ფინალი 2-4 დეკემბერს ჩატარდება.

● ჩოგბურთი. ინტერვიუ ნოვაკ ჯოკოვიჩთან

100 ათასი ბედნიერი სერბი

უიმბლდონის ახალი ჩემპიონი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** ტრიუმფალურად დაბრუნდა მშობლიურ ბელგრადში. ეროვნული გმირის დასახვედრად სერბეთის დედაქალაქის ქუჩებში 100 ათასი ადამიანი გამოვიდა.

ეროვნული დროშებითა და პლაკატებით შეიარაღებული ფანები მთელი საღამო ჯოკოვიჩის სახელს სკანდირებდნენ. თითქმის ყველას სახე ეროვნულ ფერებში ჰქონდა შეღებილი, შუაში კი სიმბოლური ციფრი „ერთიანი" ეწერათ, იმის აღსანიშნავად, რომ ჯოკოვიჩი არა მარტო პირველად გახდა უიმბლდონის ჩემპიონი, არამედ ორშაბათიდან პირველად ჩაუდგა სათავეში მსოფლიოს რეიტინგს. მან დაამხო **როჯერ ფედერერისა** და **რაფაელ ნადალის** შვიდწლიანი ჰეგემონია, როცა ეს დუეტი არავის უთმობდა პირველობას მსოფლიო რეიტინგში.

„ეს დღე თქვენ საუკეთესოდ აქციეთ ჩემს ცხოვრებაში. ამას არასოდეს დავივიწყებ. ამ გამარჯვებას გიძღვნით თქვენ და მთელ სერბეთს", - ეროვნული კრების შენობის აივნიდან მიმართა ჯოკოვიჩმა ფანებს.

სეზონის ეკვატორზე ჯოკოვიჩს უკვე რვა ტიტული აქვს მოპოვებული, აქედან ორი „დიდი სლემის" ტურნირის მთავარი პრიზია - ავსტრალიის ღია პირველობისა და უიმბლდონის. ამ მომენტისთვის მისი წლევანდელი ჯამური ჰონორარი შვიდ-ნახევარ მილიონ დოლარს შეადგენს.

ნოვაკს ამ სეზონში 50 მატჩიდან 49 აქვს მოგებული. ერთადერთი მარცხი მან როლან გაროსის ნახევარფინალში როჯერ ფედერერისგან იწვნია, არადა, ის წაგება რომ არა, სერბს სეზონში „დიდი სლემის" შესრულების რეალური შანსი ექნებოდა.

როგორც წესი, ჩოგბურთელებს ასეთ დახვედრას არ უწყობენ ხოლმე, თუმცა ნოვაკი გამონაკლისია. ის თავის ყოველ ტრიუმფს სერბეთის პოპულარიზაციისთვის იყენებს. „ნოლე" არასოდეს ამბობს უარს დევისის თასის მატჩებზე. ახლაც, უიმბლდონის შეხვედრებისგან დაღლილი ჯოკოვიჩი ამ უიქენდზე დევისის თასის მეოთხედფინალში შვედეთთან სტუმრად აპირებს თამაშს. ხალხის სიყვარულიც აქედან მოდის.

ბალახი გემრიელი იყო

აქვე გთავაზობთ ინტერვიუს მსოფლიოს ახალ პირველ ჩოგანთან, რომელიც მან უიმბლდონის მოგების შემდეგ მისცა.

- ნოვაკ, დევისის თასზე სერბეთის ნაკრების შარშანდელი გამარჯვების შემდეგ ბრწყინვალე გზა გაიარეთ. აღწერეთ თქვენი ფიქრები ამ დაუჯერებელი პერიოდის შესახებ.

- სიამოვნებით მოგიყვებოდით, მაგრამ რთულია ამის აღწერა. ვერ ვპოულობ საჭირო სიტყვებს ჩემი გრძნობების გამოსახატავად. მივაღწიე იმას, რაზეც ვოცნებობდი. ამ სამი დღის განმავლობაში ორი ყველაზე დიდი ოცნება ავისრულე.

ნებისმიერი სპორტსმენი ოცნებობს, საუკეთესო იყოს მსოფლიოში, რადგან ეს წინსვლის დამატებით მოტივაციას იძლევა. მრავალწლიანი ვარჯიშების შემდეგ, როგორც იქნა, აღწევ მიზანს, იცი, რომ საუკეთესო ხარ და ამით უდიდეს სიამოვნებას იღებ.

- ფინალში საკმაოდ დამაჯერებლად მოიგეთ პირველი ორი სეტი, რის შემდეგაც იოლად დათმეთ მესამე. რა მოხდა?

- ძალიან მოვეშვი მესამე სეტის დასაწყისში. ვერ შევძელი საკმარისად კონცენტრირება მეორე პარტიის მოგების შემდეგ.

ცხადია, როცა თქვენ ებრძვით ისეთ ჩოგბურთელს, როგორიც ნადალია, ის გამოიყენებს ყველა შესაძლებლობას მატჩში დასაბრუნებლად. არ მინდოდა კონცენტრაციის დაკარგვა, მაგრამ 1:6 - სავსებით დამსახურებული ანგარიში იყო, რადგან ძალიან ბევრი უნებლიე შეცდომა დავუშვი. ნაწილობრივ ეს ჩემი დანაშაული იყო, რამაც მას მატჩში დაბრუნების საშუალება მისცა. მიუხედავად ამისა, მთელი მეოთხე სეტის განმავლობაში მე ვაკონტროლებდი თამაშს. ძალიან მნიშვნელოვანი იყო პირველი გეიმის წარმატებით ჩატარება. ამის შემდეგ მართლაც კარგი ჩოგბურთი ვითამაშეთ.

- როცა თქვენ დაიწყეთ გამოსვლა უმაღლეს დონეზე, ფედერერსა და ნადალს მთლიანად ჰქონდათ დაპყრობილი საჩოგბურთო სამყარო. რამდენად მძიმეა ფსიქოლოგიურად გაუმკლავდე ამას, დაიჯერო, რომ შეგიძლია საუკეთესო იყო?

- ყველამ კარგად ვიცით, რას მიაღწიეს ამ ბიჭებმა. ისინი სრულად დომინირებდნენ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში და ერთად „დიდი სლემის" იმაზე მეტი ტურნირი მოიგეს, ვიდრე სხვებმა ერთად აღებულმა. ხანდახან მართლაც გამოუვალი სიტუაცია იყო - თითქოს კარგად თამაშობ, აღწევ მეოთხედფინალს ან ნახევარფინალს, შემდეგ კი რომელიმე მათგანს გადაეყრები და სწორედ მაშინ აჩვენებენ ისინი საუკეთესო ჩოგბურთს...

სინამდვილეში ეს არის სწავლების, სრულყოფისა და განვითარებით პროცესი, თანაც არა მხოლოდ როგორც ჩოგბურთელის, არამედ ადამიანის. უბრალოდ უნდა მონახო ამ ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვის ხერხი, იპოვო პასუხები თქვენთვის ყველაზე საინტერესო თემებზე. ყოველთვის მჯეროდა იმის, რომ ყველა საჭირო თვისება მქონდა ამ ბიჭების დასამარცხებლად. დარწმუნებული ვიყავი, რომ შევძლებდი „დიდი სლემის" სერიის ტურნირების მოგებას, ეს ხომ საჩოგბურთო მწვერვალზე ყოფნის ერთადერთი საშუალებაა.

უდიდეს პატივს ვცემ ამ ორ ჩოგბურთელს, მათ მიღწევებს. მათ წინააღმდეგ კორტზე ყოველთვის ვიცი, რომ ეს იქნება ბრწყინვალე მატჩი. ფსიქოლოგიურად მხოლოდ დადებითად უნდა იყო განწყობილი. უნდა უთხრა საკუთარ თავს: „ვიცი, რომ შემიძლია მოგება. სხვა გამოსავალი არ მაქვს".

- გესმოდათ, რა მსხვერპლზე მიდიოდი მაშინ, როცა 12 წლის ასაკში მშობლიური ქვეყნიდან გერმანიის საჩოგბურთო აკადემიაში გადახვედით?

- დიახ, გასახდელში ვლაპარაკობდი ამ თემაზე ჩემს ძმებთან, ოჯახთან და გუნდთან ერთად, ვიხსენებდით იმ დღეებს, დაძაბულ მუშაობას გერმანიასა და სერბეთში, როცა 8-11 წლის ვიყავი. ვლაპარაკობდით, რაზე ვოცნებობდით და რა გვაკლდა.

ეს შესანიშნავია. მხედველობაში მაქვს ის, რომ მსგავსი წარმატებები ძველ დროში გაბრუნებს, ბავშვობაში, რათა გაიხსენო ის გზა, რომელიც აქამდე გაიარე. ამ გზაზე ბევრი სირთულე იყო, მაგრამ ვფიქრობ, ამის გარეშე შეუძლებელია რაიმეს მიღწევა.

თქვენ იცით, რა სიტუაციაა ჩვენს ქვეყანაში ამ ომების გამო. მართლაც რთული იყო გამხდარიყავი პროფესიონალი ჩოგბურთელი, მით უმეტეს, რომ სპორტის ეს სახეობა ჩვენთან არასოდეს ყოფილა პოპულარული. სერბეთს არ ჰქონია არანაირი საჩოგბურთო ისტორია, ტრადიციები. მაგრამ ახლა ვფიქრობ, რომ სწორედ ეს დაგვეხმარა ყველას. მხოლოდ ჩემს თავზე არ ვლაპარაკობ, არამედ ივანოვიჩზე, იანკოვიჩზე, ტიპსარევიჩზე, ჟიმონჟიჩზე. მათაც რთული გზა ჰქონდათ მწვერვალებისკენ. ამან ფსიქოლოგიურად უფრო გაგვაძლიერა.

- როგორ ახსნით ბოლო პერიოდში თქვენს უპირატესობას ნადალზე?

- მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელის რაფაელ ნადალის წინააღმდეგ ყოველთვის საუკეთესო ჩოგბურთის ჩვენებაა საჭირო და ეს გამომივიდა. სწორედ ეს არის ამ გამარჯვებების მიზეზი.

- ფინალის შემდეგ საკუთარი ჩოგნები დაურიგეთ მაყურებელებს. კიდევ დაგრჩათ? როგორი გემო აქვს ბალახს ცენტრალურ კორტზე?

- ერთი-ორი ჩოგანი შემოვინახე დევისის თასისთვის. ბალახი კი მართლაც გემრიელია. ფინალისთვის შესანიშნავად შენარჩუნდა.

- დედათქვენი ამბობდა, რომ დევისის თასზე გამარჯვებამ შიშის გარეშე თამაში გასწავლათ. ის თასი რომ არ მოგეგოთ, ახლა თქვენი ჩოგბურთი სხვანაირი იქნებოდა?

- თუ დედაჩემი ასე ამბობს, ე. ი. ეს მართლაც ასეა. არაფრის თქმა არ შემიძლია. დედაჩემი უკეთ მიცნობს, ვიდრე მე საკუთარ თავს.

- მართლა?

- დიახ. დევისის თასზე გამარჯვების შემდეგ სიცოცხლითა და ენერგიით სავსე ვიყავი, ერთი სული მქონდა, როდის დავბრუნდებოდი კორტზე. ბევრი ტურნირის მოგების სურვილი გამიჩნდა. გარკვეულწილად, მართლაც დავკარგე შიშის გრძნობა. უფრო მეტად მჯეროდა საკუთარი თავის, ვიდრე ოდესმე.

- კარიერის რომელი ეტაპი იყო ყველაზე რთული? 14, 16 თუ 18 წლის ასაკში?

- „დიდი სლემის" პირველი ტურნირის მოგების შემდეგ ისეთ სირთულეებს წავაწყდი, რაც ადრე არ მქონია: ტიტულის დაცვა, მუდმივი ზეწოლის ქვეშ ყოფნა, როცა ხალხი შენგან მაღალ შედეგებს ელოდება...

მოგატყუებთ თუ გეტყვით, რომ არასოდეს მქონია ეჭვი. ეჭვები იყო. მქონდა რთული და კრიზისული პერიოდები, როცა არ ვიცოდი მივაღწევდი თუ არა იმას, რაზეც ვოცნებობდი. ახლა ეს ყველაფერი დაძლეულია.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა


ნოვაკი სამშობლოში დაბრუნდა